

11253
მ. ბრახინი და მ. შინინი.

კოლოპერატივები

თარგმანი ლ. ზ. თალაკვაძისა.

გ. ბუჩუქიასის რედაქციით და წინასიტყვაობით.

ფასა 20 კ.

ბათუმი.

სტამბა ა. ი. ნიკიტინისა.

1908 წ.



რ. ნუგაძესთვის
ჩინის
მ. ბრაგინი და მ. შინინი.
1925.

კოლხარატივეზი

37356

თარგმანი **დ. ზ. თალაკვაძისა.**

გ. ბურჟიანის რედაქციით და წინასწარცვაობით.



შათუმი
ს ტ ა მ ბ ა ა . ი . ნ ი კ ი ტ ი ნ ი ს .
1908

წინასიტყვაობა.

უკანასკნელ ხანებში მთელი რუსეთის მუშებს შორის და იქა-იქ გლეხებს შორისაც კი ემჩნევა მისწრაფება კოოპერატიული ამხანაგობების მოსაწყობად. ეს მისწრაფება წარმოშვა ფართო მასის იმ ეკონომიურ პოლიტიკურ მდგრადობამ, რომელიც დღეს გაბატონებულა რუსეთის ყველა მხარეებში. პირველი საჭიროების სანოვაგის ფასების უღმერთოდ გაძვირება, უმუშევრობა, ეკონომიურ პოლიტიკური კრიზისი, აი, რამ დაბადა კოოპერატიული მოძრაობა რუსეთში. რუსულ ლიტერატურაში, შედარებით ქართულზე, ბევრი სახელმძღვანელო წიგნებია, რომლების საშვალეებით ცოტათ თუ ბევრათ შესაძლებელია კოოპერატივების ავი და კარგი მხარეების და შისი ისტორიის გაცნობა. ქართულ ლიტერატურაში კი თითქოს სრულიადაც არ მოიპოვება არც ერთი წიგნი, რომლითაც შეიძლებოდეს კოოპერაციებზე წარმოდგენის ქონება და მისი ავ.კარგის დაფასება. სწორედ ეს მინინის და ბრაგინის წიგნი „კოოპერატივები“ შეიცავს ისეთ შინაარსს, რომლის საშვალეებით შეიძლება ავცდეთ იმ ცუდ მხარეებს, რომელიც მოსალოდნელია კოოპერატივების მოწყობის და მისი არსებობის დროს. ეს წიგნი შეიცავს მოკლედ კოოპერაციების ისტორიას, შეხედულებას მომხმარებელ და მწარმოებელ კოოპერაციებზე და პრაქტიკულ დარიგებებს მისი მოწყობის შესახებ. ეს წიგნი არის ნამდვილი სახელმძღვანელო წიგნი.

ბ. ბიჭუჩაძე.

თ ა ვ ი I.

რ ა ა რ ი ს კოოპერატივი?

მუშები ყველა საძირულზე ზე მაცს აძლევნ.

გაიარეთ რომელიმე ქალაქის ქუჩებზედ, საითაც თქვენ არ გაიხედავთ—ყველგან დაინახავთ უბოლოო რიგებს დუქნებისას, განსაკუთრებით საწვრიმლოებისას. თვითეული ასეთი დუქანი არჩენს მთელ ოჯახს და არამც თუ არჩენს, არამედ ხან და ხან იძლევა რიგიან კაპიტალსაც. ვის ხარჯზედ სცხოვრობს მთელი ეს არმია წვრილი მოვაჭრეებისა? მხმარებლის ხარჯზედ. ამ არმიის შენახვა იოლად არ ჯდება. ასე, მაგალითად, საფრანგეთში ვაჭრები წლაურად იგებენ დაახლოებით 2750 მილიონ მანეთს, გერმანიაში კი 1500 მილიონს. ამ აუარებელ ფულებს იძლევა მხმარებელი (მუშტარი), რომელიც დღითი დღე მეტს ფასს აძლევს საქონლის ღირებულებაზედ. შეადარეთ საქონლის ფასი წვრილ სავაჭროში ქარხნის ფასზე და თქვენ დაინახავთ რომ საქონლის ფასი რაჰდენჯერ გადიდებულია. ეს გასაკვირალიც არ არის. მწარმოებლისა და მხმარებელს შორის სდგას მთელი რიგი შუამავლებისა—სატრანსპორტო კანტორები, ნარდათ მოვაჭრეები, მსხვილი, საშუალო და წვრილი მოვაჭრეები. და იმისდა მიხედვით, თუ

როგორ გადადიოდა საქონელი ერთიდან მეორესთან, მისი ფასიც თან და თან მატულობს, ისე როგორც მიწაზე აგორებული თოვლის ჭრუნდი. გამოანგარიშებულია, მაგალითად, რომ თეთრი პურის ფქვილის ფასი, მის პირველ ფასთან შედარებით, 31% მატულობს, ქვავის 34 პროც., შეშის 45 პროც., ძეხვების 66 პროც., ქართობლის 56 პროც., ქვანახშირის 120 პროც. და სხვ. ამ ნაირად, მანეთად ნაყიდ ქვა-ნახშირზე — 1 შან. 20 კ. დასამატი შუამავლების სასარგებლოდ მიღის. თუ რამდენადაც დიდია შუამავალთა მოსაგები, ეს განსაკუთრებით, ნათლად სჩანს მაგალითიდან. რომელიც მოყვანილი აქვს ექიმ ვიტელსგეფერს. მისი გამოანგარიშებით მთელი არაყი, რომელიც იხარჯება გერმანიაში (ჩვენ ვიცით რომ არაყს მეტ ნაწილად მუშები ხმარობენ, რადგანაც მდიდრები ლიქორს და კონიაკს ეტანებიან), ღირს არაყის სახდელ ქარქნიდგან გამოსვლის დროს 40 მილიონი მანეთი; სახელმწიფო ღებულობს ამისგან ბაჟს 66 მილიონ მანეთს და ვაჭრები კი ყიდიან იმას 311 მილიონ მანეთად. ბაჟი რომ არ ვიანგარიშოთ, რომელიც სახელმწიფოს მიაქვს, ჩვენ ვხედავთ, რომ არაყის ფასი, მისი შუამავლების ხელიდგან ხელში მოგზაურობის გამო, — დაწყებული მსხვილ სპირტის გამყიდველებისაგან და გათავებული უბრალო მეტრახტირეებითა, — ხუთჯერ დიდდება. ამ მაგალითიდან ცხადად სჩანს, რა აუარებელ ზედ-მეტ ფულს იხდის მხმარებელი. ჩვენში, რუსეთში, ეს ძარცვა მოვაჭრეებისაგან უფრო ძლიერია და მხმარებელი იძულებულია ხშირად ბევრჯელ მეტი აძლიოს საქონელში იმაზედ, რაც პირველი მისი ფასიჯ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ახლოა ნაწარმოები მხმარებელთან, მით უფრო დიდია შუამავლების ექსპლოატაცია. მსხვილ მოვარკრეს, რომელიც დიდი ფულს აბრუნებს შეუძლია დაკმაყოფილდეს სარგებელის პატარა პროცენტით, რადგანაც დიდ ალებ მიცემაში ეს პატარა პროცენტით დიდ ფულს ადგენს. წვრილმა მედუქნემ, პირიქით, უნდა იცხოვროს პატარა კაპიტალით, ალებ მიცემობა ცოტა აქვს, და ამიტომ ძალზედ ადიდებს მოსაგების პროცენტს.

მეშობი ცუდ საფინანსო ღებულთბრ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თანამედროვე კაპიტალისტურ-საზოგადოებაში შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობს მსხვილსა და წვრილ კაპიტალს შორის. წვრილ ვაჭარს არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს დიდი მალაზიის პატრონს: უკანასკნელი პირველი ხელებიდგან ყადულობს საქონელს და მას იაფადაც უჯდება. რიმ ყოვლის შემძლე კონკურენციისაგან თავი გადირჩინოს, წვრილი მედუქნე არ ზოგავს არავითარ საშვალეებას. არ მოატყუებ ვერ გაჰყიდო — ამბობს ანდაზა. და მედუქნეებიც ყოველ ფეხის გადადგმაზედ წონაშიდაც იტყუებიან, ზომაშიდაც და მასთან საძაგელი თვისების ნაწარმოებს იძლევიან.

მთელი სიმძიმე ამ ექსპლოატაციისა აწვება, რასაკვირველია, მუშათა კლასს და საზოგადოდ ღარიბ ხალხს. მუშათა უბნებში არ არის დიდი მალაზიები, სადაც ჩვეულებრივად საქონელი უკეთესიც არის და უიაფესიც. აქ საწვრილმანოების

პატრონები მეფობენ. ამ საწვრილმანოებმა ვიწრო-
რგოლივით შემოარტყეს მუშების საცხოვრებლებს
და სწოვენ მათგან უკანასკნელ წვენს, რომელიც
ჯერ კიდევ შერჩენიათ ფაბრიკაში ექსპლოატაცი-
იდან.

საწვრდმალთ ღუძნობი იმონაჟობნ მუშობს ნისითბით.

მუშა მიჯაჭვეულია საწვრიმალთ ღუძანზედ
მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ცხოვრობს ქალა-
ქის განაპირას, არამედ უმეტეს ნაწილად იმიტომ,
რომ წვრილი ვაჭარო აძლევს მას საქონელს ნისით.
საჩუქრად თავის „კეთილ-მოქმედებისა“ მედუქნე
აძლევს მას უღმერთო ფასებს და მუდამ უჭირავს
მუშა მონებაში. ხედავს მუშა, რომ მედუქნე მას
წონაშიდაც ატყუებს, ზომაშიაც, ფასს ერთი სა-
მათ ახდევინებს, მაგრამ მოხერხებით კი ვერა მო-
უხერხებია რა: გადაუხადოს ვალი ხშირად არ
შეუძლია, დაანებოს თავი მასთან ვაჭრობას ესეც
არ შეუძლია—მედუქნე უჩივლებს, ბინიდან გამო-
აგდებს და სხვა. სჩანს, რომ ფაბრიკაში მონობის
გარდა არსებობს კიდევ მონობა ფაბრიკის კედ-
ლებს გარეშე, და ამაში უმთავრეს როლს თამა-
შობს წვრილი მედუქნე.

მუშაძვლუბის ბოსასპობათ მუშობნ კლბპრაცციჟობს
აწკობონ.

ფაბრიკა—ქარხანაში ექსპლოატაციის წინა-
აღმდეგ მუშები იბრძვიან პროფესიონალურ კავ-
შირებში შეერთების საშუალებით. წვრილ ღუქ-
ნებში ექსპლოატაციას კი არაფერი არ უდგას წინ,
რადგანაც მუშები როგორც მხმარებლები ჯერ არ
შეერთებულბნ ჩვენში. ამის შემდეგ, ნუ თუ გასა-

კვირვალთა, რომ მედუქნეები სარგებლობენ ამით და ძალიან უმატებენ ფასებს, როგორც ეს იყო ამას წინედ პეტერბურგში და სხვა პროვინცი-
ლორ ქალაქებში?

ჩვენ დავინახეთ რომ მოსაგებზე, რომელსაც მხმარებელნი უშუამავლებს აძლევენ ირიცხება ათას მილლიონ მანეთობით წელიწადში. ჩვენ დავინახეთ კიდევ, რომ განსაკუთრებით ყვლეფავს მხმარებელს წვრილი უშუამავლები და რომ ასეთი ყვლეფის მსხვერპლნი არიან ღარიბები, უმთავრესად მუშათა კლასი. ბოლოს მოღება ამ უშუამავლების ჯარისა შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ წეს-წყობილებაში, რომლისაკენაც მიისწრაფვენ მოწინავე მუშები. მაგრამ შესუსტება ამ არმიის ერთი ნაწილისა, და ამასთან მრავალ რიცხოვანის და მუშებისთვის მეტათ საზარალოს—წვრილი მედუქნეების,— შეიძლება ეხლაც, კაპიტალიზმის ბატონობის დროს.

ეს ნათლად დაამტკიცეს დასავლეთ ევროპის მუშებმა, როცა ივინმა თავისი საკუთარი მომხმარებელი დუქნება (კოოპერატივები *) მოაწყვეს. იქ, სადაც კოოპერატივები ძლიერია, როგორც მაგალითად ჩრდილოეთ ინგლისში, თითქმის გააძე-

*) სიტყვა «კოოპერაცია» არის უცხო სიტყვა და ნიშნავს ვისთანმე ერთად შეთანხმებულ მოქმედებას. აქედან წარმოიშვა სიტყვა კოოპერატივები ანუ კოოპერატიული ამხანაგობები. ეს ამხანაგობები არსდებიან ან სავაჭრო ან საწარმოვო მიზნით. პირველ შემთხვევაში უნდა დაუძახოთ მომხმარებელი კოოპერატივი, მეორეში —მწარმოებელი (ანუ არტელი). სიტყვა «კოოპერაციაში» გამოიხატება ორივე ამ მოძრაობის ფორმა თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელ დუქნებს და არა არტელებს.

ვეს წვრილი ვაქრები. სხვა ადგილებში კი სასტიკ კონკურენციას უწევენ წვრილ მედუქნეებს და აიძულებენ მათ საქონლის ფასს დაუწიონ და ამით ანთავისუფლებენ მუშებს მონობისაგან.

როცა ამ უკანასკნელ ხანებში ვაქრებმა ძალაზედ აუწიეს ფასებს პირველ მოთხოვნილების საგნებზედ, მუშებში ჩაისახა აზრი თავის საკუთარი მომხმარებელი დუქნების დაარსების შესახებ. ამ აზრს მომხრეები გაუჩნდა და მალე მთელ მუშათა მასას მოედო. მუშები თან და თან იგნებენ, რომ ისინი როგორც მხმარებელნი დიდ ძალას შეადგენენ. მართლაც და, განა ამას არ გვასწავლის ჩვენ მრავალ რიცხოვანი ბოიკოტები, რომელიც არის დროებით შეერთება მომხმარებლების და უარის ყოფა რომელიმე ნაწარმოებზე და არა სხვა რამე? განა ამასვე არ გვასწავლის ჩვენ თვით მთავრობაც, რომელიც კრეფავს უნთავრეს ნაწილს თავის გადასახადებისას არა პირდაპირ გადასახადებისაგან ე. ი. გადასახადისგან მხმარებელზე—მის მიერ ნაყიდ სფიჩქაზე, თუთუნზე, შაქარზე და სხ.

რატომ უნდა ვიყიდოთ დუქანში მამასისხლად საძაგელი საქონელი, როცა შეიძლება დავაარსოთ საკუთარი დუქანი, რომელშიდაც საქონელი იათადაც იქნება და კარგი თვისებისაც? რატომ უნდა ვარჩინოთ ეს პარაზიტთა კლასი—მედუქნეებისა და მუდამ მის ყმად ვიყოთ, როცა თავისი კოოპერატივის დაარსებით ჩვენ შეგვიძლია მედუქნეების უთვალავი მოსაგები მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოვახმაროთ? ბრძოლა წვრილ მედუქნეებთან, მხმარებელთა შეკავშირება,—აი ის მიზანი, რომელიც დაიყენეს წინ მუშებმა, როცა კოოპერატივის მოწყობას შეუდგენ.

მაგრამ საჭიროა არ დაგვაფიწყდეს, რომ მომხმარებელი ღუქების მოწყობა მუშათა კლასს მაშინ მოუტანს სარგებლობას, თუ ეს ღუქები სწორ საფუძველზედ არის ავებული. ამ საფუძველების გაცნობა ჩვენ შეგვიძლია გამოცდილებიდან—მდიდარი გამოცდილებიდან, რომელიც შეიძინეს მუშებმა დასავლეთ ევროპაში და თუმცა პატარა, მაგრამ საგულისხმო გაკვეთილებიდან, რომელიც შეიძინეს მუშებმა თვით რუსეთში. ეს გადაგვარჩენს ჩვენ ავცდეთ დამლუპველ შეცდომებსაც, და მვენებელ ილლიუზიებსაც, და ხელს შეგვიწყობს ავაგოთ კოოპერატივები მაგარ საფუძველზედ. ამისათვის, სანამ ჩვენ შეუდგებოდეთ კოოპერატივების დაფასებას და სრულ პასუხს მივცემდეთ კითხვაზედ—თუ რას მისცემს კოოპერაცია მუშათა კლასს და როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქოსიოთ მასთან—თვალი გადავაავლოთ კოოპერაციების მდგომარეობას ბელგიაში და ინგლისში—ორ მხარეში, სადაც უფრო განვითარებულია ორი დამახასიათებელი ტიპი კოოპერატიული მოძრაობისა.

თ ა ვ ი II.

კოოპერაცია ინგლისში.

„სამართლიანი ბრძელილი პიონერში“

კითხეთ ინგლისელ მუშას, სად ჩაიდვა საძირკველი კოოპერატიული მოძრაობისა ინგლისში და ის მიგითითებს თქვენ პატარა საქარხნო ქალაქ როჩდელზე, რომელიც დასახლებულია მქსოველებით. თუ ის ცოტათი განვითარებულიც არის, ის თქვენ

გეტყვის კიდევ ერთ პირველ ინგლისის სოციალისტის სახელს.—რობერტ ოვენის რომელმაც პირველმა გადაისროლა მუშათა მასსაში კოოპერაციების იდეა.

თითველი კოოპერატორისთვის ძვირფასიან რაჩდელიელი მქსოველების მოგონება. მოვითხრობთ ჩვენც მათ ისტორიას.

1843 წელს ფანელის მქსოველ მუშათა შორის, ინგლისის ქალაქ როჩდელში, საშინელი გაჭირვება იყო. საწარმოო კრიზისმა, ლოკაუტებმა და დამარცხებულმა გაფიცვებმა უღუკმა-პუროდ დასტოვა მრავალი ათასი მუშების ოჯახები. წინ მათ სუსხიანი ზამთარი უდგა. თითველი მოგონება გაყინულ ბინებზედ, ბავშვების ავითიყოფობაზედ, ნისიების მოსპობაზედ და საზოგადოდ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობაზედ ძალას ატანდა მუშებს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა მოენახათ. და აი კიდევ ერთ გიორგობისთვის ავდრიან დამეს რამოდენიმე მქსოველებმა თავი მოიყარეს ერთ ამხანაგის ბინაზედ, თავიანთ საქმეებზედ მოსალაპარაკებლად. საბრალო მქსოველებმა თავი იტყვის იმაზედ, თუ რა ექნათ. მივმართოთ საზოგადოების ქველმოქმედებაზე? მაგრამ ამას არ ანებებდა მათ პროლეტარული სიამაყე. გადავსახლდეთ სხვა ქვეყნებში? მაგრამ განა დანაშაულობაა რომ ჩვენ ღარიბებათ დავიბადეთ.—რომ მისგან უნდა გავრბოდეთ სხვა ქვეყნებში? იყვნენ აქ რამოდენიმე წევრი სიფხიზლის საზოგადოებისა. ესენი ამბობდნენ, რომ მთელი ბოროტება სიმთვრალეშიაო. დაეთხოვეთ—სმას და სიღარიბეც მოიპოვებო. მაგრამ მათ წი-

ნააღმდეგ გამოვიდნენ ჩარტისტები *) . სმის და
 თხოვა — კარგია, ამბობდნენ ისინი, მაგრამ სიფხიზლე
 კიდევ ვერ მოგვცემს ჩვენ თავისუფლებას კაპიტა-
 ლისტების ჯაჭვებისაგან. როცა ჩვენ მივალწევთ
 საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ჩვენ ვიქნებით
 ბატონები პარლამენტში; როდესაც ჩვენ კენ-
 იქნება დიდი უმრავლესობა, ჩვენ მოვსპობთ უსა-
 მართლობას, და კანონდებულების საშუალებით
 მივალწევთ კმაყოფილებას.

ჩვენ მქსოველებს შორის იყო რამდენიმე
 რობერტ ოვენის მოსწავლე. „მუშა იმიტომ არის
 უბედური“, — ასწავლიდა თავის დროს რობერტ
 ოვენი — „რომ მას შრომის ქირას ცოტას აძლევენ
 და საჭირო ტანთსაცმელის და აუცილებელ საკვე-
 ბის შექმნა ბევრი უჯდება. ეს იმიტომ ხდება, რომ
 წარმოებასაც და ხმარებასაც განაგებენ კაპიტალის-
 ტები. მუშებს ყვლეფავენ ერთსა და იმავე დროს
 როგორც მწარმოებელს და როგორც მხმარებელს.
 „შეერთდენ მუშებმა მწარმოებელ ამხანაგობებში;
 შეერთდენ მუშებმა, როგორც მხმარებლებმა მოხმა-
 რებელ საზოგადოებებში საქონლის შესაძენად
 პირდაპირ მწარმოებელიდან; ამით მოეღებო მთლიან
 გაქვირებას, კრიზისსა და სხვისაო.“

აი ეს სიტყვები მოაგონდა ეხლა მქსოველებს.
 იმათ წამოაყენეს თავისი მასწავლებლის იდეა — კო-
 ოპერაცია. ახალი მოწონებულ იქმნა თხიზლებისა
 განაც და ჩარტისტებისაგანაც, რომლებმაც მასში და

*) გასული ხუთკუთხის ორმოცდამეცხრე წლებში ინგლისში მუშებმა
 დაიწყეს ძლიერი მოძრაობა, რომელსაც მიზნად ქონდა შეეძინა სა-
 ყოველთაო თანასწორო პირდაპირი და ფართული უფლებების კრის უფ-
 ლება ინუ მსახლობის ტარებისა და ყველგან წარმოებას ხანძარი ჩარ-
 ტისტები.

521 5 ხუთკუთხის

ინახეს საშვალეობა მუშათა მასის შესაკავშირებლად. გადასწყვიტეს მოაწყონ მომხმარებელი ღუქანი. იქვე ჩამოატარეს ხელმოსაწერი ფურცელი და ყველამ დაივალა გადაეხადა კვირაში 8 კაპეიკი. სულ ჩაეწერა 28 კაცი, და როდესაც მქსოველებმა ერთი წლის განმავლობაში შეაგროვეს 280 მანეთი, მათ გადასწყვიტეს საქმეს შესდგომოდნენ. 90 მანეთად დაიქარავეს ბინა ქვემო სართულში და აი აქ ქუჩის ეშმაკი ბაღნების და შტერების დასცინვის ქვეშ იქმნა განსნილი პირველი ღუქანი როჩდელიელ მქსოველებისა. ეს იყო 21 დეკემბერს 1844 წ. პირველ საღამოს საქონელი შესდგებოდა რამოდენიმე გირვანქა ერბო და პურის ფქვილისაგან. ვაქრობა პირველ ხანებში წარმოებდა ორშაბათობით და შაბათობით; ერთი კოოპერატორთაგანი იყო კასირი, მეორე რიგ რიგობით გამყიდავი და სხვ. მომხმარებელი ღუქანი დაარსებული იყო შემდეგ პრინციპებზე: 1) ვაქრობა სწარმოებს უეჭველად ნაღდზედ და არა ნისიათ. 2) საქონელი იყიდება ისე, როგორც სხვა ღუქნებში, ბაზრის ფასებში. მაგარამ მოსაგები კი ზედმეტი ფასიღვან, განსაზღვრული თანხის გამოარიცხვით სარევიზიო ფონდისათვის, სწავლავანათლებლისათვის და ხარჯებისათვის, მიდის მხმარებელთა სასარგებლოდ პროპორციონალურად მის მიერ ნაყიდ საქონელთან შედარებით. 3) კოოპერაციის გამგეობა ეკუთვნის მის ყველა წევრებს და დაფუძნებულია ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზედ: ერთი კაცი — ერთი ხმა. აი, ეს აგრედ წყდებული როჩდელიელი პრინციპები საფუძველად დაედო შემდეგში ყველა ინგლისის და ევროპის კოოპერატივების უმრავლესობას. მი-

ყვეს რა ხელი ახალ საქმეს, მქსოველები უყურებდნენ მას, როგორც საშვალებას მუშათა მასის შალსა საფეხურამდის ასაწევად. მათ პროგრამაში სხვათა შორის ნათქვამია: საზოგადოება ნაწილს თავის შემოსავლისას ხარჯავს შკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოსაწყობათ, რადგანაც სწავლა-განათლება პირველი მამოძრავებელია ცივილიზაციისა და ქეშმარიტი პროგრესისა. ამ მიზნით დადგენილი იყო მოსაგების 2 $\frac{1}{2}$ პროც. უნდა გადადებულიყო სწავლა-განათლებლისათვის, პირველი დღედგანვე, დუქნის გვერდზედ მოწყობილ იქმნა სამკითხველო. საბრალო მქსოველები ბევრ რამეზე ოცნებობდნენ. დუქნიდგან ისინი ფიქრობდნენ გადასვლას პირველი საჭიროების საგნების წარმოებაზე, ბოლო მერმე საზოგადოდ ყველა საქონლების. იაინი იყიდიან მიწას და ააშენებენ სახლებს. მუშები გახდებიან ცხოვრების ბატონები. აღარ იქნებიან უმუშევრები; როგორც პატრონები ქარხნებისა ისინი მოსპობენ ყოველ გვერ ექსპლოატაციას. მათ საბოლოო მიზანს შეადგენდა ისეთი ორგანიზაციის მოწყობა: „რომელიც დააწესებდა შეთანხმებას სიმდიდრის წარმოებისა და მოხმარების შორის, მოქალაქეთა განათლებისა და მათ პოლიტიკურ მნიშვნელობის შორის. ის დაწარსებს. კავშირს რომელიც დაშყარებული იქნება საერთო ინტერესებზედ. მქსოველები ფიქრობდნენ რომ კოოპერაციების საშვალებით იგინი შესძლებუნ კაპიტალისტური წესწყობილების შეცვლას სოციალისტურზედ, რომელიც საერთო ინტერესებზედ იქნება დაფუძნებული. სინამდვილემ აჩვენა მათ, რომ ეს—ოცნებაა, რომ სოციალიზმის განახორციელებლად საქმით პარტიკულიატიის შე-

კავშირება ერთს კლასიკურ პოლიტიკურ პარტიაში და რომ კოლოპერაცია არის მხოლოდ ერთი საშვა-
ლებათაგანი რომლითაც შეიძლება მუშათა მასის
შევნების გაფართოება და მისი შეკავშირება.

ასე დაედო დასაწყისი როჩდელის კოლოპერა-
ტივს. საქმის ნამდვილ საფეხურზე დაყენების
წყალობით ის თუმცა ნელის, მაგრამ ნამდვილის
გამარჯვებით დაგვირგვინდა. პაი ღირდა ათი მა-
ნეთი. თითო წევრს უნდა ქონებოდა არა უმეტეს
ოთხი ასეთი პაისა. შესვლას დროს სულ იყო
შესატანი მხოლოდ 50 კაპ., დანარჩენი პაის ღი-
რებულება უნდა დაფარულიყო თან და თან გამო-
რიცხვით მოსაგებებიდან. საქმე ჩქარა იზრდებოდა.
სამი თვის შემდეგ საზოგადო კრების გადაწყვეტი-
ლებით შემოღებულ იქნა გაყიდვა თუთუნის, ჩაის
და ორი წლის შემდეგ ხორცის. წევრების რიცხვი
თან და თან მატულობდა. დაარსებულ იქნა
ფურნე. 1858 წელს როჩდელიელებმა თავის
მომხმარებელ საზოგადოებასთან დააარსეს კოოპე-
რატიული წისქვილი. დასაწყისში საქმე უხეიროდ
მზდიოდ. წისქვილი ზარალს იტყოდა; ბევრი
წევრები შეშინდნ და თავის პაის გატანა იწყეს.
მაგრამ წევრების უმრავლესობა მაინც შერჩა კო-
ოპერატივს. წინადადებაზე, ფული გავიტანოთ
მუშებმა უპასუნეს: „თუ საზოგადოება დაიღუპება
— დეე იქ ჩვენი ფულებიც დაიღუპოს, რაც გვაქვს
ის საზოგადოებამ შეგვიძინაო“. ამნაირი მტკიცე
მხარის დაჭერით წისქვილის საქმეებზე მალე გაუმ-
ჯობესდა და დიდ სარგებელს მოტანა იწყო.
ათი წლის შემდეგ მოწყობილ იქნა ძაღვის სართვე-
ლი სახლი. მალე საზოგადოებამ იწყო სახლების
აშენებაც თავის წევრებისათვის. ეს — „ქაშით წაყიდი

სახლებია“ ენლა ამაზედ იღება წლიურათ 130.000 მანეთი, საზოგადოება აშენებს სახლებს, წვევრები კი იხდიან ჩვეულებრივ ბინის გადასახადს, რომელიც 1ა--20 წლის განმავლობაში ფარავს კიდევ მთელი სახლის ღირებულებას, ძველი ღუქნის ნაკვლად ერთ უმთავრეს ქუჩაზე აგებულ იქმნა ცენტრალური შენობა, რომელიც 140.000 მანეთად დაჯდა და 24 განყოფილებები ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში. საზოგადოებასთან მოთავსებულ — მოწყობილ იქმნა მთელი რიგი დაწესებულებებისა — საპენსიო კასები, წვევრების დაზღვევა, შკოლები და სხვ. კოოპერატივი იზრდება ყოველ წლით. ერთი მუკა მქსოველები, რომელიც 28 კაცს არ აღემატებოდა, გადაიქცა 13.000 კაცად — ორგანიზაციად, რომელსაც 3.200.000 მანეთი კაპიტალი აქვს და 320.000 მანეთი სარგებელი შემოსდის წელიწადში. უზარმაზარ მალაზიებსა და საწყობებს გარდა საზოგადოებებს აქვს გაუმჯობესებული ფურნე, ორთქლის წისქვილი და ქალაქის სართავი ქარხანა. სწავლა განათლების საქმეზედ კოოპერატივი ხარჯავს 10.000 მანეთს წელიწადში. საზოგადოებასთან არის შკოლა, რომელიც 750 მოსწავლეს ასწავლიან; იმართება კურსები, ლექციები, კითხვები და სხვ. კოოპერატივის ცენტრალურ შენობაში მოთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც 18,000 ტომისაგან შეესდგება და დიდი სამკითხველო ზალა; ამას გარდა აშენებულია 19 პატარა ზალები საკითხავად, სადაც არის სხვა და სხვა ნაირი იარაღები სამეცნიერო გამოკვლევისათვის, მაგალითად ტელესკოპები, მიკროსკოპები და სხვ. საზოგადოებას აქვს დაარსებული რამოდენიმე სტიპენდია უნივერსიტეტებში რომ ამით სა-

34356

შვალება მისცენ თავის წევრებს უმაღლესი განათლება მიიღონ, რომელიც, როგორც ვიცით, ინგლისში ძალიან ძვირი ღირს.

ასეთია ის ბრწყინვალე შედეგი, რომელსაც შიალწია როჩდელის კოოპერატივმა. მიუხედავად იმისა, რომ ბრბო მათ დასცინოდათ და მედუქნეები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, მქსოველებმა მაინც გააკეთეს თავის საქმე. მართალია, იგინი მაინც დარჩნენ დაჭირავებულ მუშებად და კაპიტალისტები ჩვეულებრივად სწოვენ მათგან ზედმეტ ღირებულებას. მართალია მათი ოცნებები არ ასრულდნენ; მაგრამ მათ ბევრ რამეს მიალწიეს, შექავშირდნენ, გაიფართოეს თავის შეგნება, გაიუმჯობესეს საქმელი და ცხოვრების პირობები, და უმთავრესად, უჩვენეს სხვებს, თუ როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატიული საქმე. ამაში მათ დიდი ხამსახური მიუძღვის. და ბელგიელი კოოპერატორი ბერტრანი მართალია, როცა ამბობს; „სახელი როჩდელიელი მოღვაწეებისა უფრო ღირსაა გადაეცეს შთამომავლობას, ვინემ სახელი იმ თავადებისა და მეფეებისა, რომელთა საქმეებს თითქმის ყოველთაგანს უბედურება მოქონდათ კაცობრიობისათვის“.

მაგრამ როჩდელიელი მუშები როდი ყოფილან პირველი კოოპერატორები ინგლისში. ჯერ კიდევ იმათ უწინ, მე XVIII საუკუნის ბოლოდგან დაწყებული, არსდებოდა უთვალავი კოოპერატივები, უმეტეს ნაწილად ფილანტროპიული ხასიათისა. დიდი, ძალიან დიდი უმრავლესობა მათი შალე იღუბებოდა, რაც იმას ამტკიცებს რომ კოოპერატივის არ შეუძლია იარსებოს, თუ მისი წევრები არ ზავითმოქმედებენ. აქა იქ ჩნდებოდა წმიდა ბურჟუაზიული კოოპერატივებიც; რომელთაც მხოლოდ იმიტომ არს-

დებოდენ რომ დივიდენდები* ქაელონ. პაის ფასის სი-
 დიდისა და წევრების რიცხვის განსაზღვრის გამო,
 ასეთი კოოპერატივები მალე აქციონერულ საზო-
 გადოებებად იქცეოდნენ. ხშირად კოოპერატივები
 იღუპებოდნენ, რადგანაც მათ მტრულად უცქერო-
 და პარლამენტი, რომელშიდაც მაშინ მსხვილ მი-
 წაომფლობტელთა წარმომადგენლები იხდნენ. კო-
 ფერატივებს არ ქონდათ უფლება იურიდიული
 პიროვნებისა. კოოპერატივის კაპიტალის შენახვა
 არ შეიძლებოდა მის სახელზედ ბანკებშიაც კი, იმი-
 ტომ საზოგადოება იძულებული იყო კასსირებს
 ნდობოდა, ხდებოდა მაგალითი, რომ კასსირები ბო-
 როტ მოქმედებდენ და ითვისებდენ კოოპერატივის
 თანხებს, ბევრი საზოგადოება იმიტომ იღუპებოდა
 რომ საქონელს ნისიათ ყიდდა: ასეთი საზოგადო-
 ებებისათვის საკმარისი იყო, რომ რამოდენიმე წევრს
 არ შემოეტანათ ფული (ნისია) და ისინიც ინგრე-
 დენ. გასული საუკუნის პირველ ნახევარში არს-
 დებოდა ბევრი მწარმოებელი ამხანაგობები. ჯგუფი
 მუშებისა აერთებდენ თივიანთ კაპიტალს, ყიდუ-
 ლობდენ შეერთებულის ძალით იარაღებს და აწ-
 ყობდენ სახელოსნოებს არტელების მსგავსად, მაგ-
 რამ ასეთი არტელები მალე ირღვეოდენ. ქვევით
 წვენ აღნიშნავთ, რომ ასეთია ბედო საწარმოო ამ-
 ხანაგობებისა: კაპიტალისტურ წარმოების დროს,
 ტაბრიელიელი მქსოველების დიდი სამსახური სწო-
 რედ იმაში მდგომარეობს, რომ იჭინმა, სწორედ
 პირველებმა, წამოაყენეს ზემოთ აღნიშნული რაბ-
 დელიედობრინცივები, რითაც აჩვენეს, რომ უნდა
 დაწყდეს არა მწარმოებელ საზოგადოებების შექ-

დებოდენ რომ დივიდენდები* ქაელონ. პაის ფასის სი-
 დიდისა და წევრების რიცხვის განსაზღვრის გამო,
 ასეთი კოოპერატივები მალე აქციონერულ საზო-
 გადოებებად იქცეოდნენ. ხშირად კოოპერატივები
 იღუპებოდნენ, რადგანაც მათ მტრულად უცქერო-
 და პარლამენტი, რომელშიდაც მაშინ მსხვილ მი-
 წაომფლობტელთა წარმომადგენლები იხდნენ. კო-
 ფერატივებს არ ქონდათ უფლება იურიდიული
 პიროვნებისა. კოოპერატივის კაპიტალის შენახვა
 არ შეიძლებოდა მის სახელზედ ბანკებშიაც კი, იმი-
 ტომ საზოგადოება იძულებული იყო კასსირებს
 ნდობოდა, ხდებოდა მაგალითი, რომ კასსირები ბო-
 როტ მოქმედებდენ და ითვისებდენ კოოპერატივის
 თანხებს, ბევრი საზოგადოება იმიტომ იღუპებოდა
 რომ საქონელს ნისიათ ყიდდა: ასეთი საზოგადო-
 ებებისათვის საკმარისი იყო, რომ რამოდენიმე წევრს
 არ შემოეტანათ ფული (ნისია) და ისინიც ინგრე-
 დენ. გასული საუკუნის პირველ ნახევარში არს-
 დებოდა ბევრი მწარმოებელი ამხანაგობები. ჯგუფი
 მუშებისა აერთებდენ თივიანთ კაპიტალს, ყიდუ-
 ლობდენ შეერთებულის ძალით იარაღებს და აწ-
 ყობდენ სახელოსნოებს არტელების მსგავსად, მაგ-
 რამ ასეთი არტელები მალე ირღვეოდენ. ქვევით
 წვენ აღნიშნავთ, რომ ასეთია ბედო საწარმოო ამ-
 ხანაგობებისა: კაპიტალისტურ წარმოების დროს,
 ტაბრიელიელი მქსოველების დიდი სამსახური სწო-
 რედ იმაში მდგომარეობს, რომ იჭინმა, სწორედ
 პირველებმა, წამოაყენეს ზემოთ აღნიშნული რაბ-
 დელიედობრინცივები, რითაც აჩვენეს, რომ უნდა
 დაწყდეს არა მწარმოებელ საზოგადოებების შექ-

მნით, რომელიც ეჭვმდებარება ბაზრის რყევასა და კონკურენციას, არამედ მომხმარებელი საზოგადოების მოწყობით, რომელსაც ყავს გმნსაზღვრული გასავალი თავის წევრების სახით და რომელთანაც შეიძლება დაარსდეს მწარმოებელი განყოფილებებიც. ამით როჩდელიელმა შესოველებმა დააყენეს კოოპერატიული საქმე ეკონომიურად სწორ გზაზე და ერთხელ და სამუდამოდ აღიარეს ის ქეშმარიტება, რომ კოოპერატიული საქმის გამარჯვების თავდებია—რაც შეიძლება მეტი თვითმოქმედება თვით წევრებისა და ფართო ალაგი კოოპერატივში შემოსასვლელად ყველა მუშებისათვის, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, პარტიისა და მისი დღის ქირის რაოდენობისა.—

ნართათ მყიდველი საზოგადოება. შუერთება კოოპერატივისა.

როჩდელიელების გამარჯვება საუკეთესო დამატკიცებელი იყო მათ მიერ არჩეული სისტემის სისწორისა და ამიტომაც დიდათ წასწია წინ კოოპერატიული მოძრაობა. მოძრაობის ზრდას კიდევ ხელი შეუწყო 1863 წ. კანონის გამოცემა, რომელიც კოოპერატივს აძლევდა იურიდიული პიროვნების უფლებას. აშნაირად, სამოციან წლებში, ინგლისში, უკვე ბევრი მოიპოვებოდა კოოპერატივები—მომხმარებელი საზოგადოებები მწარმოებელ განყოფილებებით. რამდენადაც ეს საზოგადოებებში იზრდებოდნენ და მაგრდებოდნენ, იმდენად ირკვეოდა მათ წინაშე ერთი ცენტრალური საზოგადოების შექმნის საჭიროება, სადაც უნდა შესულიყო ყველა კერძო კოოპერატივები, რომელთაც შეერ-

თებულის ძალით უნდა მოეწყოთ საქონლის ნარდათ ყიდვის საქმე. უწინ თვითეული კოოპერატივი მოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად დანარჩენებისაგან, დამოუკიდებლად ყიდულობდა საქონელს და თუ მასთან იყო საწარმოო განყოფილება — დამოუკიდებლად აწარმოებდა თავის წარმოებას.

მეორეადგილი გასაგებია, რომ თავიანთი კაპიტალების შეუერთებლად კოოპერატივები ვერ შესძლებდნენ საქონლის ყიდვას უნ წარმოებას დაკლებულ ფასებში, რომელიც მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტს შეუძლია, როცა ის ნარდათ ყიდულობს საქონელს. კოოპერაციის ზრდა თხოულობდა ნარდათ ყიდვის მოწყობას შეერთებულის ძალით, აი, ფწყება მეორე ხანა, ინგლისის კოოპერაციების — შეერთება ყველა დაქსაქსულ საზოგადოებებისა ერთ მწყობრ მთელად, თვითეული მათგანის სრული დამოუკიდებლობის შენახვით.

1864 წელს დაარსებულ იქმნა ინგლისის და ხუთის წლის შემდეგ შოტლანდიის ნარდათ მყიდველი საზოგადოება. ფუფუნანი კერძო კოოპერატივისა არის მოშორება წყრილი შოვაქრის შუამავლობის, მიზანი ნარდათ მყიდველი საზოგადოებისა არის მოშორება მსხვილ ვაჭრების და შუამავლებისა. განვიხილოთ როგორ არის მოწყობილი ინგლისის ნარდათ მყიდველი საზოგადოება. მის წევრებზე არიან ანა კერძო მხმარებელნი, არამედ მთელი მხმარებელი საზოგადოებები, მთელი კოოპერატივები. მომხმარებელი საზოგადოებები თითოეულ თავის 20 წევრზედ ღებულობს 150 მანეთიან პაის. ისე რომ, ფუ. მასში, მაგალითად, 1000 წევრებია, მან უნდა აიღოს პაი 7500 მანეთისა. მაგრამ მაშინვე გადასახდელიც მხოლოდ 50 კაპ. (ისე როგორც

კოოპერატივში წევრის შიღვების დროს). დანაირჩენი თული თან და თან ირიცხება მოსაგებიდგან, რომ მელიც ერგება ამა თუ იმ კოოპერატივს. ნაწილზე მოსაგებისა იყოფა კოოპერატივებს შორის, პროპორციონალურად იმის და მიხედვით, თუ რამდენ საქონელს ის ყიდულობს. მეორე ნაწილი მიდის კერძო მყიდველებს — არა წევრების სასარგებლოდ, მესამე ნაწილი კოოპერატიული საქმის გასაფართოებლად. ხმის უფლება განისაზღვრება წევრების რაოდენობით: კერძო კოოპერატივები თვითნებულ 500 თავის წევრზედ სარგებლობენ 1 ხმის უფლებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ნარდათ მყიდველი საზოგადოება შოწყობილია ისეთ საფუძველზედ, როგორხედაც არის უმრავლესობა ინგლისის კოოპერატივებისა, ე. ი. როჩდელის პრინციპებისა საფუძველზედ.

ამ შეერთებულ რიგ კაპიტალით ნარდათ მყიდველ საზოგადოებამ პირველად კოველინის ფაბრიკაზედა საქონლის ნარდათ ყიდვა პირველი ხელისაგან. ამ მიზნით მან დაარსა მრელი რიგი განყოფილებებისა, როგორც თვით ინგლისში ისე სხვაგანაც: ირლანდიაში და დანიაში ეს ყიდულობს რძე-ყველს, ამერიაში (კანადა) ტყვეებს, ფამბურგში და რუანში გერმანიის და საფრანგეთის ნაწარმობებს და სხვ. შალე მან რუსის ქარხნებში დაიწყო ისეთი საქონლის წყობობა, რომელიც მის საკუთრებით სჭირთა კოოპერატივს. რიგეს ორ ნარდათ მყიდველ საზოგადოებამ ინგლისისა და შოტლანდიისას) ყავს 7 ჯემი, ვკეთ თხვის დაკეთაობის პლანტაცია კუნძულ ცვილონზედ, მისთვისააგება, ფაბრიკა ფებსაცმელებისა, ტინთსაცმელებისა, კონსერვებისა, თუთუნის ფაბრიკები, სტამბები, სა-

პრინის სადულებელი ქარხნები, წისქვილები, რძის ფერმები, ზეთის სახდელი ქარხნები და სხვ. საზოგადოებას აქვს ას მილიონ მანკთზედ მეტი; მისი აღებ მიცემა უდრის 242 მილიონ მანეთს. მთელი თავის არსებობის შემდეგ (1864 წ.) მათ გაყიდეს საქონელი 1 1/2 მილიარდ მანეთისა, რომელმაც ოცი მილიონი მანეთი წმინდა მოსაგები დატოვა.

რომ მთელი ჯამი ავილოთ, ჩვენ დავინახავთ რომ ინგლისში არის ეხლა ორი ათას კოოპერატიულ საზოგადოებებზედ შეტი, რომელშიდაც ორი მილიონი წევრი ითვლება. ამ საზოგადოებებს აქვთ 264 მილიონი მანეთი, რომელსაც წელიწადში 90 მილიონი წმინდა სარგებელი მოაქვს. ყველა ამ კოოპერატივების მოქმედება გაერთიანებულია „კოოპერატივების კავშირით“, რომელიც თავის თავზედ ლებულობს პროპაგანდას, შეკავშირებას და ორგანიზაციას კოოპერატივებისას, დამოკიდებულებას ტრედ-უნიონებთან, პარლამენტის მოღვაწეებთან და სხვ. „კოოპერატივების კავშირი“ ყოველ წელს იწვევს კოოპერატიულ საზოგადოებათა კონგრესს, სცემს ცენტრალურ ორგანოს ინგლისის კოოპერატივებისას (Кооперативныя новости), რომელიც 50,000 ეკზემპლიარზედ მეტად ვრცელდება.

ქალაქში კოოპერატიული გზებისა.
ინგლისის კოოპერატიული მოძრაობის განსაკუთრებით დამახასიათებელ თვისებას შეადგენს განსაკუთრებული ქალთა კავშირის, ეგრედ წოდებული „ქალებს კოოპერატიული გილდიის“ არსებობა. ის დაარსებულ იქნა 1883 წელს და უწინ ყავდა მხოლოდ 50 წევრი. გილდიამ მიზნად ისა-

ზავს კოოპერაციის იდეის პროპაგანდას, რომ მა-
წედ აღძრას საზოგადო ინტერესი, და საზოგადოდ
ცდილობს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებას
ინგლისში. დღეს გილდიას უკვე 220 მღვ. შტოები
აქვს და 100000 წევრი ყავს. ის არ კმაყოფილდება
კოოპერაციის იდეის პროპაგანდით, ის მართავს
ანკეტებს მუშა-ქალთა მდგომარეობის გამოსაკვლე-
ვად, იბრძვის ქალთა საარჩევნო უფლების შესაძენად
პარლამენტში და საზოგადოდ ცდილობს ქალთა
განვითარებას და სულიერად ამაღლებას. პროფე-
სორ ოზეროვის სიტყვით, დიდი უმრავლესობა
გილდიის წევრებისა—ქმარიანი ქალებია მუშათა
კლასიდან, რომლების ქმრები წევრებათ არიან
ადგილობრივ კოოპერატივებში. ქალების კოოპე-
რატიულ მოძრაობაში ჩათრევას დიდი მნიშვნელობა
აქვს. კოლი—მუშები არამც თუ თითონ ხდებიან
ნამდვილ წევრებათ კოოპერატივისა და ამით
ასლევენ მას სიმძლავრეს, არამედ უკავშირებენ
კოოპერატივს თავის ქმრებსაც; კოოპერატივში შე-
სწლით ქალები, რომლებიც ჩვეულებრივად ჩამორ-
ჩენილნი არიან, ვინემ მამაკაცები, თან და თან
ფხიზლდებიან გონებრივად და უფრო ეტანებიან
საზოგადო პროლეტარულ ინტერესებს.

საქმის არა სასურველი მხარე

ზევით მოყვანილ ციფრებიდან მკითხველი
დაინახავს, რა ნაირ განსაცვიფრებელ შედეგებს
შეიღწიენ ინგლისის კოოპერატიულმა საზოგადოე-
ბებმა. ერთი მუქა როჩდელიელი მქსრველებისა
გადაქცა არმიად ორ მილიონ კაცზე მეტად, ოჯა-
ხობით კი ათ მილ. კაცად, ე. ი. 20%. მთელი ინ-
გლისის მცხოვრებლებისა: მასთან ღურგემის და

ნორტუმბერლენდის მალაროებში ეს პროცენტები 45% აღის, ე. ი. უდრის ნახევარს იქსურის მცხოვრებლებისას. მაგრამ ეს ციფრები, ეს ასი მილიონი მოსაკები და კაპიტალები მკითხველს არ უნდა ამბრმავებდეს. უნდა ვკითხოთ თავის თავს, რა გააკეთეს კოოპერატივეზმა მასისის გასათვითცნობიერებლად, პარტიაში შესაკვშირებლად; რომელსაც ნათლად ესმის მისი მიზანი და იბრძვის მათთვის. აქ უნდა ვსთქვათ რომ ბრწყინვალე მატერიალური შედეგი, რომელსაც მიაღწია ინგლისის კოოპერატივეზმა ცმლმზრვიანა მართალია, კოოპერატივეზი ხელს უწყობდენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებრას აირველი მოთხოვნილენის საგნებზედ ფასის დაკლებით; მათ მწარმოებელ განყოფილებებში სამუ მათ პირობებში ეთანხმებმა პროფესიონალური ყავშირების მოთხოვნილებებს; მართალია კოოპერატივეზი უხმარებოდა ხან და ხან მუშებს გაქირავების დროს: ასე მაგალითად ინგლისის ქვანახშირის მუშათა შესანიშნავ გაფიცვის დროს 1893 წ. სამხრეთ იორკშირის მომხმარებელმა საზოგადოებამ დახარჯა გაფიცულთა დასახმარებლად 20 ათასი მენეთი, მეორე იორკშირის საზოგადოებამ 15,000 მანეთი და მანჩესტერის ნარდათ მყიდველ საზოგადოებამ 50,000 მანეთი. მართალია ისეც, რომ იმათ ცოტა რამ (თუმცა ძალიან ცოტა) მაინც გააკეთეს თავის წევრების განსაფითარებლათ, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, ლექციების, კლუბების, მიტინგების და სხვ. მოწყობით: ასე, მაგალ., 1904 წ. გადადევს სწავლა განათლებისათვის 800,860 მანეთი, საქველმოქმედო მიზნებისთვის 372,500 მანეთი. მთავრამ ამასთან ერთად ჩვენ უნიბლიედ გვაკვირებს ის ვაქრული სული, რომელიც გამეფებულია

ინგლისის კოპერატივების ზემოავლესობაში. მუშეები ხშირად მხოლოდ დივიდენდის მიღებისათვის უკავშირდებიან კოპერატივს, ხშირად შეხვდებით კოპერატორებს, რომელიც სრულიად ზურგს აქცევს მუშათა მოძრაობის სხვა მხარეებს.

მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ იმ როჩდელის საზოგადოებას, რომლის ისტორიაც მკითხველმა უკვე იცის. საზოგადოებაში დიდი ფული მოგროვდა და ის ამ ფულს კერძო კაპიტალისტურ წარმოებაში ათავსებს. 400,000 მ. მან მოათავსა ლანკაშირის და იორკშირის რეინის გზების ჟონდში, 300,000 მანეთი მაილენდის რეინის გზის აქციებში და სხვ. გასაგებია, რომ როცა კოპერატივებში კერძო წარმოების აქციონერებათ ხდებიან, ამით ისინი მონაწილეობას იღებენ დეპრიაციულ შრომის ექსპლოატაციაში, რომელიც არაფრათ არ გახორჩევს ვაჭრალისტის ექსპლოატაციისაგან. მართალია, რომ დეპრიაციული შრომა მომხმარებელი საზოგადოების საწარმოო განყოფილებებში და ცარსებობს; მუშები ფებსცემლის ფაბრიკაში ან ბურის სპიხში, რომელიც კოპერატივს ეკუთვნის მუშებზე უკლებიერ პატრონის კოპერატორის სასარგებლოდ; იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ზედმეტი ღირებულება, რომელიც ჩვეულებრივად მიღებული კაპიტალისტის ხიბაში, აქ მიღის ყველა წევრების ხიბაში. მაგრამ კოპერატივში თუ საკმარის დაყრდნობა არაა, ეს ექსპლოატაცია მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მუშებზე მონაწილეობას ღებულობენ საზოგადო მოსაგებებში. ისინი იარაღს სრულყოფილებით წევრები კოპერატივისა, მათი შრომის პირობები უთანხმება პროფესიონალური კავშირების ტარიფებს და მოთხოვნ იღებებს; ამას

გარდამხრისაგები შეიძლება მოხმარდეს სწავლა-
 განათლებას, პროლეტარული მასისის შეკავშირებას
 და სხვ. სულ სხვა ნაირად არის საქმე მაშინ, თუ
 კოოპერატივი, როჩდელიელ საზოგადოებასავით
 აქციებს ყიდულობს რკინის გზის კომპანიებში.
 რკინის გზის მფლობელი არც მის მოსაგებებში ტებუ-
 ლობენ მოწაწილეობას და არც მის მართვა-გამვე-
 ობაში ისინი მუშაობენ იმ პირობებში, რომელ-
 საც დააწესებს რომელიმე რკინის გზის მეფე. აქ
 ხდება განუსაზღვრელი ექსპლოატაცია და ამ ექსპლო-
 ატაციაში როჩდელიელი კოოპერატორები ისეთივე
 მოწაწილეობას დებულობენ, როგორც სხვა აქციო-
 ნერები. ნუ თუ საჭიროა იმაზედ ლაპარაკი, რომ
 ასეთ სოციალისტურ ექსპლოატაციაში უნაწილე-
 ობის მიღება, მუშა-კოოპერატორების შიშო, მაზარა-
 ლებელია მუშებისათვის, რამდენადაც ის ეწინა-
 აღმდეგება პროლეტარიატის მიზანს — ებრძოლოს
 ყოველგვარ ექსპლოატაციის ფორმას დაჭირავე-
 ბულ შრომისა.

დივიდენდის, მოსაგების გამოკიდება ხშირად
 უზნებლებს ინგლისის კოოპერატორებს მუშათა
 მოძრაობის საბოლოო მიზანს. და ჩვენ სინამდვი-
 ლეში ვხედავთ, რომ მუშების შესაკავშირებლად
 პოლიტიკურ პარტიაში ინგლისის კოოპერატივებმა
 ძალიან ცოტა გააკეთეს. ძლიერ ხშირად ისინი
 კიდევაც ახერხებდნენ კონკრეტულ ბრძოლის იღვას.
 საჭიროებისა შიუთბითოთ იმაზედ რა ნაირად არის
 გამოთქმული შერაი უმთავრესი მიზანი კოოპერა-
 ტიული წესებისა, რომელთა და ჩვენ ზევით ვი-
 ლაპარაკით დეს მიზანია, ხელი შეუწყოს პარტიოსნე-
 ბის, სამართლიანობის და ეკონომიის განვითარებას-
 წარპოებაში და გაცვლაში, შეარიგოს (!) ინტე-

რესები კაპიტალისტის, შუშის და მყიდველის, რომელიც ერთმანეთს ეჯახებიან სამართლიანი (!) ფონდის გაყოფით, რომელსაც მოსაგები ქვიან“.

ასე, მუშებს უნდათ დაამტკიცონ, რომ „ეკონომიის“ საშვალეებით მათ შეუძლიან გახდენ თითქმის კაპიტალისტებიც, რომ მათი მტრები არა კაპიტალთან ბრძოლა, არამედ, პირველთა, მშვიდობიანი თანამშრომლობა კაპიტალისტებთან და „სამართლიანი“ გაყოფა მრეცავებისა. თავის თავად უნდაია, რომ ასეთი იდეა მხოლოდ აბნელებს მუშების თვით შეგნებას და აბუერხებს მუშათა კლასიურ მოძრაობას.

ამ ნაირად, ინგლისის კოოპერატიული მოძრაობა გვეძლევეს ჩვენ ორ ნაირ გამოცდილებას. ჩვენ ვტყუებილობთ, როგორ და რა ნაირ საფუძველზედ უნდა მოწყობილ იქმნას კოოპერაცია, რომ მივაღწიოთ მის მატერიალურათ აყვავებას; მაგრამ, ამასთანავე ჩვენ აქ ვხედავთ საქმის მეორე ბუნებრივ მხარეს, ჩვენ ვხედავთ რა ნაირ მისწრაფებებს, რა ნაირ სულისკვეთებას უნდა გაუბრძოდეთ კოოპერატიულ საქმეში. ბელგიის კოოპერაციის ისტორიის გვაჩვენებს ჩვენ იმასაც, თუ როგორ უნდა ვვიცილოთ თავიდან ეს მისწრაფებანი.

თ ა ვ ი III.

კოოპერაცია ბელგიაში.

ბულგაა—კოოპერაციების მხარეა.

ბელგიის კოოპერაციების მხარეა, მართლაც და თვითვე ბელგიის ქალაქში თქვენ ნახავთ ერთ ან რამდენიმე მომხმარებელ საზოგადოებებს საწარმოო განყოფილებებით. სქლად დასახლებულ სამ-

ბელგიაში (19) მოვიხილოთ ეს საზოგადოებები და შევხედოთ მათ.

რეწველო ცენტრებში თქვენ ყველაზედ უწინ თვალში გეცემათ „სახალხო სახლი“ — მუშათა კოოპერატივი. ბრიუსელში, გენტში, ანტვერპენში და სხვა ქალაქებში ეს „სახალხო სახლები“ ნამდვილ სასახლეებს წარმოადგენენ, ეს ბელგიის მუშების დიდებაა, ნაყოფია დიდი ხნის შეურყეველი შრომისა. პატარა ბელგიას, რომელიც 700 ჯერ პატარაა რუსეთზედ, აქვს თითქმის ორ ჯერ მეტი კოოპერატივები ვინემ ჩვენ.

ქალაქებიდან კოოპერატიული მოძრაობა გადავიდა სოფელშიც და აქაც ამ უკანასკნელ ხანებში დიდი გამარჯვება მოიპოვა გლეხებში. ეხლა ბელგიაში თითქმის 2 $\frac{1}{2}$ ათასი კოოპერატიული საზოგადოებებია, რომელნიც აერთებს ერთ მილარს კაცს (ოჯახობიანათ). თუმცაღა ეს რიცხვი მცირეა აქ, ვინემ ინგლისში, სადაც, როგორც დაინახეთ, შეკავშირებულია 2 მილიონი კაცა, ე. ი. ოჯახობით, დაახლოვებით, მცხოვრებთა ერთი მეხუთედის, მიუხედავად ამისა ბელგიის კოოპერატივები უფრო ღიღ როლს თამაშობენ პროლეტარიატის ცხოვრებაში, უფრო შესანიშნავ ბეჭედს ასვენს მთელს ბელგიის საზოგადოებრივ განვითარებაზე.

ბელგია კოოპერაციების მხარია. მაგრამ ეს გამარჯვება ბელგიის მუშებს ერთად კი არ შეუძენიათ. ამას იაინმა მიაღწიეს დიდი შრომის, დამარცხების და იმედების ვაცრუების შემდეგ. საზოგადოებები ასობით არსდებოდნენ და ილუპებოდნენ. ისინი, ვინც არსებდენ შათ, დამარცხებულნი, სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ; ამათ ადგილს სხვები, უფრო გამოცდილები, იჭერდენ, რომელთაც წინამოადგილის დამარცხებამ გამოცდილები შესძინა. სამოცლაათი წელიწადი წავიდა ამ მუშაობაზედ.

და მხოლოდ ამ ოცი—აქდაათის წლის წინათ, მოღონიერებულ სოციალისტურ პარტიებთან ერთად მოვიდა ფეხი კოოპერატივებმაკ, და მას შემდეგ მისი განვითარებაც შეუჩერებლად მზდის წინ. საინტერესოა თვალი გადავავლოთ, თუ როგორ გადაკვირთ, ამ გრძელ მძიმე გზას, მან ბევრად რაში შეუძლია გვასწავლოს ჩვენ.

დამარცხებათა ისტორია.

საინტერესოა, აღენიშნოთ ის, რომ კოოპერატიული მოძრაობა ისე, როგორც ჩვენში, რუსეთში, აღმოცენდა არა ჩვეულებრივად, საქონელზე ფასების აწევის გამო. ერთად და აგივე მიზეზები ერთსა და იმავე შედეგებს იწვევენ.

კოოპერაციის იდეა აღორძინდა გვასულს საუკუნის მეორე მოცე წლებში, მაშინ, როდესაც ბელგიაში (და მთელ-დნსაველეთ ევროპაში) საშინელი ეკონომიური კრიზისი იყო. 1845—47 წ.წ. ქართობილის ავითმყოფობამ და პურის გამოუსვრელობამ ძალიან ასწიეს ფასი ამ საგნებზეც; ბელგიის მუშები კი პურით და ქართობილით იკვებებოდნენ. წერილმა ვაქრებმა და პურის ხარჩებმა უფრო ასწიეს ეს ფასები. მძვინვარებდა უმუშევრობა, სამუშაო ქირა დაეცა 20 მანეთამდის თვეში. ქალებში მძლიერდა და განმარტდა სიღარიბე და ბოროტობაქმედებებ—ეს ორი მძიმე მილობის თანამგზავრი. ციხეები თავშესაფარად გადაიქცა მძობობს ბელგიის კოოპერაციის ისტორიკოსი ბერტრანი. სასამართლოების კარებთან იჯგუშებოდნენ—უბედურნი, რომ წაღვლილი ემოვნათ, სატუსლოში რომელიც წამდვილათ კი დამნაშავედგაზვის იყო

დანიშნული... ბევრ ალაგებში იფეთქა მშვიერმა ბუნტმა, რომლის ჩასაქრობად ბურჟუაზიამ ჯარს და ზარბაზნებს მიმართა.

ამ აჯანყებებმა ძალიან შეაწუხა ბურჟუაზიაც, საჭირო იყო ცოტათ მაინც მასსიური აღშფოთების შემცირება. პრიუსელში დაარსებულ იქმნა ერთ ნაირი სანოვანო-სააგენტო, რომელსაც უნდა მიეყიდა მცხოვრებლებისთვის საქონელი დაკლებულ ფასებში. სხვა ადგილებში დსწიეს აკციზი ხორცზე, დაარსებულ იქმნა საზოგადო სამუშევრები და ქალაქის პურის საცხოვრებელი ფურნეების პატრონებმა არ დაავიანეს პროტესტი გამოცხადებით ამის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ქალაქ იპერნის 1847 წ. წლიურ ანგარიშში სწერია: „1846 წელს ქალაქის მეფურნეები ბევრ საყვედურებს გვიცხადებდნენ ქალაქის პურის საცხოვრებლის მოწყობის წინააღმდეგ ქალაქის თვითმართველობა—ამბობდნენ ისინი—ჩვენ კონკურენცივს გვიწვევს, რომელსაც ააუცალკებლად ჩვენი მრეწველობის გაკოტრება მოყოლობო... გადასწვებტეს რომ ამ განცხადებაში სიმართლის ბატარა წილი არისო“. ადვილი გასაგებია, რომ ბურჟუაზიული მუნდციპალიტეტები (ქალაქის საბჭოები) თუ რამეს აკეთებდნენ ღარიბ მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, აკეთებდნენ უნებლრეთ, ცოტას, და ყოველთვის მზად აყენენ წინ მოკმინათ ხაზინების ყვირილი „სამშობლოს მრეწველობის დაღუპვაზე“, ვინემ გოდება დამშკული ამუშებეს სანოვანო მღაზიები მალე დაახურა, მეფურნე—ხაზინების პროტესტის ზეგავლენით დაიბურა ქალაქის პურის საცხოვრებელ. მაგრამ, როგორც არ უნდა აყოს, ამ მღაზიებმა და პურის საცხოვრებმა ნათლად დაუმტკიცეს რუშებს, რომ შეიძლება

ცხოვრება უშუამავლობით—მედუქნეებით და ვაჭრე-
ბით. ამან კი მოამზადა ნიადაგი კოოპერაციის იდე-
ის განსფეროებლად, რომელსაც ქადაგებდნენ მა-
შინდელნი სოციალისტები.

ეს ქადაგება გაძლიერდა 1848 წ. საფრანგეთის
რევოლუციის შემდეგ. ამ წლის თებერვალში სა-
ფრანგეთის მუშეებმა შესძლეს რესპუბლიკა შექოლოთ
და გაიყვანეს დროებით მთავრობაში, ორი თავისი
წარმომადგენელიც ლუი ბლანი და მუშა აღბერ-
ტი. რესპუბლიკა ძალიან მოკლე დღის გამოდგა,
მაგრამ მუშეების ძალდატანებით დამფუძნებელმა
კრებამ გადასდო სამი მილიონი ფრანკი მწარმოე-
ბელ ამხანაგობების დასაარსებლად. ეს ამხანაგო-
ბები მალე ფართოდ გავრცელდა მთელ საფრანგეთ-
ში: მარტო პარიჟში დაარსებულ იქმნა 250 ასეთი
სახოგადოება. ამ მოძრაობას გავლენა უნდა ექო-
ნიებია მეზობელ ბელგიაზედაც. საფრანგეთიდან
დაბრუნებულმა ბელგიელმა მუშეებმა საფრანგეთის
სოციალისტებთან ერთად, რომლებმაც ბელგიაში
იპოვეს თავ-შესაფარი გამხუცებულ ბურჟუაზიის დევ-
ნისაგან, ძლიერი აგიტაცია გასწიეს მწარმოებელთა
სახოგადოებების დაარსების სასარგებლოდ. მათ
სწამდათ, რომ მწარმოებელი ამხანაგობები (არტე-
ლჰები) მოწოდებულია—ქვეყანა განაახლონ. მათ
ეგონათ, რომ ეს ამხანაგობები შესძლებენ კაპიტა-
ლისტების მოშორებას და ქვეყნად დაამყარებენ
შრომის სამეფოს—სოციალიზმს. დღეს ჩვენ კარგად
ვიცით, რომ ეს შემცდარი აზრია. მაგრამ მაშინ
მოწინავე მუშეები სხვა აზრისანი იყვნენ. მათ ჯერ
კიდევ არ ქონდათ ნათელი წარმოდგენა კაპიტა-
ლიზმზედ და მის მოსპობის საშუალებებზედ. მათ
ჯერ კიდევ არ ქონდათ ხელში მძლიერი იარაღი,

რომელსაც მეცნიერული სოციალიზმი ქვიან. და აი, შეუდგენ კიდევ მუშაობას მწარმოებელი ახანაგობების დასაარსებლად.

პირველი ასეთი საზოგადოება იყო: „თერძების ძმური ამხანაგობა“ ბრიუსელში, რომელიც თერძმა—სოციალისტმა ნიკოლოზ კულონმა დაარსა. ამ ამხანაგობის წესდებით, თითქო გათვალისწინებული იყო ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები, რაც ცუდ გავლენას იქონიებდა საქმეზე: იყო შემოდებული დაბალი პაეები, მოსაგები იყოფებოდა თანასწორად და სხვ. მიუხედავად ამისა 4 წლის შემდეგ ეს ამხანაგობა გაქრა. ასე მოუვიდა ამხანაგობებს: მეჩქმეების, მეპაპიროსეების, ღურგლების, ხუროების და სხვ. ასინი არსდებოდა 30 და ზოგიერთი, 99 წლის ვადით და ათ წლამდისაც ვერ სძლებდა. ყველა მაშინ დაარსებულ ამხანაგობებში ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ „სტამბების კავშირმა“; მაგრამ 1900 წელს მასში ითვლებოდა არა უმეტეს 25 წევრისა; შესატანი ფულის სიდიდე მას უფრო აქცევდა სააქციონერო საზოგადოებათ, ვინემ კოოპერატივთ. ასევე უხერხული იყო ცდაც მომხმარებელი საზოგადოების დასაარსებლად. ასე, მაგალითად, 1850 წლის ბოლოს ბრიუსელში შესდგა მომხმარებელი საზოგადოება „სოლიდარობა“, რომელსაც მიზნად ქონდა შეერთებული ძალით პროფიზიის ყიდვა. მისი დამაარსებელნი იყვნენ თერძების, მესტამბეების, ქვის მთლელების, მეჩქმეების, მეხანიკეების, ღურგლების და სხვა პროტესიონალური კავშირების თავმჯდომარეები. დაიწყეს საქმე საყასბოს გახსნით, მაგრამ ჩაერია პოლიცია და დამაარსებელნი პასუხის

გებაში მისცა ხორცის არა ბაზარში გაყიდვის-
თვის. და საზოგადოებაც დაიშალა.

ამ წაიარად, 1848 წელს შემდეგ დაარსებული
ამხანაგობები (უმთავრესად ეს ამხანაგობები მწარ-
მარებელი იყო) ერთი მეორეს შემდეგ გაქრენ.
მათგან აღარ დარჩენილა არაფერი. რა იყო მიზეზი
ასეთი წარუმატებლობისა? საზოგადო მიზეზებს
გარდა, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოე-
ბის გაკოტრება, უმთავრეს რაღოს აქ თამაშობდენ
მთავრობის დაბრკოლებები და ის, რომ კოპერატი-
ვი არ იყო კანონმდებლობიდან ცნობილი. მაგ-
რამ რაც უფრო საყურადღებოა, — ეს ბელგიის მუშე-
ბის მაშინდელი განუვითარებლობა, განათლების
ნაკლებობა, კოოპერატიული მოძრაობის პრინ-
ციპების არ ცოდნა და გამოცდილი, ნიჭიერი
კაცების უქონლობა.

მოძრაობა დაწყებული ასეთვე ენტუზიაზმით
და რწმენით დიდი ხნით შეჩერდა, ბევრს ექვიც
შეეპარა კოოპერაციაში; უკანასკნელთა რიცხვში
ერთი თერძი კულონიც. მაგრამ იყვნენ ისეთებიც,
რომელთაც ღრმად სწამდათ კოოპერატიული მო-
ძრაობა და ამავე დროს უთიფებდენ მათ დაშვებულ
შეცდომებზედ. მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა
შორის ბოლომდე კიდევ უფრო ძელს უწყობდა
საქმის გამორკვევას.

მოძრაობა შესწყდა. მაგრამ, აი, 1864 წელს
ლონდონში არსდება შესანიშნავი საერთაშორისო
მუშათა საზოგადოებები (ინტერნაციონალი) და ყვე-
ლაქვეყნებში არსდება მისი სექციები.

დაქსასული მუშათა მოძრაობა ცალკე სახელ-
მწიფოებისა ერთდებიან ინტერნაციონალით ერთ
მწყობრ მთელად, კლასობრივი ბრძოლის ერთი

სულით გამსჭვალულნი. ინტერნაციონალს ეკედლე-
ბა მუშათა ფართო ორგანიზაციები, კავშირები,
ჯგუფები, ურთიერთ დამხმარე კასები.

იწყება ახალი ხანა მუშათა მოძრაობისა,
ახალი ხანა სოციალიზმისა. მასთან ერთად იზრდება
ცხოვრებაში კოოპერატიული მოძრაობაც.

ბელგიაშიც გაჩნდა ინტერნაციონალის სექცია.
მისი წევრები, ბერტრანის სიტყვით, მოგზაურობ-
დნ ქალაქიდგან ქალაქში, სოფლიდგან სოფელში,
და ურჩევდნ მუშებს შეკავშირებულიყვნენ ყოველ
გვარად, თვით განვითარების დაპროპაგანდისათვის,
ცხოვრების გასაიაფებლად კოოპერაციების საშვა-
ლებით და შრომის უკეთესი პირობების მოსაპოვ-
ლად პროფესიონალური კავშირების შექმნით და
სხვ.

1868 წელს ბრიუსელის ინტერნაციონალურ
კონგრესზედ დადგენილ იქმნა, რომ კოოპერატი-
ვებში აღილი არ უნდა ქონდეს მოსაგებს ფულ-
ზედ და გადასწყვეტეს, რომ მუშების საერთომო-
ძრის საზოგადოების წევრები შევიდნ „სხვა და
სხვანაირ კოოპერატიულ საზოგადოებაში, იმ
მიზნით, რომ ყოველი საშვალებით ეცადონ, რომ
ამ საზოგადოებებში მიიღონ პრინციპები, კონგრე-
სისაგან აღიარებული კოოპერაციების უკეთეს
სისტემის რეზოლიუციაში“.

და, აი, ინტერნაციონალის მოქმედების ზე-
გავლენით, ბელგიაში ეწყობა რიგი მომხმარებელი
და მწარმოებელი ამხანაგობებისა. ასრულებენ რა
აღნიშნულ კონგრესის დადგენილებებს, სოცია-
ლისტებს გაყავს ყოველგან დემოკრატიული რაი-
დელიელო პრინციპები. ზოგიერთ მომხმარებელი
საზოგადოებების წესდება ანთავისუფლებდნ და-

რიბ წევრებს ყოველ გვარ გადასახადისაგან; ამას გარდა, თუ წევრი კოოპერატივისა ძალიან დაღლიანებული იყო კერძო დუქანში, კოოპერატივი თითონ იხდიდა მის მაგივრად ვალს, ერთად ერთი პირობით — რომ საქონელი მათ უნდა ეყიდათ კოოპერატივის მაღაზიაში. კოოპერატივებთან ხშირად არსდებოდა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები და ფონდები სწავლა-განათლების და პროპაგანდისათვის. არსდებოდა კიდევ მწარმოებელი ამხანაგობები დურგლებისა, მღებავებისა, ქვის მთლელებისა და სხვ... მოძრაობა თან და თან იზრდება და ბელგია რამოდენამე ხნის შემდეგ იფარება კოოპერაციების ბადით. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ გამოძვლავნდა ის ქეშმარიტება, რომ მოძრაობის გასამარჯვებლად არ კმარა კარგად შედგენილი დემოკრატიული წესდებები, არ კმარა მარტო მაღალი იდეალები და წმინდა მისწრაფება კოოპერატივებისა.

საჭიროა კიდევ, რომ მუშათა მასსაში საკმარისად განვითარდეს შევჩება და სოლიდარობა; საჭიროა გამოცდილება და ახლო გაცნობა კოოპერაციების სწორი პრინციპებისა. და მუშათა მასსა კი მაშინ ძალიან განუვითარებელი და დაქსაქსული იყო. საკმარისი იყო 1871 წელს კომმუნის ქარიშხლის გარბენა, რომელმაც დაამარცხა მუშათა კლასი მეზობელ საფრანგეთში და მოცულა ინტერნაციონალი; საკმარისი იყო სოციალისტური მოძრაობა შეჩერებულიყო, რომ კოოპერატიული მოძრაობა საფუძველ გამოშლილი და ხელმძღვანელებ მოკლებული ხელ-ახლა ჩამკვდარიყო მთელი წლებით. კიდევ ილუპება რიგი კოოპერატივებისა და 1880 წლისთვის მთელი ბელ-

გიაში ძლივს შეიძლებოდა ჩამოგეთვალათ რამოდენიმე საზოგადოება (ბურჟუაზიულ კოოპერატივებს თუ არ ჩავთვლით) და იგინიც სულს დაფადენ.

მაგრამ ამ დამარცხებებიდან, რომელიც თითქმის 40 წელს გაგრძელდა, ბელგიის მუშებმა ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს. იწყება შეკავშირება მუშათა პარტიისა. 1879 წლის დასაწყისში ყველა საოლქო სოციალისტურ ორგანიზაციებს კონგრესმა ერთხმად დაადგინა შემდგარიყო ერთი ბელგიის სოციალისტური მუშათა პარტია. მუშათა პარტია ფეხზედ დგება. ერთი წლის განმავლობაში (1880 წლ.) გენტის მქსოველები — სოციალისტები, საძირკველს სკენიან ახალი კოოპერატივის «წინ»-ის დასაარსებლად, რომელსაც წილად უნდა ხდომოდა კოოპერატიულ მოძრაობაში ახალი ეპოქის გახსნა. ამ კოოპერატივის ისტორიაზედ ღირს უმეტესად შევიჩერდეთ.

გენტის მუშების კოოპერაცივი „წინ“

ჯერ კიდევ 1873 წელს, საქარხნო ქალაქ გენტში, რომელიც სქლად დასახლებულია მუშებით, ძაფის მსტველების და მქსოველების პატარა ჯგუფმა დაარსეს კოოპერატიული პურის საცხობი. მათ შორის იყვნენ სოციალისტებიც და უპარტიონიც. პურის საცხობის წარმატება არ იყო მუდმივი. ერთ დროს იმის გამო, რომ კასირი გადაიმაღლა და ფულებიც თან წაიღო, კოოპერატივის გაკოტრება მოელოდა. ის გადაარჩინეს სოციალისტებმა, რომლებმაც კოოპერატივს სასარგებლოდ ვარი სთქვეს თავისი ფულის მიღებაზედ. მაგრამ მალე უფრო სერიოზული საქმე დაუდგათ წინ. უპარტიონი და-

ყინებით მოითხოვდნენ, რომ კოოპერატივი ნეიტრალური ყოფილიყო და არავითარი საქმე არ ქონებოდა პოლიტიკასთან და პარტიასთან. სხვებს კი, და მათ შორის ერთ ეხლანდელ ბელგიის სოციალისტების მეთაურს, ანსეელეს, უნდოდათ კოოპერატივი გასოფეყნებიათ კლასთა ბრძოლის იარაღად და არ დაეფარათ სოციალისტური დროშა. უფრო მშიშრები უმრავლესობაში დარჩენ; კოოპერატივი გაიყო და იქიდგან წასულმა სოციალისტებმა დაარსეს ეხლა შესანიშნავი კოოპერატივი „წინ“ (1880 წ.).

მქსოველებ — სოციალისტებს, რომლებმაც ხელი მოკიდეს ამ საქმის ორგანიზაციას, ქონდათ სულ 25 მანეთი, მაგრამ მქსოველების პროფესიონალურმა კავშირმა ასესხა მათ 750 მანეთი, და აი, ამ გროშებით მოაწყვეს ფურნე ერთ პატარა სასირაჯოს (карацх) ეზოში. შესატანი ფული, რაც შეიძლება, ძალიან პატარა იყო დანიშნული. კვირაობით წევრები ყიდულობდნენ ჟეტონებს (მარკებს), რომელსაც მერმე პურში სცვლიდნენ. პურის საცხობის საქმე კარგად წავიდა; პარველი წლის ბოლოსვე კოოპერატორებს შეიძლება ქონდათ მთელი ვალი გადაეხადათ. სამი წლის შემდეგ ძველი ფეხის ნაცვლად მოაწყვეს სამაგალითო ფურნე, მექანიკური ცომის სახელით, ორთქლის მამოძრავებლით და გაუჭკობესებული ფეხებით. პურის საცხობის გარდა ცენტრალურ შენობაში მოაწყვეს საყავე, ვეებერთელა ზალა კრებებისთვის, სამკითხველო, მაღაზიები და სხვა. კიდევ სამი წლის შემდეგ იყო გაღებული სტამბა; აქ იბეჭდებოდა სოციალისტური გაზეთი, რომელიც იმავე დროს იყო კოოპერატივების ორგანოც და გამოდიოდა იმავე

სახელით — „წინ“. საქმე თან და თან ფართოვდებოდა. გაღებულ იქმნა აფთიაქი, რესტორანი, სამანუფაქტურო მაღაზიები, ჩექმის საკერავი სახელოსნო და სხვ. ამ ნაირად, პატარა ფურნე, რომელიც სასირაჯოს ეზოში აფარებდა თავს, ეხლა თან და თან იზრდებოდა და მის გარშემო მრავალი სხვა და სხვა ნაირი დაწესებულებები არსდებოდა: ერთი მუქა მქსოველები კი 7 ნახევარ ათას კაციან მხმარებელთა არმიად გადაიქცა.

„წინ“ — სოციალისტური კოოპერატივია და მის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ კოოპერატივის გამარჯვება დამოკიდებული იყო მუშათა მასის განვითარებაზედ, რომ შათ კარგად შეეგნოთ საკუთარი კლასის მიზანი და ერთობა ამ კლასის გაცალკევებულ ორგანიზაციების — პარტიის, პროფესიონალური კავშირების და კოოპერატივების. ამ, რატომ აქცევდნენ უმთავრეს ქურადლებას კოოპერატორები პროპაგანდის გაძლიერებას, პარტიის და კავშირების მხარის დაჭერას. როდესაც ბორი ნაჟის ქვა ნახშირის მუშებში გაფიცვამ იფეთქა გენტის კოოპერატ. მათ 25.000 გირ. პური გაუგზავნეს.

დღეს „წინ“-ს ყავს 7.500 წევრი და შემოსავალი აქვს მარტო ფურნიდგან 400.000 მანეთი წელიწადში. ფურნეში კვირეში ცხობა 250.000 გირვანქა პურიჲ ამაში მუშაობს 50 პურის მცხობლები და 15 დამტარებლები. ფურნეს გარდა „წინ“-ს აქვს 12 ბაკალეიანის მაღაზიები, 4 აფთიაქი, ფებსაცმლის და ტანისამოსის სახელოსნოები, ნახშირის საწყობები და სკულპტურულ — მხატვრული*) სახელოსნოც კი. მის უმთავრეს მაღაზიაშა

*) სკულპტურა — ქანდაკება, აქედგან სიტყვა — სკულპტორი — მქანდაკებელი

თქვენ ნახავთ ყოველი გვარ საქონელს; მის შენობაში ბინა იპოვეს სოციალისტურ წიგნების სავაჭრომ, ყოველ დღიურ გაზეთ „წინ“-ის რედაქციის კანტორაჲ და ჯმთაფრეს სოციალისტურმა სტამბამ.

ენახათ როგორ არის მოწყობილი კოოპერატივე. პაა ლირს 3 მან. და 70 კ.; მაგრამ საკმარისია შეიტანათ 10 კაპ. და თქვენ ხდებით სწორ უფლებიანი წევრი; რაც შეეხება პაის, ის ივსება იმ მოსაკვებებიდგან, რომელიც თქვენ მიერ ნაყიდ საქონელიდგან რჩება. პური და ნახშირი სხვლებში მოაქვთ ძაღლებით *). ვაჭრობა არის შეტონებით, რომელიც წინ და წინ უნდა შეიძინოთ კოოპერატივის დუქანში. კოოპერატივის წევრი თუ კვირაში ორ კაპეიკს შეიტანს კიდევ, მას უფლება აქვს ავთმყოფობის დროს უფულოთ ისარგებლოს ექიმით და კოოპერატივის აფთიაქიდან წამლები მიიღოს, და აგრეთვე უფასოდ მიიღოს პურიც 6 კვირის განმავლობაში. წევრის სიკვდილის დროს ოჯახობას ეძლევა დასამარხავი ფული. მშობიარებს კოოპერატივი აძლევს ხარჯს ერთი კვირის განმავლობაში და ახლად შობილისათვის საცვლებს.

კოოპერატივთან არსებობს საპენსიო ფონდი. პენსია ეძლევა წევრებს—რომელთაც 60 წელს გადააყლეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგიწამოცი წლის განმავლობაში იყიდეს კოოპერატივის დუქანში არა ნაკლებ 1,110 მანეთის საქონელი. პენსიაც შეტონებით იძლევა. პენსიის რაოდენობა მართალია, დიდი არ არის—44 მანეთიდგან—133

*) ბელგიაში მიღებულია ძაღლებით საქონლის ზიდვა

შანეთამდის წელიწადში; მიუხედავად ამისა პენსია აიძულებს წევრებს საქონელი სხვაგან არ იყიდონ და ის ხდება საშეაღებათ, რომელიც მუშას კოოპერატივთან იზიდავს.

სარგებელი სამ ნაწილად იყოფა! ერთი ნაწილი მიდის მუშათა პარტიის გასამაგრებლად და ბიბლიოთეკების, კურსების და სხვ. მოსაწყობად, მეორე ნაწილი—სარეზერვო ფონდის გასაძლიერებლად, მესამე—ურიგდება წევრებს იმის და მიხედვით თუ რამდენი საქონელი უყიდათ, სარგებელი ნაღდათ არ იძლევა, არამედ ექტონებით, რომლითაც ყველაფრის ყიდვა შეიძლება, რაც კი არის კოოპერატივის მაღაზიაში.

კოოპერატივის მართვა-გამგეობა დამყარებულია სასტატუსო დემოკრატიულ საფუძველზე. ყველა მოსამსახურენი, გამგიდგან დაწყებული და გათავებული მუშებით, თითქმის ერთნაირ ჯამაგარს ღებულობენ. აღსანიშნავია, რომ საზოგადო კრებებზედ, რომელიც ყოველ სამ თვეში ერთეულ ხდება, წევრის დასწრება საავალდებულოა. კრებებზე არ დამსწრე წევრები 10 კაპიკს ჯარიმას იხდიან. ეს წესი აიძულებს წევრებს კრებას დაესწრან და თვით მოქმედება გამოიჩინონ; მეორე მხრით წევრის დაკლებაც საზოგადო საქმის სასარგებლოდ მიდის.

რა ნაირია მოსამსახურეების მდგომარეობა „წინ“-ში? ჰუკრის მცხოვრების ქირა საათში აბახს შეადგენს, ე. ი. 30 პროც. მეტია, ვინემ კაპიტალისტურ ფურცლებში; ნოქრები ღებულობენ 4 მან. 80 კ. დაწყებული 6 მან. 80 კაპ. კვირაში და ამას ზევით შეშას, ნავთს და ბინას. კოოპერატივის მუშების მდგომარეობა უფრო კარგია, ვინემ

კერძო წარმოებაში. ასე, მუშა ქალები კო-
ოპერატივის ტანისამოსის საკერავ სახელოსნოში
3000 მანეთით მეტს ღებულობენ იმაზე, რამ-
დენიც მათ შეუძლიათ მოიმუშავეონ კაპიტალის-
ტურ სახელოსნოებში. ამას უარდა მუშა ქალები
და კაცები ამხანაგობის მოსაგებში მონაწილეობას
ღებულობენ; თუ ამაზე მიუმატებთ იმას, რომ მუ-
შები კოოპერატივში მხოლოდ 8 საათს მუშაობენ,
მაშინ როდესაც ბელგიაში საშვალოდ 11 საათის
სამუშაო ღდა, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ
ბელგიის მუშებს სრული უფლება და საფუძველიც
აქვთ მიუთითონ შრომის პირობებზედ თავის კო-
ოპერატივში, როგორც სამაგალითო და დაყენებუ-
ლი ბევრად ზევით, ვინემ შრომის პირობები კერძო
წარმოებაში.

კოოპერატივის გარშემო აჯგუფება მიიღო
რაღა ორგანიზაციებისა, დაწყებული პროფესიონა-
ლურა კავშირებით, თვითგანვითარების საზოგადოე-
ბებით, ქალთა კლუბებით და კურსებით და გათა-
ვებული გამნასტიური და მუხაკალურა წრეებით.
და ყველა ეს დაწესებულებები გამსჭვალულნი არიან
პროლეტარული სოლიდარობის გრძობით და
მისწრაფებით და ცდილობენ ამაღლდენ არსებობის რმ
საბრალო პირობებზე, რომელსაც იძლევა კაპიტალის-
ტური წესწყობილება და კოოპერატივი გა-
დააქციონ ერთ-ერთ იარაღად მუშათა კლასის გან-
თავისუფლებისა. ყველა ამ ორგანიზაციებს ზემოდ
გაშლილია კოოპერატივის წითელი ბაირალი, რო-
მელაც პროლეტარებს ეძახის „წინ“...

გენტის სოციალისტების შვილი „წინ“ გადა-
იქცა მუშათა მოძრაობის ბურჯათ არამც თუ გენტ-
ში და მის მიდამოებში, არამც მთელ ბელგიაში.

ის სცემს ყოველ დღიურ სოციალისტურ გაზეთს „წინ“ ის რომელიც მხოლოდ 40 სანტიმი (2 კაპ.) ღირს და 30.000 ეკემპლარს სალდება. ეს მისი სარგებელი ფარავს, ვანდერველდეს სიტყვათ, სოციალისტურ პროპაგანდის მოელ ხარჯს ფლანდრიაში. ის ეხმარება გაფიცულებს კაპიტალთან ბრძოლის დროს. ის ეხმარება უფრო ნაკლებათ ბედნიერ ამხანაგობებს. მან მისცა უწინ ფული საქმის დასაწყებად ბევრ კოოპერატივებს, რომელიც ფლანდრიის პატარა დაბებში აღორძინდა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, როდესაც მან დაუმატა 40.000 მანეთი მუშების შეგროვებულ ფულს, რომლითაც დაარსდა კოოპერატიული საქსოვი ფაბრიკა ანსეელეს ხელმძღვანელობით; მან ააგო უზარმაზარი შენობები და ამ შენობებს სიამოვნებით უთმობს სოციალისტურ. ფედერაციის სხვადა სხვა ჯგუფებს თავის განკარგულებაში.

და თუ გენტი მუშები კიდევ კენესაფენ კაპიტალის მონობის ქვეშ, ამათ თავიანთ კოოპერატივში მაინც შექმნეს ერთნაირი იარაღი კაპიტალიზმთან საბრძოლველად თავის განთავისუფლებებისა, ამისათვის ანსეელეს სიტყვებში არის ცოცხალი სიონარტლეც, როცა ის ამბობს, რომ „წინ“-ი გადაიქცა სოციალისტურ სიმაგრედ საიდგანაც ბურჟუაზიულ საზოგადოებას ყუმბარებს უშენენ ხოლმე ქართობილის ცალებით და მანახ გირვანქიანი პურებით“.

«სახელსო სსახლი».

კოოპერატივი „წინ“-ის ბრწყინვალე გამაჩრ-
ჯებამ გამოაცოცხლა თითქმის გამქრალი მრავალ-

რიცხოვანი დამარცხებებით, რწმენა კოოპერატიულ მოძრაობაში. გენტის მქსოვლების მაგალითი გადამდები გამოდგა. თან და თან არსდება კოოპერატივები, რომ დავასურათოთ, თუ როგორ არსდებოდა და ფართოვდებოდა ეს საზოგადოებები, კიდევ შევჩერდებით მხოლოდ ერთ ბრიუსელის „სახალხო სახლზედ“, რომელიც ბელგიის ყუდადესი მომხმარებელი საზოგადოებაა.

აი, როგორ გვახატავს ვანდერველდი ამ კოოპერატივის დასაწყისს.

1881 წ. აგვისტოში, ბრიუსელის რამდენიმე მუშებმა, უმრავლესობით სოციალისტებმა, გადასწყვიტეს დაეარსებიათ გენტის მუშებსავეთ „მუშების ფურნე“. წილის მქონებლად ჩაწერა 80 კაცი, რომლებმაც ერთად 200 მანეთი შეაგროვეს. დაიჭირავეს 11 მანეთად თვეში ერთი სპწვრიმალოს ეზოში. ფურნე; გამგეობა იქვე მეზობელ ტრაქტირში იყო მოთავსებული. ერთმა მეწისქვილემ „წინ“-ის რჩევით მათ 50 ტომარი ფკვილი მისცა ნისიათ. დაიჭირავეს ორი შეფურნე 1 მ. 30 კ. ღღეში. იყადეს კიდევ პატარა ურეში და ძაღლი, ეს როგორც შემოღებულია ბრიუსელში სახლში პურის მისატანად ახალი საქმის მოსაგები ძაღლიან მნიშვნელოვანად იყო, რადგანაც კერძო ფურნეებში თითო პური 4 კაპეკით მეტი ღირდა. მუშის ოჯახისთვის ეს ბევრს ნიშნავდა. ქალები ფურნის თაობაზედ მეზობლებს ეუბნებოდენ და ამით წევრების რიცხვი 80 დან 250-მდე ავიდა, შემდეგ 400-600 და ასე. ღღეს წევრების რიცხვი 20.000 უდრის. თუ ოჯახში ხუთ სულს ჩავთვლით, ეს 100.000 მხმარებელს შეადგენს.

საქმე ერთი უვარგისი ფურნით და ორი მე

ფურნით დაწყეს. ღღეს კი მათი პურის საცხობი ყველაზედ დიდია ბელგიაში. პურის საცხობში მუშაობს 160 კაცი, რომელიც წელიწადში 28 მილიონ გირვანქა პურს აცხობს. პური მზადდება ორ ვებერთელა ფაბრიკაში, ქალაქის ორ ადგილას, გაუმჯობესებული ფეხებით და გაზის მამოძრავებელით. პურის საცხობს გარდა „სახალხო სახლს“ აქვს 20 მომხმარებელი დუქანის ოგანყოფილება, ნახშირის, მალაზია, გაუმჯობესებული რძის ფერმა, შეკერილი ტანისამოსის სახელოსნო, ორი რესტორანი და ხუთი წახალხო სახლი, (ერთი ბრიუსელის ცენტრში, ორი ოლქში და ორიც სოფლად).

ნუ თუ საქიროა იმაზედ ლაპარაკი, რომ სოციალისტურ კოოპერატივში („სახალხო სახლი“ ეკუთნის სოციალისტურ მუშათა პარტიას) მუშები აუცილებლად უფრო კარგ მდგომარეობაში არიან, ვინემ კერძო წარმოებაში. 8 საათიან სამუშაოდღეში მუშები დებულობენ 60 პროც. მეტს ჩვეულებრივ სამუშაო ქირაზე ბრიუსელში. სამუშაო ქირის მინიმუმი გადაჭრილია. საქონელი იყიდება უმეტესად ამ ფირმებიდან, რომელებიც ანიჭებს მუშებს უკუთეს შრომის პირობებს, ამას გარდა, საქონლის წაწილს კოოპერატივთა ორა მწარმოებელი ამხანაგობებიდგან ყიდულობს, რომელსაც მუდმივი მუშტარც ყავს „სახალხო სახლი“ ს სახით. როგორც „წინ“ ში, ისე აქაც, მოწყობილია უფასოთ პურის დარიგება ავადმყოფ წევრებზე და უფასო ექიმობა, რომელსაც ასრულებს კოოპერატივის მიერ დაქირავებული მთელი შტატი ექიმებისა, ბებია-ქალებისა და სხვ. ამას გარდა არსებობს ფრთაერთ დამზღვევი კასები, რომელიც ეხმარება წევრებს გაჭივრების და მოულოდნელ

უბედურების ან ავთომყოფობის დროს.

სახალხო სახლის მოსაკეცი წელიწადში უდ-
რის 200.000 მანეთს. ის ნაწილდება ამ ნაირათ:
72 ნახევარი პროც. მიდის პრემიებათ, პროპორ-
ციონალურად წევრების ნაყილობაზე 12 ნახევარი
პროც. მიდის ვალის გასასტუმრებლად და სარე-
ზერვო ფონდში, 12 ნახ. პროც. სოციალისტურ
პროპაგანდისტებს და 2 ნახ. პროც. მოსამსახურე-
ების სასარგებლოდ. პროპაგანდაზე საშვალო რიც-
ხით 10.000 მანეთი იხარჯება წელიწადში. „შეი-
ძლება იფიქრონ“ — ამბობს დევიენა — რომ ამდენი
ფულის გადადებაზედ გამგეობასი ახალდატანება
დასწირდებოდა წევრებზედო. სრული შეცდომაა.
ამ სუბსიდებს საზოგადო კრებები ისეთი ალტაცე-
ბათ. აძლევენ ხმას, რომ ხშირად აძქლებული
ვხდებით შევჩეროთ გადაქარბებული ოღფრთოვა-
ნება“. ბრიუსელის მუშებს ესმით, რომ პროპაგან-
და, რომელსაც ეწევა ზეპარად და წერილობითი
სოციალისტური მუშათა პარტია, ეს ის სულია
ურომლისოდაც კოოპერატივები მალე გადაიტყეო-
დენ წვრალ ბურჟუაზიულ საქმედ. რაც სავ-
სებით მანარადებელია მუშათა მოძრაობისათვის.

ახალი „სახალხო სახლი“ კოოპერატივს მი-
ლიონ ნახევარი მანეთი დაუჯდა. გმვენათჳდ შეიძ-
ლება მგზავრთ, რომელიც ბრიუსელში ყოფილა
და ანოდინტერესებულა ვნახა ამ სატახტო ქალა-
ქის უდიდებულესი და ღირს შესანიშნავა „სახალხო
სახლი“, ეს სიამაყე ბრიუსელის მუშებისა. ეს მართ-
ლაც სასახლეა, რომელიც სულ რკინისა და მიწი-
საგან არის აშენებული. ქვემოდ არის მოთავსებუ-
ლი მალაზიები, სადაც თქვენ შეგძლიათ იყრდით
ყოველგვარი საქონელი და ნაყარაც არ უნდა იყოს

ის. აიცილოთ ზევით და თქვენ ნახავთ ჩინებულად
მორთულს რესტორანს, სადაც თქვენ დარწმუნე-
ბული ხართ, რომ დამბალს და მყარალ საქმელს
არ გაქმევენ, და რომ სარგებელია თქვენ მიერ ნა-
ყიდ საქონელიდგან მიდის თქვენსავე სასარ-
გებლოდ და სასარგებლოდ მუშათა პარტიისა. აქ
თქვენ ნახავთ ყველა სოციალისტურ ჟურნალ-გა-
ზეთებს, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მშვენიე-
ლი ბიბლიოთეკით და დროებით მაინც დაივიწყოთ
ფაბრიკის მაშინების ხრიალ გრილი და შეივსოთ
თქვენი განათლება. უშველებელი ხალები კრების-
თვის, პროფესიონალური კავშირების ბიურო, კას-
სები, ურთი-ერთ—დამხმარე საზოგადოებები, სო-
ციალისტური გაზეთის რედაქცია... ყველგან სი-
ცოცხლე დულს, ყველგან ენერგიული მუშაობაა,
მუშათა მასსა კავშირდება. აქ—მუშების სიცოც-
ხლის ცენტრია. მუშა აქ ღებულობს ფიზიკურ და
სულიერ საქმელს. აქ კრებებზედ, გაზეთის კითხვით,
სამკითხველოებში და წრეებში მეცადინეობით,
იწყობა მისი მსოფლიო-შეხედულება, იჩიარება მი-
სი კლასიური შეგნება. აქ ატარებენ უქმეებს მისი
რჯახობა, სახელოსნოს დამზღუნგებელ ატმოსფე-
რიდგან გამოქცეული, ის, აქ ეწაფება კლასიურ
ცხოვრებას. მუშები აქ პატრონები აჩიან და აქ
ისანი ემზადებიან, რომ ქვეყნის პატრონები გახდენ.
მსოფლიოთაო გაფიცვების დროს აქ წყდება მთელი
სახელმწიფოს საქმე. მთელი წლების განმავლობაში
მუშები აქედგან ეწეოდენ შეუპოვარ ბრძოლას სა-
ცოცხლონათო სწარჩევნო უფლებანათვის, და მუშებმა
აქ იღღესასწაულეს თავიანთი გამორჩევა, როცა
მსოფლიოთაო გაფიცვით შეშინებულმა ბურჟუაზი-
ულმა პარლამ ხმა მისცა 1893 წლის კანონს.

აქ, ათასეულ მიტინგებზედ, მუშები დღესასწაულობენ თავის 1 მაისს და აქვე მოაქვენ თავის მსხვერპლები შემდეგ სისხლიანი შეტაკებებისა, რომელსაც პოლიცია აწყობს, აქ არის მთელი ისტორია ბელგიის მუშებისა, მათი გამარჯვების და დამარცხების, მათი წასრული, აწმყო და მომავალი.

სოციალისტური დღე ბურჟუაზიული კაპიტალიზმში.

ბელგიის კოოპერატივების უმრავლესობა სოციალისტურ მუშათა პარტიის მომხრეა. მათ წესდებაში ნათქვამია, რომ „კოოპერატიული საზოგადოება უწინარეს ყოვლისა არის პოლიტიკური სოციალისტური ჯგუფი და რომ კოოპერატივში ჩაწერით წევრი მომხრეა სოციალისტური პარტიისა“. ბურჟუაზიამ მალე იგრძნო ხიფათი, რომელიც მას მოელოდა სოციალისტური კოოპერატივებიდან. ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში საქველმოქმედო საზოგადოებათა საერთოშორისო კონგრესზედ პროფესორი გუბერი ამბობდა: „თუ კოოპერატივები თავისი ბუნებით და გავლენით მოგვცემს ბოროტ მოქმედებათა საბაზს, თუ ის შეეხება და შეაკავშირებს მოწინააღმდეგე ძალებს, რომლებიც მტრულად განწყობილია არსებულ წესწყობილებასთან, ეს იმას ამტკიცებს, რომ კონსერვატიულ მთავრობისათვის საჭიროა ყოველი ძალი იღონოს, რომ შეაკავშირების ეს ძლიერე იარაღი არ ჩაუვარდეს ხელში არასაიმედო პირებს; პირიქით, რაც შეიძლება აღრე უნდა დავეუფლოთ მათ და კერგვიულად გამოვიყენოთ ის საზოგადოების მშვიდობიან განახლების და პროგრესის სასარგებლოდ“. ბურჟუაზიამ დაუჯერა თავის პროფესორის გონივრულ რჩევას. არსდება სახალხო ბანკები და მუშა-

ბურჟუაზი და უფრო ადრე პროფესორის გონივრულ რჩევას არსებობან სახალხო ბანკები და შემნახველ-გამსესხებელი კასები, და როცა წარმოიშობან ძლიერი სოციალისტური კოოპერატივები მათ წინააღმდეგ და მათთან საბრძოლველად ფუძნდებათ კათოლიკური და ლიბერალური მომხმარებელი საზოგადოებები. ასე, კოოპერატივი „წინ“-ის მოსასპობად კათოლიკებმა დაარსეს მომხმარებელი საზოგადოებები „Volksbeiang“; ეს საზოგადოება 55.000 მანეთით დაარსდა. მასში შედიოდა პროლეტარებიც და ბურჟუებიც, მასთან ფაბრიკანტები ყოველგვარ საშვალებას ხმარობდენ მუშები „წინ“-იდან გამოკეცვანათ და „Volksbiang“-ში შეეყვანათ. ბრიუსელის „სახალხო სახლთან“ საბრძოლველად დაარსებულ იქმნა ანტისოციალისტური კოოპერატივი „Bon Grvain“. ანტვერპენში სოციალისტური კოოპერატივის „მუშის“ გავლენის შესასუსტებლად კათოლიკებმა და ლიბერალებმა მოაწყვეს ორი კოოპერატიული ფურნე. ეს კოოპერატივები არსებობენ მხოლოდ იმით, რომ მათ მთავრობა დახმარებას უწყევს; მათ ეხმარება აგრეთვე მუშების შ.ში კაპიტალისტებისა და ჯერ კიდევ შინაგული ბრძოლა რწმენა ბელგიის პროლეტარიატისა კათოლიკეთა სამღვდელთაგანსადმი, რომელიც ყოველ დღე ეძახის მუშებს თავის კათოლიკურ კოოპერატივებს წიადში. სარგებლობენ რა, მთავრობის დახმარებით, ბურჟუაზიული კოოპერატივები ძალიან უკლებენ ფასს და ხან ხარალობენ კიდევ; მიუხედავად ამისა მათ ძალა არ შესწევთ მოსპონ სოციალისტური კოოპერატივები, რომელნიც ძლიერნი არიან თავისი შევნებით და სოლიდარობით. კათოლიკე ბურჟუები, რომლებიც მუშებს ეძახიან კოოპერატივში,

აცდუნებენ მუშებს ჯილდოებით ცაზედ და დიდი დივიდენდებით ქვეყანაზედ. მაგრამ როცა ისინი ერთი ხელით დივიდენდს აძლევენ მუშებს, მეორე ხელით — მთავრობის, პარლამენტის და კაპიტალისტების საშველებით აძლიერებენ მათ ყველგას და ტყავის ძროხას. სოციალისტური კოოპერატივეზი ამალღებს პროლეტარს ადამიანის პიროვნებადის; ისინი არ პირდებიან მათ დიდ დივიდენდებს, არამედ პირიქით იწვევენ მას დივიდენდის დიდი ნაწილი შესწოროს საერთო პროლეტარულ ბრძოლას კაპიტალის ჩაგვრისაგან განსათავისუფლებლად. ისინი, ბუფუჟუზიულ კოოპერატივეზსავით, არ ცდილობენ შეარჩონ შეურიგებელი — კაპიტალისტები და მუშები, არამედ პირიქით, ხელს უწყობენ პროლეტარიატის კლასიურ შეგნებას და ამზადებენ მას ბრძოლისთვის.

ბელგიელი მუშები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოოპერაცია მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო მუშათა კლასისათვის, როდესაც ის მჭიდროდ არის შეკავშირებული პოლიტიკურ და პროფესიონალურ კავშირებთან და გამსჭვალულია კლასიური ბრძოლის სულისკვეთებით. აი, რატომ აძლევს მუშების კოოპერატივეზი თავის მოსაგების ნაწილს მუშათა პარტიას, ეხმარებიან მუშათა ბექდვითი საქმეს, აძლევენ ფულს საარჩევნო ბრძოლის დროს ფონდის შესადგენად, ეხმარებიან მუშათა კლუბებს და უთმობენ უსასყიდლოდ თავის შენობებს პროფესიონალურ კავშირებს და სხვა მუშათა ორგანიზაციებს. ამაშია — ძალი ბელგიის მუშათა კოოპერაციზება.

ბელგიის კოოპერატივების ბნელი მხარე.

მაგრამ არის ბნელი მხარეც ბელგიის კოოპერაციაში. ჩვენ გვყავს სახეში ზედმეტი გატაცება კოოპერატივებით, რომლის შედეგი არის პროფესიონალური კავშირების სისუსტე. ვანდერჰელდნი ადარებს რა სამუშაო დღის სიგრძეს და დღის ქირის სიდიდეს მრეწველობის ცამეტ უმთავრეს დარგში ინგლისში, შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში და ბელგიაში, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მრეწველობის ყველა დარგებში (სამი ოთხის გარდა) ბელგიის პირველი ადგილი უჭირავს სამუშაო დღის ხანგრძლივობით და სულ ყველა დარგებში, გამოუკლებლათ, უკანასკნელი დღის ქირის რაოდენობით. ჩვენ რომ ქვეყნები ერთ რიგად დავაწყობთ დაეინახავთ, რომ სადაც პროფესიონალური კავშირები ძლიერია, იქ დღის ქირა დიდია და სამუშაო დღე მოკლე. ნუ თუ უკვე აღარ გამოდის, რომ პატარა დღის ქირა და დიდი სამუშაო დღე, მიზეზია ბელგიის პროფესიონალური კავშირების სისუსტისა? ბელგიის მაგალითი გვიჩვენებს ჩვენ, რომ კოოპერაცია, რა ნაირადაც ძლიერი არ უნდა იყოს ის, არ კმარა კაპიტალთან საბრძოლველად, შრომის უკეთესი პირობების მოსაპოვებლად. ეს განსაკუთრებით არ უნდა დაივიწყონ ჩვენში, რუსეთში, სადაც პროფესიონალური კავშირები ჯერ კიდევ სუსტნი არიან, და სადაც კაპიტალისტები ლოკალუტების საშუალებით ლაშობენ მუშებს წაართვან ყველა ის, რაც მათ დიდი და შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვეს.

კოოპერატიული მოძრაობის რძი ტიპი.

ჩვენ გადავთვალთ ინგლისის და ბელგიის კოოპერაციების ისტორია. ჩვენ განზრახ შევჩერდით ამ ორ მხარეზედ, რომ გავცნობოდით კოოპერატიული მოძრაობის ორ სსვა და სხვა ტიპს. ხშირად ერთსა და იმავე მხარეში ჩვენ ვხდებით ერთ ნაირ კოოპერატივებს, რომელიც უახლოვდება ინგლისურ ტიპს, და მეორე ნაირს, რომელიც ახლო დგანან ბელგიურ ტიპთან. რა არის პირველის და მეორის დამახასიათებელი თვისება? ინგლისის კოოპერატივებში ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალზედ პროცენტი, რაც ყოველად შეუწყნარებელია მუშათა ორგანიზაციებში. მართალია, ის ჩვეულებრივად დიდი არ არის, მაგრამ ის მაინც არის და ვისაც მეტი პაეზი აქვს, ის მეტ მოხაგებს ღებულობს. ასეთი წესი პროლეტარებს ყოფს ორ კასტად, რომელიც აღრმაგებს უფსკრულს ერთი მხრით პატარა კვალთიციურ და კარგი ხელფასის ამღებ მუშების ჯგუფის და, მეორე მხრით, პროლეტარიატის ფართო მასისის შორის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისში მუშები ძალიან გატაცებულინი არიან დივიდენდის მიღებით. ჩვენ დაკინახეთ, რომ როჩდელიელი კოოპერატორები ფულს რკინის გზების აქციებში ათავსებენ და ამით დაქირავებულ შრომის ექსპლოატატორებად ხდებიან. 1870 წელს ერთი ბელგიელი მუშა, ალფრედ გერმანი, აფრთხილებდა თავის ამხანაგებს „როჩდელიელი მუშების მაგალითისაგან“, რომელსაც ყოველ მხრივ რეკლამას უკეთებდენ ბურჟუაზიული გაზე-

თები. ეს მუშათა ასოციაცია—სწერდა ის—რომელიც თავისივე მოძმეთ ყვლეფს და აბუდებს მათში ყოველგვარ კაპიტალისტური წესწყობილების ბიბიწიერებას მუშებმა სამართლიანად გარისხეს, როკა „ასი ტირანის კავშირი“ უწოდეს. მართლაც და, აქ სწორეთ ნაჩვენებია ის ძირითადი სულის კვეთება, რომელიც ინგლისის კოოპერატივების უმრავლესობაშია გაბატონებული. ეს—წერილი ბურჟუაზიული სულის კვეთებაა, რაც ტენდა დაწყობილი იყოს ეს ორგანიზაცია და რაც უნდა დიდი იყოს მის მიერ მიღწეული მატერიალური წარმატება.

რით აიხსნება ეს მოვლენა? რატომ ბურჟუაზიული იდეები და ტენდენციები ჯერ კიდევ სარგებლობენ ძლიერი გავლენით ინგლისის კოოპერატიულ ორგანიზაციებში?

საქმე იმაშია, რომ ინგლისის მოძრაობა (ძთელი რიგი მიზეზების გამო, რომლებსაც ჩვენ აქ არ შევეხებით) დიდ-ხანს არ ღებულობდა ნათლად გარკვეულ კლასსიურ—პოლიტიკურ ბრძოლის ფორმას, რომლის სათავეში მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია უნდა მიდიოდეს.

პროფესიონალური კავშირები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდენ კაპიტალისტებთან თავისი შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს ბრძოლა იშვიათად გადავიდოდა კერძო პროფესიების მოთხოვნილებათა გარეშე და იშვიათად იპყრობდა მთელ მუშათა კლასს. მხოლოდ ორმოციან წლებში, ჩარტისტული მოძრაობის დროს მუშები, როგორც ერთი კაცი, ადგენ „სახალხო ხარტიას“—საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის უფლების მოსაპოვებლად. პროლეტა-

რატომ, როგორც კლასი, გამოვიდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ჩარტიზმი დამარცხდა, და მას შემდეგ ანგლისის პროლეტარიატი, თავისი დამარცხების ზე გავლენით და დაწყებული მრეწველობის აწევის გამო, დიდი ხნით ეძლევა პოლიტიკურ ძილს. პროფესიონალური კავშირები იზრდებიან, მაგრამ არ არის მუშათა პოლიტიკური პარტია. არ არის მანვენებელი ცოცხალი ძალა, რომელსაც ერთს შეუძლია ნამდვილ გზაზე დაყენება, შეცდომებიდან აცილება, აუსრულებელი ოცნებებიდან და მავნე გზიდან მოშორება და დაცალკევებული რაზმების შეერთება ერთ არმიაში. რადგანაც კლასიურად პოლიტიკური პარტია არ არსებობდა, პროფესიონალური კავშირები იმსჯელებოდნენ ვიწრო ცეხური მიმართულებით; ისინი ხდებიან კარგი ხელფასის ამღებ მუშების ცეხურ ორგანიზაციებად, რომლებს დიდი საწევრო ფულის შეტანა შეუძლიან კავშირში; და ყველა პროლეტარებს კი, ვისაც ასეთი საწევრო ფულის შეტანა არ შეუძლია, თავ მალდა უყურებენ. მუშები დამოუკიდებლათ არ მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავის ხმებს ხან ლიბერალებს ამღევენ, ხან კონსერვატორებს ამის და მიხედვით, თუ ვინ მეტს დაპირდება. ისინი მისდევენ კუდში ბურჟუაზიას და არც კი ცდილობენ დამოუკიდებლად მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში იმ მიზნით, რომ თან და თან ხელში ჩაიგდონ ისეთი ძლიერი იარაღი, როგორც არის პოლიტიკური უფლება. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანში ეტყობა ინგლისელ მუშებს ცვლილება პოლიტიკურ მოქმედებისაკენ და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მოწყობისაკენ.

იმავთე მიზეზებმა, რომელმაც კავშირებში გა-

მოიწვია ვიწრო ცეხური, ეგოისტური მისწრაფებანი კოოპერატივებში დაბადეს ბურჟუაზიული ტენდენციები. კოოპერატივები არსდებოდა დამოუკიდებლად და არც პროფესიონალურ კავშირებთან და არც სოციალისტურ პარტიასთან, რომელიც ამ ბოლო დრომდე არც კაპიო, არავითარი კავშირი არ ქონდა. რადგანაც სოციალისტური პარტია არ არსებობდა, ან და ის სუსტი იყო, კოოპერატივების ხელმძღვანელებად და სულის ჩამდგმელოდ, მუშებთან ერთად, გაჩნდნ ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც, სოციალურა მშვიდობის მქადაგებელნი, აგრედ წოდებული ქრისტიანისოციალისტები და იგინი ყოველ დონეს ხმარობდნ კოოპერატივებში კლასიური ბრძოლის მოსახსობათ. ნუ თუ გასაკვირველია ამას შემდეგ, რომ თავზე მინებებული მოკლებული ყოველ გვარ კავშირს სოციალისტურ პარტიასთან, მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლების გავლენას ქვეშ, ისეთ პირობებში, რომელიც სრულად ხელს არ უწყობს კლასიური იდეების განვითარებას — ნუ თუ გასაკვირველია, ვამბობთ ჩვენ, რომ ინგლისელი მხმარებლები მიეჩვიენ უყურონ კოოპერატივებს ბურჟუას გვალეებით, დავიდენდების და მრსაგებების თვალთა ისრის ხელდებით!

ჩვენ ეჭვო არ შეგვდის, რომ სოციალისტურ პარტიის გაძლიერებასთან ერთად ინგლისის მუშათა კოოპერატივები განთავისუფლდებიან ბურჟუაზიული სულის კვეთებისაგან და პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში შესაფერადგის დაიჭერენ, ამას ხელს უწყობს თვით ცხოვრება და მტრული განწყობილება ბურჟუაზიული პარლამენტის და მუნიციპალიტეტების.

მუშები კოტათი იგნებენ, რომ როგორც კო-
 ოპერატივის, ასე კავშირის გაზრდისათვის აუცი-
 ლებლად მუშების ინტერესი წარმოდგენილი უნდა
 იყოს როგორც პარლამენტში, ასე მუნიციპალიტე-
 ტებში და ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისელ კოოპერატო-
 რების უკანასკნელ კონგრესზე უფრო და უფრო
 ძლიერად ემჩნეოდა მისწრაფება პოლიტიკურ მო-
 ღვაწეობისაკენ. მიუხედავად ამისა უნდა ვაღიაროთ,
 რომ ბურჟუაზიული სულის კვეთება, რომელიც
 რამოდენიმე წლობით იყო შეზრდილი კოოპერა-
 ტივებში, დღესაც კი არსებობს და რომ მოსაგებზე
 გამოკიდება ერთ დამხასიათებელ თვისებას
 შეადგენს ინგლისის კოოპერატიული მოძრაობისას.

ბელგიის კოოპერაციების ისტორია კი ჩვენ
 სულ სხვა ნაირ სურათს გვიხატავს. ბელგიაში
 კოოპერაციების სათავეში, მისი აღორძინების პირ-
 ველი დღიდან, იდგენ არა ბურჟუაზიის წარმომად-
 გენლები, არამედ მუშათა კლასის წარმომადგენ-
 ლები—სოციალისტები. ჩვენ დავინახეთ თუ რო-
 გორ იყო გადაბმული ერთმანეთთან კოოპერატი-
 ვის და სოციალიზმის წარმატება. კიდევ მეტი, დღეს
 ძნელია ითქვას, სად თავდება კოოპერაცია და სად
 იწყება პარტია, რადგანაც კოოპერატივის ყველა
 წევრებზე ამავე დროს შედიან სოციალისტურ მუ-
 შათა პარტიაში. ამის და მიხედვით ბელგიის კო-
 ოპერატივებში სულ სხვა მიმართულება განვითარ-
 და, ვინემ ინგლისის კოოპერატივებში. მოსაგების
 მიღების სურვილი უკანა ადგილს იჭერს საერთო—
 პროლეტარულ საქმის მისწრაფებასთან ამა თუ იმფორ-
 მით. კოოპერატივები მჭიდროდ არის შეკავშირე-
 ბული პროფესიონალურ კავშირებთან, რომელსაც
 ვთმობს თავის შუნობებს; საყურადღებოა ის რომ

კოოპერატივი „წინ“ის წესდების ძალით, გამგეობის წევრებად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც ერთი წელიწადი მაინც ირიცხებოდნენ პროფესიონალურ კავშირის ან პოლიტიკურ კლუბის წევრებად. მკითხველებმა უკვე იციან თუ რა ნაირ დახმარებას უწევს პარტიას ბელგიის კოოპერატივები სოციალისტურ პრესისთვის, საარჩევნო ფონდის დასაარსებლად, პროპაგანდისათვის და სხვ. პროფ. კავშირებთან ერთად კოოპერატივები ის საძირკველია, რომელზედაც დაყრდნობილს ორივეს ხელმძღვანელ მუშათა პარტიას, შეძლება აქვს გააძლიეროს მოღვაწეობა ბელგიაში კოოპერატივის ზრდა პარტიის ზრდას მოასწავებს და პარიქით. ჩვენ დავინახეთ რამდენჯერ იღუპებოდა კოოპერატიული მოძრაობა სასიკვდილო ქრილობას მას გარეშე მტერი იმდენჯერ აძლევდა, რამდენადაც შინაური—მასის განუვითარებლობა, სოლიდარობის არ ქონება და სხვა საკმარისი იყო დროებითი საქმის შეფერხება, რომ დაწყებულიყო კოოპერატივებიდან გაქცევა და ისიც იღუპებოდა. სოციალისტური მუშათა პარტია, იმას გარდა რომ კოოპერატივს აძლევს სულ ახალ-ახალ წევრებს, ცდილობს მათ გონებრივად განვითარებას, მათში სოლიდარობის გრძნობის გაძლიერებას, რაც საუკეთესო ცემენტი კოოპერატიული შენობისათვის. ამის გამო კოოპერატიული დღით-დღე იზრდება; ძლიერი თავის ერთობით, ის იოლად აუღის დროებით შეფერხებას. და რაც უმთავრესია—მისი მოქმედება ვითარდება იმ მიმართულებისაკენ, რა მიმართულებისაკენაც მიდის მუშათა მოძრაობა.

თ ა ვ ი V.

არტელები თუ მომხმარებელი ამხანაგობები

ინგლისის და ბელგიის კოოპერატიული მოძრაობის ისტორია გვაძლევს ჩვენ კიდევ ერთ საკუთრად ლეგო გაკვეთილს, რომელზედაც ღირს შეჩერება ცალკე. უნდა მოვიფიქროთ, რაიღვან დავიწყოთ კოოპერატიული მოძრაობა—მწარმოებელ არტელებიდან, თუ მომხმარებელი საზოგადოებებიდან, უნდა გავარს ჩინოზი, რა დამოკიდებულებაა კოოპერაციის ამ თორ ფორმის შორის.

რა არის არტელი? ეს არის ჯგუფი ერთი პარტიის მუშებისა, რომლებიც შეერთებულაზ რომელიმე საქონლის საწარმოებლად. 20 მეჩქმეჯ მაგალითად, აარსებენ ამხანაგობას პაებზე. თუ პაის ფასი 20 მანეთია, ფროვდება 400 მანეთი ამ ფულით ქირაობენ სახელოსნოს, ყიდულობენ სახელოვანოს, ნედლ მასალას და იწყება შეერთებულად წარმოება.

სარგებელი იყოფა თანასწორად არტელის ყველა წევრებს შორის; ნაწილი მიღის საქმის გასაფართოებლად, თუ სახელოსნოს ზაკაზები ბევრად აქვს მისი საქმეც კარგად წავა. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ რამდენადაც არტელის საქმე კარგად მიღის, იმდენად მისი წევრებისათვის სასურველი არ არის ახალი წევრების მიღება. თუ, მაგალითად, წლის მოსაკები უდრის 1000 მანეთს, 20 წევრიღვან თითოეულს მოუწევს 50 მანეთი, მაგრამ თუ წევრები 40-ია მაშინ კი მხოლოდ 25 მანეთი და სხვ. ამ ნაირად, პირდაპირი მატერიალური მოსაზრება აიძულებს თვითეულ არტელის წევრს,

რომ წევრები რაც შეიძლება ნაკლები იყოს. ეს კი ადვილი მისაღწევია პაეზის ფასის გაღრმობით. ბელგიის და ინგლისის (და ჩვენი რუსეთისაც კმ) კოოპერაციის ისტორია გვაძლევს ჩვენ ბევრ მაგალითებს, როდესაც არტელის საქმე კარგად მიდის და და ყოველ მხრივ ცდილობდნენ მის შემოთარგვლას დიდი პაეზით და ამით მალე იქცეოდნენ პატარა სააქციონერო კომპანიათ. მაგრამ ეს ცოტაა. როცა არტელის საქმე კარგად მიდის საჭირო ხდება მუშების შტატის გადიდება. შეიძლებოდა, მაგ., ახალი მუშების მიღება ერთნაირი უფლებებით ძველ წევრებთან, მაგრამ ჩვენ დავინახეთ რომ ეს ხელსაყრელი არ არის უკანასკნელთათვის. და ჩვეულებრივად, როცა საქმე კარგად მიდის, არტელი ქირაობს მუშებს კერძოდ, და ამით იჭერს პატრონის ადგილს. ამ ნაირად, არტელი დაქირავებულ შრომის ექსპლოატატორათ იქცევა.

მაგრამ უფრო ხშირად ხდება, რომ რამოდენაიმე დროს შემდეგ არტელის საქმეები ცუდად მიდის. მუშათა არტელს არ შეუძლია ქონდეს მსხვილი კაპიტალი. ჩვენ მიერ აღებულ მაგალითში ის უდრის 400 მანეთს. ამ ფულით გაუმჯობესებული მანქანები არ იყიდება. იძულებული ხარ საქმე მამაპაპური საშვალეებებით აწარმოო. ფერდ-ზედ კი არსებობს ფეხსაცმელის ქარხანა, რომელიც საქონელს უკეთესსაც აკეთებს და უაფეთესსაც ცხადია, პატარა სახელოსნოს ძალით არ შესწევს კონკურენცია გაუწიოს მსხვილ-კაპიტალისტურ წარმოებას, რომელიც ნედლს მასალას ნარდათს ყიდულობს და მაშასადამე უფრო იაფადაც და ამგვარად მისი შრომის ნაყოფის ჩაოდენობა, მანქანების შემწეობით, გაცილებით მეტად, ვინემ პატარა სახე-

ხელოსნოში. მისვლია მოსვლის განვითარების გამო მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ნაყოფი, არამც თუ ადგილობრივის, არამედ საზღვარგარეთისაც, ყოველგან აღწევს, ძალიან ყრუ მხარეებშიაც კი. ამ ნაირად, ჩვენი მეარტელები იძულებული არიან საქონელი მსოფლიო ბაზარზედ გამოიტანონ, სადაც, როგორც ყველგან, იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია. ესე იგი, ვისაც დიდი კაპიტალი აქვს, იაფი საქონელი, კარგად აქვს მოწყობილი საქონელის გავრცელების საქმე და სხვ.

საკმარისია, რომელიმე მოულოდნელი შემთხვევის გამო, ფასების ძალიანი დაწვეა, რომ არტელი დაიშალოს, მაშინ, როდესაც მსხვილი წარმოება ადვილად იტანს ბაზრის რყევას. ამ ნაირად, კონკურენციის გავლენით არტელის საქმე რამოდენიმე ხნას შემდეგ ეცემა. იწყება უთანხმოება. ნაწილი წევრებისა მიდის, ვინც რჩები ის არ ზოგავს არავითარ შრომას. აგრძელებს თავის სამუშაო დღეს. დიდდება არტელში დაქირავებული მუშების ექსპლოატაციაც. მაგრამ კაპიტალისტური კონკურენციის კანონები შეუბრალებელია, არტელი ცოტა ხანს შემდეგ მაინც კვდება ბუნებრივი სიკვდილით.

მაგრამ, რასაკვირველია, ამ წესიდან გამონაკლისიც არის. შეიძლება მოხდეს, რომ არტელს ბევრი ზაკაზები ქონდეს და მუშაობს განსაზღვრული ბაზრიზე და დროებით მსხვილი ფირმების ცილობიდან განთავისუფლებულია; თუ მას ნიჭიერი კაცები ხელმძღვანელობენ და თუ ის დაყრდნობილ წევრების ერთ სულოვნობაზედ, რომლებიც სარგებელზედ ვარს იტყვიან საქმის გასაფართოებლად, არტელს შეუძლია აყვავდეს და მალე ფეხზედ დად

გეს. ეს შეიძლება მოხდეს და ხან და ხან ეს ნამდვილადაც ხდება. მაგრამ ზაკაზის გათავების შემდეგ, მოწინააღმდეგის გაჩენისათანავე, კაპიტალისტური წარმოების საქონლის სახით, ძველი ხელმძღვანელების გასვლისათანავე, არტელს ადრე თუ გვიან მაინც ის დღე მოელოს, რაც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ. გამარჯვება, მაშასადამე, დროებითი და წარმავალია. გამონაკლი მხოლოდ ამტკიცებს საზოგადო წესს. დღეს არსებული მწარმოებელი ამხანაგობები, ან გარდაიქმნენ საქციონერო კომპანიებად ან და თუ არსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ უზარმაზარ მომხმარებელ საზოგადოებების სახით მათ აქვთ მუდმივი ბაზარი თავიანთ ნაწარმოებისათვის. იქ კი, სადაც, როგორც ჩვენში, კოლპრატიული მოძრაობა სუსტია, არტელების დაარსებას ძალიან ფრთხილად უნდა მოკიდება, რადგანაც უკვე ვიცით მისი ჭვეულებრივი ბელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ჩვენ რაეინახეთ, რომ ამ ბედს ვერ აუვიდნენ თვით ბელგიის მუშაბიც, თუმცა ისინი წესდებს შედგენის დროს ყოველს ზომებს ხმარობდენ ყველა იმის ასაცილებლად, რასაც შეეძლო ცუდად ემოქმედებია ამხანაგობის საქმეებზედ. წესდების პარაგრაფები, რა ნაირ ბრძნულათაც არ უნდა იყოს შედგენილი ისინი, ვერ შესძლებენ შესცვალონ ძირითადი კანონები კაპიტალისტური წეს-წყობილებისა.

სულ სხვა ნაირად არის საქმე მომხმარებელ საზოგადოებებში, რომლებთან არსებობს მწარმოებელი განყოფილებები. მომხმარებელი საზოგადოების მოსაგები იმდენად მეტია, რამდენადაც დიდია მისი წევრების რიცხვი. საზოგადოების გაფართოება, რომელიც შესაძლებელია დაბალი პაების დროს და

რომელიც შეუძლებელია არტელში, ხელსაყრელია თვითთული წვერისათვის და ამაზედ მას უთითებს პირდაპირი სარგებლობა. თავის წვერების სახით მას აქვს მზათ თავისი საქონლის გასაღება და კონკურენციაც მას ვერ აშინებს. თუ კი ასეთმა საზოგადოებამ ბევრი წვერები იშოვა, მასთან შეიძლება მწარმოებელი განყოფილების დაარსება, — ფურნეების ფეხსაცმლის და ტანთსაცმლის სახელქსნოები და სხვ. ამ ნაირ მწარმოებელი განყოფილებების მდგომარეობა სულ სხვა ნაირია, ვინემ არტელის. ისინი მუშაობენ არა მსოფლიო ბაზრისთვის, არამედ კოლოპრატივის წვერებისათვის. ნაწარმოების გასაღება უზრუნველ ყოფილია. ბაზრის მაზანდის რყევა მასზედ იმდენ დიდ გავლენას ვერ აქონიებს, რამდენსაც არტელზედ. განვითარებულ მომხმარებელ საზოგადოებებში ხშირად გროვდება თავისუფალი კაპიტალი, რომელითაც შესაძლებელი ხდება მწარმოებელი განყოფილებისათვის გაუმჯობესებული აპარატის შექმნა და ამით წარმოების ფართოთ დაყენება. წარმოებიდან მიღებული სარგებელის ნაწილი იყრფთა კოლოპრატივის წვერების დიდ უმრავლესობის შორის, ნაწილი კი მიდის საქმის გასაფართოებლად. პურის ცხოზიდგან დაწყებული, თან და თან გადადინ სხვა საქონლის წარმოებაზედ და აფართოებენ სანამ კოლოპრატივი არ შესძლებს თავის სახელოსნოში დაამზადოს უმეტესად ნაწილი იმ საქონლისა, რომელსაც ხმარობენ მისი წვერები. რასაკვირველია, აქ ლაპარაკია პირველ მოთხოვნილების საგნებზედ, რომლის წარმოებაც არ თხოულობს დიდ ფულს, და რომლის გასაღებაც უზრუნველყოფილია. სწორედ მისი მასსიური ხმარების გამო. ყველა პროდუქტები რომ თვითონვე აწარმოვოს,

პროლეტარიატმა უნდა დაეუფლოს საწარმოო სა-
რალეს— მიწას, მალაროებს, მანქანებს და სხვა.

მაშასადამე, ეხლა ჩვენ შეგვიძლია მივცეთ სრულ-
ლიად განსაზღვრული პასუხი ზეგით დასმულ კითხ-
ვას, — არტელი თუ მომხმარებელი საზოგადოებები

დღე, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა იქა-
დაგონ არტელების დაარსება, რომელშიდაც ისინი
ხელავენ გზას სოციალიზმისაკენ. როგორც წვრილ-
ბურჟუაზიული პარტია, პარტია წვრილ მესაკუთ-
რეთა ის ბუნებრივად ეძებს საშვალელებს, რაშლის
დახმარებითაც მას შეეძლება დროებით შაინც ებრ-
ძოლოს მსხვილ კაპიტალს. და მართლაც, არტე-
ლები ხან და ხან, თუმცა ძლიერ იშვიათად, ეხმა-
რებიან წვრილ ხელოსნებს ხაზიენები გახდენ და
გლგხებს კი — შეძლებული გოხები.

მაგრამ წვრილ წარმოებაშიდაც კი თან და
თან გასაჭირია არტელების მოწყობა. ის, რასაც
გუშინ ხელოსანი აკეთებდა, დღეს უკვე მანქანურ
წარმოების დაწარმოებათ ხდება. ამიტომ შეგნებულ-
მა მუშებმა, რომლებიც შორს არიან როგორც
წვრილ-ბურჟუაზიული ინტერესების დაცვისაგან,
ისე ესერების აუსრულებელ ოცნებებისაგან, უნდა
გააფრთხილონ თავიანთი ამხანაგები არტელების
მოწყობაზე, არტელი იშვიათ შემთხვევებში
შესძლებს დაეხმაროს ერთეულ მუშის უკეთესი
ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში და
ხანდისხან აკციონერად გახდობაში. მაგრამ მთელ
მუშათა საქმეს კი, ის უფრო ზარალს მოუტანს,
ვინემ სარგებელს. ყველაზედ უფრო ხშირად კი
ისინი იღუპებიან. პირაქით, მომხმარებელი საზო-
გადოებების დაარსებას, თუ კი ის ეწყობა ისე, რო-
გორც უნდა, შეიძლება მივესალმოთ. არა დამოუ-

კიდებელი არტკლები, არამედ ფართო მომხმარებელი საზოგადოებები საწარმოო განყოფილებებით, რომლების მოსაგებებში მუშები ღებულობენ მონაწილეობას და სარგებლობენ შრომის უკეთეს პირობებით.—ასეთია გაკვეთილი, რომელზედაც გვითითებს ჩვენ ყველა ქვეყნების კოოპერაციების ისტორია.

წარმოება მომხმარებელ საზოგადოებებთან უნდა მიდიოდეს რაც შეიძლება შეერთებული გზით. ამისათვის ყველა მომხმარებელი საზოგადოებები უნდა შეერთდნენ ერთად და შეადგინონ ერთი ცენტრალური ამხანაგობა, რომელიც მოაწყობს საქონლის ნარდათ ყიდვის საქმეს ადგილობრივ. მომხმარებელი საზოგადოებებისათვის და რომელთანაც თანხას სიდიდის საშუალებით შესაძლებელი იქნება მოაწყვეს პირველ მოთხოვნილების საგნების წარმოება, რაც შეიძლება ფართოდ და, მასშტაბად, უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ ეს შეუძლია კერძო მომხმარებელ საზოგადოებას. მკითხველებმა უკვე იციან, თუ როგორ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიენ ამ გზით ინგლისის მხმარებლებმა, რომლებმაც დააარსეს ნარდათ ყიდვის საზოგადოება; ამასვე ვხედავთ ჩვენ ბელგიაშიც, გერმანიაშიც და სხვაგან.

თ ა ვ ი VI.

რას სარგებლობა მოაქვთ კოოპერაციებს.

ჩვენ ვადავითვადიერთ კოოპერაციების ცხოვრება; ესაა ვნახოთ რა სარგებლობა მოაქვთ მათ მუშებისთვის.

ქარგი საჭმელი, ტანთსაცმელი და სხვ.

კოოპერატივების მეოხებით მუშებს საშუალება
ეძლევათ ქარგი თვისების ნაწარმოები იყიდონ და მასთან
შედარებით იათად. ავილოთ თუნდა პური. ყველამ
ვიციოთ რომ პურში, რომელსაც ჩვენ ვყიდულობთ
საწვრიმალო დუქნებში, ათასი რალაც ურევია.
ფქვილში, რომელითაც ამ პურს აცხობენ, ურევენ
სილას, შაბს, თეთრ მიწას და სხ. გამოკვლეულია,
რომ წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარი პური ორ-
ჯერ უფრო ნოყიერია, ვინემ გამომცხვარი შერე-
ული ფქვილიდან; ამას გარდა ბევრი შენარევი
ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზედ.
რა ნაწარმოებიც უნდა იყიდოთ წვრილი დუქ-
ნიდან, ყოველთვის უნდა ელოდეთ, რომ სპონელი
ან არ იქნება ახალი ან და ის იქნება ყალბი. მაგ
რამ ყალბი შეიძლება იყოს არა მარტო საზრდო
ნაწარმოები, არამედ სხვა საქონელიც. შალის მა-
ტერიის ადგილას, მაგალითად, ყაღიან ქაღალდის
მატერიას და სხვ. არაფერა ამ გვარი არ არის კო-
ოპერატიულ დუქანში. აქ თქვენ მიიღებთ წმინდა
ფქვილს, წყალ გაურეველ რძეს, ქონ გაურეველ ერბოს,
შალის ნაქსოვს ტანისამოსისათვის, ვარგ ფეხსაც-
მელს და სხვ. ამას გარდა საწვრიმალო დუქანში
თქვენ ჩვეულებრივად წონაშიც მოგატყუილებენ,
ზომაშიც, მომხმარებელ დუქანში ეს კი ყოველად
შეუქმდებელია. თავის თავს ხომ არ მოატყუილებ.
კოოპერატივები ზრუნავენ არა მარტო სპე-
ციულად და ტანთსაცმელზედ, არამედ ბავშვს წყურ-
ბის ბინაზედაც. ინგლისში, შვეიცარიაში, და
ბელგიაში მომხმარებელი საზოგადოებები ხშირად
ყიდულობენ მიწას და აშენებენ მუშებისათვის სახლებს

კოოპერატივების საშუალებით მუშები მეტ საჭმელს
სჭამენ.

მუშას საშვალეობა ეძლევა მეტი საქმელი სკა-
მოს, ვინემ უწინ, მართლაც, კოოპერატივის წყა-
ლობით თითოეულ მუშას შეუძლია მოიპოვოს ცო-
ტადენი ფული. როდესაც ყიდულობ ე. ი. ხაზ-
ჯავ, და არ მუნწობ ნახევარი წლის ან წლის
თავზედ ღებულობ რამოდენიმე სარგებელს. ის,
რაც ამდენჯანს ვაჭარს რეპოდა, ღლეს კოოპერა-
ტივში და მუშის ჯიბაში რჩება. ჩვენ უკვე დავი
ნახეთ რომ ეს ფულები დიდ თანხას შეადგენს
ბელგიის მომხმარებელმა საზოგადოებამ წინა
1905 წელში, მაგალითად, 60.000 მანეთი სარგე-
ბედი მოიტანა ამ ფულების ნაწილი მუშებშია მი-
ღეს ინგლისში კოოპერატორის საშვალეობა მოსა-
გება წელიწადში მან მანეთს უდრის. ასეთ პრო-
ბებში მუშას და მის ოჯახს შეუძლია უკეთესად
დასარდლოს და უკეთეს ბინაშიც ეცხოვროს ქა-
ლაქ გენტში, სადაც კოოპერატივი „წინა“-ი არსე-
ბობს, ეხლა მუშები უფრო მეტს პურს ხმარობენ,
ვინემ უწინ ბახელის კოოპერატივმა გააძლიანგარი
შეკიდეს, რომ 98 წელში საზოგადოების წევრებ-
მა 90 მანეთით მეტი დახარჯეს ვინემ საზოგადოე-
ბას დაარსების წელში.

ამ ქამის გადიდებას დიდდ მნიშვნელობა აქვს,
რომ ჩვენ ჯანმრთელები ვიყოთ, უნდა დავხარჯოთ
განსაზღვრული საჭმელი. თუ საქმელი გვაკლდება
ეს მოქმედებს ჩვენ ჯანმრთელობაზედ. მუშას
საჭმელი აკლია. ის ამას ბავშვობიდან ესწავა.
ვთქვათ, ბავშს უნდა მ ნაჭერი პური და რადგანაც
მეტი არ არის, მოზობლები აძლევენ მას ორს. კუჭი

ცოტა ხანს შემდეგ ეჩვევა ორი ნაჭკრითაც დაკმა-
ყოფილებას. მოზრდობებიც ეჩვევიან ნაკლებ საკ-
მელს, მაგრამ როცა პური ძვირდება, მაშინ უკმე-
ლობა კიდევ უფრო იზრდება. მუშა პირველ შემ-
თხვევისთანავე უმატებს ხარჯს. კოოპერატივ „წინ“-
ში სარგებელს $1\frac{1}{2}$ წლის თავზედ ფულით კე არ
იძლევიან, არამედ მარკებით პურის მისაღებათ „დე-
დედაც, რომელსაც ასეთი მარკები აქვსო, სწერს
ერთი ბელგიის კოოპერატიული მოძრაობის ბელადი
ლუი ბერტრანი, უფრო გამგონე ხდება, როცა
ბავშვები ზედმეტ პურის ნაჭერს თხოულობენო“.
ამის და მიხედვით კოოპერატივების საშუალებით
შესაძლებელია საზრდოს გაუმჯობესება, რაშიდაც
ასე საჭიროებს მუშათა კლასი.

კოოპერატივებს დახმარება შეუძლია უმუშევრობის, ავთო-
მეოფობის და სხვ. დროს.

ბევრ კოოპერატივებს მოწყობილი აქვთ
უმუშევრობისაგან და უბედურ შემთხვევებიდ-
გან დაზღვევა (ბირსუკის დასამარხავი საზოგადოება
L Union, გენტის „წინ ა“, ბრუსელის საზოგადოება
და სხვ.). ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ბელგიაში კოო-
პერატივები ცდილობენ უზრუნველყოს წევრების
ოჯახობა მედიცინური დახმარებით. ბელგიის საზო-
გადოებების დიდ უმეტესობაში არსებობს დამზღვე-
ვი კასები. ერთ ოჯახს შეაქვს ყოველ კვირარაობით
5 სანტიმი (2 კაპ.) კოოპერატიულ ფურჩეში და
ამით ის უზრუნველ ყოფილია, ოჯახის ფაფის ავად-
მყოფობის დროს, პურის მიღებით. ინგლისში მუ-
შის სიკვდილის შემდეგ, ობლებს კოოპერატივი
აძლევს დახმარებას.

კულტურული სარგებლობა.

კოოპერატივების მოქმედება არ განისაზღვრება მარტო კარგი თვისების პირველ საქიროების ნაწარმოების დამზადება — გაყიდვით. ისინი ზრუნავენ თავის წევრების გონებრივ ცხოვრებაზედაც. ისინი საშვალელებს აძლევენ წევრებს მიიღონ არამც თუ საზოგადო განვითარება, არამედ განსაზღვრული ცოდნაც. ყოველგან კოოპერატივის გარშემო არსდებიან შკოლები, ბიბლიოთეკები, ზარიები ლექციებისათვის და სხვ. შკოლაში მუშები ღებულობენ საზოგადო განათლებას და აგრეთვე პროფესიონალურსაც (თერძობის, ხარაზობის და სხვ.) როჩქელის საზოგადოებას აქვს რძის მოძრავი შკოლა, სადაც ასწავლიან ერბოს წარმოებას.

რაც შეეხება წიგნთ საცავებს, იმას ყველა კოოპერატივი იძენს. ამასთან სადაც კი შესაძლებელია აღებენ საკითხავ ზალებს, და განსაკუთრებით ამაზედ ინგლისის კოოპერატივები ცდილობენ „იქ, სადაც არ არის მოწყობილი ბიბლიოთეკები, ლექციების კითხვა და სხვა განმანათლებელი დაწესებულებები, ამბობს ერთი ინგლისელი კოოპერატორი, აქ ძნელია სანახავია განვითარებული მშრომელი, რადგანაც ის სხვაგან ეძებს თავისი გემოვნების დაკმაყოფილებას“. კოოპერატივები მართვენ ლექციებს, რეტერატებს და დღესასწაულებს ყველა ეს აერთებს მის წევრებს. თითოეული კოოპერატივი ცდილობს განკეთოს თავისთვის სახალხო საზღი ან თავისი რესტორანი, სადაც მოწყობილ იქნება განყოფილებები ლექციების, კონცერტების მიტინგებისათვის და სხვ.

კოოპერატივები მხარს უჭერენ მუშათა მოძრაობას.

კოოპერატივები დიდ დახმარებას უწევენ მუშათა კლასს კაპიტალთან და სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ასე, მაგალითად, გაფიცვების დროს იგინი ეხმარებიან მუშებს თავისი პურით. მაგრამ ეს ცოტაა. კოოპერატივები სიამოვნებით ღებულობენ სამსახურში მუშათა საქმისთვის ბრძოლაში დათანჯულ მუშებს. კოოპერატივები ეხმარებიან პროფესიონალურ კავშირებს ბოიკოტის დროს; ნოიკოტი დამოკიდებულია მხმარებელთა შეკავშირებაზე და კოოპერატივი კბ სწორედ კავშირებს მხმარებელს. და როდესაც რომელიმე პროფესიონალური კავშირი უცხადებს გინმეს ბოიკოტს, კოოპერატივები მხარს უჭერენ მას.

კოოპერატივები ინგლისში ეხმარებიან პროფესიონალურ კავშირებს ეგრეთ წოდებულ წარმოების ოფლის მომყვან წესთან ბრძოლაში. ეს წესი უფრო გავრცელებულია ინგლისში და ამერიკაში. ის გამოიხატება შემდეგში: მსხვილი მალაზიები აძლევს პირდაპირ მუშებს ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ქოლგებს, საცვლებს და სხვ. სახლში გასაკეთებლად. მუშის ბინა სახელოსნოთ ხდება, სადაც მუშა იაფად ამზადებს ამა თუ იმ საქონელს, და თან დღე და ღამე მუშაობს. სახელმწიფო არ ერევა შრომის ასეთ ექსპლოატაციაში, რადგანაც საქარხნო კანონმდებლობა არ ვრცელდება შინაურ წარმოებაზე და „სახლში“ შეგიძლია გაყვლიფო შრომა რამდენიც გინდა. აი, ამაზედ არის დამყარებული ოფლის მომყვანი წესი. ამის გამო, რომ სახლში მომუშავე მუშები განცალკევებულია, ძნელია მათი შეკავშირება პროფესიონალურ

კავშირებში და უკანასკნელნი კარგი ხანია იბრძვიან შრომის ასეთ წესის გაუქმებისთვის. კოლპერატივი ამ შემთხვევაში ეხმარება მათ. ის თავის ზაკაზს ისეთ ფირმას არ აძლევს, რომელიც შრომის ასეთი წესით სარგებლობს; ამას გარდა თითონ აწყობენ ქარხნებს წარმოების ისეთ, დარგში, სადაც უფრო გავრცელებულია ზემოდ მოყვანილი წესი. ხშირად თითქმის საზარალოდ, მაგრამ ამ წესის მოსაკლავად. ბოლოს, კოლპერატივები მონაწილეობას ღებულობენ აგიტაციაში, რომ სახელმწიფომ კანონმდებლობით ჩაერიოს საქონლის შინაურ წარმოების პირობებში. კოლპერატივები სამსახურს უწევენ პროფ. კავშირებს კიდევ იმით, რომ ყველგან მათ „სახალხო სახლებში“ ბინას აძლევენ პროფ. კავშირების საბჭოს, კრების მოსაწყობად და სხვ.

კოლპერატივები პოლიტიკურ ბრძოლაშიადაც ცდილობენ დახმარება გაუწიონ. ბელგიაში, ჩრდილოეთ საფრანგეთში და ზოგან იტალიაში ისინი მხარს უჭერენ პარტიას რამოდენიმე პროცენტის გადადებით, პარტიული ორგანოების გამოცემით და სხვ. „სახალხო სახლები“ ღიაა პოლიტიკურ კრებებისთვის, შიტანგებისთვის და სხვ.

აღმზრდელობითი მნიშვნელობა კოლპერატივებისა.

კოლპერატივები აერთებს რა მუშათა მასსას, იზრდის მათ დემოკრატიულ სულს. მუშები მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში, კანტროლს უწევენ გამგებების მოქმედებას, საზოგადო კრებებზედ მსაჯელობენ, იმაზედ, თუ როგორ წაიყვანონ კოლპერატივის საქმეები და სხვ. კოლპერატივის მთელი საქმის წარმოება, როგორც დაწინა-

ხავთ, უნდა იყოს დამყარებული დემოკრატიულ პრინციპებზედ. ეს მათ უმეტეს საყურადღებოა, რომ კოლპერატივი იშრომოს ჩამორჩენილ მუშებ-საც. კოლპერატივის მიზანი ყველასათვის გასაგებია. პროფესიონალური კავშირებთან და, მათ უმეტეს, პოლიტიკურ ბრძოლის მიზანის გაგებას კი სუბილ-კონიური შეგება. ამისთვის კოლპერატივში მიღის ისეთი მუშებიც კი, რომლებიც პროფ. კავშირებში და პოლიტიკურ ორგანიზაციებში არ შედიან. ამ ნაირად, კოლპერატივები აფარებენ პროლეტარიატის ორგანიზაციას და ზრდიან მუშათა ტანტორ-სის დემოკრატიულ სულისკეთებას.

საზოგადოებრივი მომხმარებელი საზოგადოებები

მომხმარებელი საზოგადოებები არსდებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. მაგრამ დღეს ხანს ვერ დაღბა იგინმა ნამდვილ გზაზედ. ჩვენ ეს დაინახეთ ბელგიის კოლპერატივების განათხილვე-რების დროს. ასე მოუვიდა ინგლისის მომხმარებელ საზოგადოებასაც. მხოლოდ დიდი გმობა ცო-ლების და ბევრ დამარცხების შემდეგ მთავლობის იმ შიოთიან სხეულზედ, რომელი იქნა უნდა ამენ-დეს მომხმარებელი საზოგადოებების ორგანიზაცია. აღმოჩნდა რომ სწავრთლიანმა რაჩიდელოიელმა პოლ-ნეიტებმა აიკვლია და დადგენ წმინდილ გზას და ეხლა, კოლპერატივებს ყოველთვის აწუბობენ რაჩი-დელოიელ პრინციპებს მხედნიან. ამისათვის ჩვენ უნდა გავცნოთ მათ უფრო ვრცლად. აა ეს პრინ-ციპები

1. გაყიდვა ნაღდ ფულზედ.
 2. გაყიდვა საშუალო მაზანდის მიხედვით და არა დასამზადებ ფასებში.
 3. საქონელი იყიდება წვევრზედ და არა წვევრზედ.
 4. დიდიდენდები რიგდება იმის და მიხედვით, თუ ვინ რამდენს ვაჭრობს და არა პაიებზედ.
 5. პაის დაბალი ფასი.
 6. პაის რაოდენობის განსაზღვრა თითოეული პირისთვის.
 7. თითოეულ წვევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა, რამდენი პაიც არ უნდა ქონდეს.
 8. საქმეების დემოკრატიულად წარმოება.
- შევიჩინეთ ამ პუნქტებზედ. დავიწყეთ ნაღდით გაყიდვიდან. ეს საშინლად აკვირვებს კოოპერატივში შემსვლელთ. მათ გონიათ, რომ წვრილი ვაჭრები უფრო კეთილ მყოფობენ, როცა ნისიათ იძლევიან საქონელს. რომ გავაგოთ, რომ ეს შეცდომაა, თითოეულმა ვკითხოთ თავის თავს, დაგიმონავა თუ არა შენ მედუქნემ ნისიით. ნისიის საშვალეობათ ის ძალაუნებურად ყიდულობს ერთსა და იმავე დუქანში და ვაჭარი დარწმუნებულია რა, რომ მას გარდა ვერსად წავა, ეს თუ ის პირი საძაგელ საქონელს აქლევს. მართალს ამბობენ, რომ მედუქნისგან ნისიის ძენით შენ თავისუფლებას კარგავო. წვრილი ვაჭრის ნისია — სრულიადაც არ არის კეთილის ყოფა. კოოპერატივი არ იძლევა ნისიათ. უწინ ეს ძნელია წვევრებისაფვის, მაგრამ მერმე ისინი დალოცავენ ამ ჩვეულებას და განსაკუთრებით ოჯახობაა ამით მაღლიკრი, რადგანაც ჯამაგირის (პოლოუჩკის) აღების დროს უნდა იყიდო ორი კვირით აღრე საქონლის საყიდელი მარკები და არაყისთვის არაყერი

აღარ რჩება. როცა ნისიათ წაღება შეიძლება, მაშინ აუცილებლად ნაწილი შემოგეხარჯება არაყში. კოოპერატივები არ იძლევიან ნისიას, რადგანაც ისინი უამისოთ ვერ იარსებებენ და ვერ მოიტიანებენ იმ სარგებელს, რაც მათ მოაქვთ.

მართლაც და, რა იქნებოდა, რომ მომხმარებელი დუქანი იძლეოდეს ნისიათ? უწინარეს ყოვლისა აღარ ექნება ფული საქონლის საყიდლოთ და იძულებული გახდება თითონვე ინისიოს. ეს კი ნიშნავს ზედმეტის გადახდას. ის იქონიებს გავლენას საქონლის ფასებზედ და წევრები წასაგებში იქნებიან. ამას გარდა ბევრი ნისია დაიკარგება და ეს კიდევ საქმეს შეაფერხებს და გავლენას იქონიებს მათზედ, ვინც ნაღდათ ყიდულობს. ნისიობის დროს ძნელი საშოვარია ფული საქმის გასათართოებლათ და ყოველგან, სადაც კი ნისიათ ვაჭრობენ, კოოპერატივი ან კოტრდება ან და სულს ღაფავს. დასავლეთ ევროპის კოოპერატივებმა დიდი ხანო გაიგეს ნისიათ ვაჭრობის ვნება და შემოიღეს პრინციპად ნაღდათ გაყიდვა. მაგრამ რადგანაც ხან და ხან საჭიროა ნისიათ ყიდვა, მომხმ. საზოგ. ხშირად არსებენ ურთიერთ დამხმარე ან და გამსესხებულ კასებს უპროცენტოთ. 1—2 ამხანაგი უდგება თავდებათ მსესხებელს და გაცემული სესხი გამოერიცხება იმ შემოსავლიდან, რომელიც ერგება ამ დროებით შევიწროებულ ამხანაგობის წევრს. თუ კოოპერატივის წევრი უსაქმოთ არის, ის ნისიობაში საქაროებს, და მას უნისიობა კი ართმევს საშვალეობას კოოპერატივით ისარგებლოს.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ მუშას მართო კოოპერატივებით არ შეუძლია იცხოვროს და მან უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს პროფესიო-

ნაღურ კავშირებზე და ბრძოლაზე კაპიტალისტურ წეს-წყობილებს მოსასპობად.

კოლპერატივს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ, რომ შან დააკმაყოფილოს მუშების ყველა მოთხოვნილება. მას მისი საქმე აქვს და ამ საქმის შესასრულებლად ნისია — ბორტებაა. ამნაირად კოლპერტივმა უნდა გაყიდოს ნაღდათ, საქონელი უნდა გაყიდოს არა დასამზადებ, არამედ ზომიერ ბაზრის ფასებში.

ფასები არ უნდა იყოს მაღალი, როგორც წყრილ ღუქებში და არც დავიღეს დასამზადებ რეზერვულებამდე.

საქონელი რომ ნაყიდობაზე გაიყიდოს, ან და დასამზადებ ფასებში, მატო საქონელის მოსატან და ღუქის შესანახავ პროცენტის ზედადობით, მომხმარებელი საზოგადოება დიდხანს ვერ აიტანს. ერთი რომ, საზოგადოებას არ ექნება დიდი სამუშაოებელი კაპიტალი და ეს შეაკვიწროებს მის მოქმედებას. მეორე — ბაზრის ფასების რყევის გამო საზოგადოებას არა ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაგარდება. დაიწია, მაგალითად, ფასი რომელიმე საქონელზედ კრძორ საეკონომიკაში, კოლპერტივებმაც უნდა დაუწყოს თორემ მუშტრები კეძო ღუქებში წავა. საქონელზედ ფასი დაიწევს კონკურენციის გამო, წყრილ ვაჭრებს შეუძლიან მოილაპარაკონ და ფასებს დაუწიონ დასამზადებ ფასებამდე, იმხოლოდ იმ საქონელის ფასი, რომელიც კოლპერტივში არ იყიდება სპეციალურად შეუძლიან გააძვირონ. კოლპერტივი მაშინ ზარალს ნახავს, ბევრს აცდუნებს იაფად ყიდვა და იკითხებიან, რაღა საჭიროა კოლპერტივი, თუ საქონელს ისეთ ფასებში გაყიდის, როგორც წყრილი ვაჭარდო. მაგრამ ისინი ივიწყებენ, რომ ამ ფასით ისინი ღუქებში მიიღებენ გაფუჭებულ სა-

ქონელს, თავისაში კი კარგს, ღუქანში წონაში და ზომაში იტყუებიან, თავისაში კი აწა და სხვ.

ამას გარდა, მეღუქნეებს შეუძლიათ ხელოვნურად ასწიონ ფასები, კოოპერატივში ეს შეუძლებელია. წვრილ ვაჭრებზე ძალიან იაფად რომ გაყიდო, მხმარებელს რასაკვირველია მორჩება დღეში 15—20 კაპ., მაგრამ ის მაშინვე დაეხარჯება. პიჩიქით, ითუ ის ყიდულობს მაზანიდაზედ ნახევარ წლის ბალოს ღებულობს დივიდენდს 30—40 მან. ამ ნაირად, იაფად ყიდვიდგან დიდი სარგებლობა არ არის და ამით კი ის შეაფერხებს საზოგადოების მოქმედებას, და უკანასკნელიც ველარ შესძლებს ვერც საწარმოო განყოფილების გახსნას, ვერც კულტურული დაწესებულების მოწყობას.

ვის მივყიდოთ? წევრებს თუ არა წევრებსაც, გამოცდილება გვეუბნება, რომ უნდა მივყიდოთ ყველას. ზოგიერთ კოოპერატივებში არა წევრება დივიდენდსაც ღებულობენ, მაგრამ უფრო ცოტას ვინემ წევრი. გეგმანიაში წვრილ მოვაჭრეებმა გამოაცემინეს კანონი, რომ კოოპერატივებს უფლება არ ქონდეთ მიყიდონ არა წევრებს. ეს ცხადად გვაჩვენებს, თუ რამდენად უკმაყოფილონი არიან წვრილი ვაჭრები კოოპერატივების მოქმედების გაფართოებით. არა წევრებზედ გაყიდვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საზოგადოება ჩქარა იზრდება.

„ჩვენი პურის ჯამასთან ერთად, ამბობს ერთი ადმინისტრატორი ბრიუსელის სახალხო სახლისს, ხალხი ითვისებს ჩამოდენიმედ ჩვენს პრინციპებსაც“. როცა არა წევრები საზოგადოებაში ყიდულობენ, ისინი ითვისებენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კოოპერატიული ფორმით.

დივიდენდები რიგდება იმას მიხედვით თუ
კინ რამდენს ვაჭრობს.

ნოქრები იწერენ ღუქნის წიგნში და წევრის
წიგნში, თუ რამდენი საქონელი გააქვს, ან და იძლევა
საყიდავი მარკები, რომელსაც ინახავს წევრი. ერთის
ან ნახევარი წლის ბოლოს გამოიანგარიშებენ, კინ
რამდენი ივაჭრა, და იმის და მიხედვით იყოფა ერთი
ნაწილი წმინდა მოსაგებისა. პაეებზე მიხედვით მო-
გების გაყოფა ძალიან მავნებელია. ეს შემაცდუნე-
ბელი იქნებოდა წევრისათვის და ის საზოგადოებასთან
არაფრით არ იქნებოდა ვალდებულად გარდა იმისა,
რომ პაის შემოიტანდა და თავის დივიდენდს მი-
იღებდა. სარგებელის პაეების რაოდენობაზე გაყო-
ფას შეაქვს კოოპერატივში კაპიტალისტური სულის-
კვეთება.

რომ კოოპერატივი ყველასათვის ხელმისაწდო-
მი დარჩეს, პაეები უნდა იყოს იაფი და შემოტანა
შეიძლებოდეს ნაწილ-ნაწილად.

პაეების სიძვირის დროს კოოპერატივი ხელმი-
საწდომი ხდება მხოლოდ შეძლებულ მუშებისათ-
ვის. პაეების რაოდენობა ერთი პირისთვის განსაძღ-
რული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება
და ვითარდება კაპიტალისტური ინსტინქტები. სა-
ზოგადოებაში ჩნდება არისტოკრატია. ბევრი პაე-
ბის პატრონები გრძნობენ თავიანთ ძალას: მათი
გამოსვლით საზოგადოება დიდ ფუფუნს კარგავს.
მხოლოდ უწინ, საზოგადოების განვითარების და-
წყების დროს, შეიძლება ნება დართულ იქმნას რა-
მოდენიმე პაი, რომ შემდეგ ის გამოყიდულ იქმნას.
კიდევ უფრო მავნებელია ხმის უფლების მიცემა
პაეების მიხედვით. როგორც წესი უნდა იყოს: თვა-

თეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა, რამდენთა პაიცი არ უნდა ქონდეს მას.

საზოგადოება უნდა იყოს დაფუძნებული დემოკრატიულ დასაწყისზე. დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიზმის გავრცელებას საზოგადოების ყველა მოქმედებაში. ყველა წევრები უნდა ღებულობდნენ მონაწილეობას არჩევნებში. გამგეობა და სარევიზიო კომისია უნდა ირჩეოდეს სასტიკ დემოკრატიულ დასაწყისზე. ყოველ გვარი მიდრეკილება, — რომ ადმინისტრაციას მიენდოს საქმის გადაწყვეტა და თითონ არაფერ საქმეში არ ჩარევა, დიდათ მავნებელია. გამგეობა — აღმასრულებელი ორგანოა. ის მხოლოდ უნდა ასრულებდეს იმას, რაც დაადგინა საზოგადო კრებამ. გამგეობის და მოსამსახურეთა საქმეში პირდაპირ ჩარევა არ შეიძლება, მაგრამ ძალიან საჭიროა თვალ-ყურის გდება საზოგადოების განვითარებაზე, მის მიმართულებაზე, და მიღებულ პრინციპების ცნობრებაში გატარებაზე. თითქმის ყვერმა უნდა იცოდეს, რომ ის პასუხისმგებელია საზოგადოებისათვის. თუ რომელიმე წევრმა შეამჩნია, რომ გამგეობა უხვევს საზოგადო კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს, მან ეს უნდა გააცხადოს საზოგადო კრებაზე, ან უნდა მოითხოვოს საჩქარო არ ჩვეულებრივი კრების მოწვევა. ჩვენ შევსწრდით როჩდელიელ პრინციპებზე იმიტომ, რომ ამ პრინციპებმა დაამტკიცეს თავისი ღირსება. ყოველგვარი ცდა კოორპერატივების სხვა ნაირად დაარსებაზე ან აკოტრებდა საზოგადოებას, ან და ხელს უშლიდა მის ნორმალურ განვითარებას. ამას ჩვენ დავინახავთ ეხლავე რუსეთის მომხმარებელი საზოგადოებების განვითარებულგან. მაგრამ სანამ ჩვენ ამ თავს დავამთავრებდეთ, უნდა

ვალთაროთ კოოპერატივებისთვის ერთი წესი დაქირავებული შრომა უნდა იყოს რაც შეიძლება უკეთესს პირობებში, ვინც კერძო წარმოებაში. ბელგიის და ინგლისის კოოპერატივების მოსამსახურეები მუშაობენ იმ პირობებში, რომელიც აქვს გამოიმუშავებული პროფ. კავშირებს. ყველას სჯობს თითონ მუშებმა, პროფესიონალური კავშირების შემწეობით, გამოიმუშაონ შრომის პირობები პროფ. კავშირების ნორმის თანახმად.

თ ა ვ ი VIII

მომხმარებელი საზოგადოებები რუსეთში.

რუსეთში ითვლება ათას მოახმარებელ საზოგადოებებზედ მეტა და მათ აქვთ კიდევ ერთნაირი ეკონომიური ცენტრიც, სახელდობრ „მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი“. მაგრამ მართალი უნდა ვსთქვათ, ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება დასავლეთ ევროპის კოოპერატივებს. გამოჩნაკლისს შეადგენს, რომ ვსთქვათ, ერთი კოოპერატივი „Трудовой союз“ (პეტერბურგში).

მომხმარებელი საზოგადოებებმა ჩნდება ჩვენში 1865 წლიდან. მათ საკმაოდ სამწუხარო დასაწყისი აქვთ. კოოპერატივებს ხელი მოკიდა შეძლებულმა პირებმა, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ კოოპერაციების იდეით. დასავლეთ ევროპაში მოძრაობა დაიბადა თვით მუშათა კლასში. ჩვენში ეს უფრო მოდა იყო. დასავლეთში კოოპერატივების განვითარების გავლენით ჩვენშიც დაიწყეს მისი დანერგვა, მაგრამ სრულიად ვერ ისარგებლეს დასავლეთ ევროპის გამოცდილებით. ხალხს შეეკონდა

ფულები, ანსებდენ საზოგადოებას და უცდიდენ რომ საზოგადოება თავისთავად განვითარდებოდ.

საზოგადოების წევრებად მეტ ნაწილად იყვნენ უფრო შეძლებულები და ინტელიგენტები. არც ერთს მათგანს კოოპერატივი ღიდათ არ აინტერესებდა. ზოგნი, ვიმეორებთ, გატაცებულნი იყვნენ იდეით, ზოგნი მოდით და ზოგნი კი მიუღიოდენ საზოგადოებაში სპატივ-მოყვარობო მიზნებით. ამის გამო მომხმარებელი საზოგადოებები არ ვითარდებოდენ პროფესორი რაფეროვი სწერს: „საზობალოებში წევრები ყიდულობდენ პანს და ამასთან აცხადებდენ, რომ იგანჯ სულ ერთია არ ივაჭრებენ; მათთვის მზად იყო მრავალი მაღაზრები, ქონება მშა ხელს უწყობდა და ისინი საზოგადოების დუქანში არ ყიდულობდენ, საზოგადო კრებას არ ესწრებოდენ და რაღვანაც წევრების უმეტესობა მღრღრები იყვნენ; ამიტომ დუქანში ნაკლებად იყო პირველ მოთხოვნილების საგნები, ბევრ დუქანებში შავი პური არ იყო და შევიცარიის მსხალი კომ საზოგადოების რძოდენ ხმედ გაფართოებაზედ დემოკრატიკაციის საშუალებით ისინი სრულიად არ ზრუნავდენ ასე. მგ. ერთ პეტერბურბურგის საზოგადოებაში დაქინებით თხოულობდა მუშათა არტელები შესვლას, მაგრამ საზოგადოებაში გადაჭრით ვარი შეთხრა, მათ...“ *).

სრული განუგებობა კოოპერატივის ჩნი შენელობისა, სრული უკრძინარობა საქმის წისაყვანად, აი რა გვხდება თვალში ჩვენი კოოპერატიული მოძრაობის ვანათვალთვრების დროს. პაიკლის 31—51 მანეთა, დივიდენდი იყოფა პაების მიხედ

*) Озеров, «общества потребителей» стр. 142

ვით, და არა ვინ რამდენს ყიდულობს, წევრებს შეუძლიათ რამდენიც უნდათ პაის შეძენა და სხვ. აი, დამხასიათებელი თვისებანი აღნიშნული კოოპერატივების მოწყობისა. ყველა ეს, რასაკვირველია, საკვებით ეწინააღმდეგება როსდელიელი კოოპერატივების საზოგადო საფუძველს და... კოოპერატივებიც ილუპებოდნენ.

ამ „იდეურ“ კოოპერატივებთან ერთად რუსეთში არსდებოდენ კოოპერატივები პირდაპირ მოსაგებად. მყიდველები ზოგიერთ საზოგადოებებში არაფითარ მონაწილეობას არ ლებულობდენ მოსაგებში. ამ მომხმარებელ საზოგადოებებს, როგორც ხედავთ, არაფერი საერთო არ აქვთ ზემო აღწერილ დასაფეთ ვეროპის კოოპერატივებთან. ეს იყო უბრალო მოსაგების საზოგადოებები...

სხვა ნაირი განვითარება მიიღო კოოპერატივებმა, როცა ის გადაიტანეს ქარხნებში და სოფლად ექსპლოატაცია ვაჭრების და კერძოდ საქარხნო დუქნების, ექსპლოატაცია გლეხების ჩარხების მხრით და სხვ. — ყველა ეს საუკეთესო ნადავია მომხმარებელი საზოგადოებების განსავითარებლად. და აი მის შემდეგ, რაც კოოპერატივები გადაიტანეს ქარხნის მუშებში და სოფლად, იგინმა დაიწყეს განვითარება. ეხლა, როგორცსჩანს 1906 წლის ანგარიშიდან, 1172 მომხმ. საზოგადოებიდან 707 არის ქალაქებში და 464 სოფლებში. ფაბრიკა-ზავოდებთან, მალაროებთან და მადნებთან იმყოფება სულ 202 საზოგადოება და რკინის გზებში 47. ზოგიერთ ფაბრიკის და რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებებს ეავს რამოდენიმე ათასი წევრი. ასე, პუტოლოვისას ეავს 2400 წევრი და 12.000 მუშტარი. პერმის რკინის გზის მომხმარებელ საზოგა-

ლოკაში ითვლება 12.000 წევრი. მაგრამ ბუ ჩვენ შეესწრდებით კოლპერატივებზედ, რომელიც მოწყობილია მუშებში, ჩვენ დავინახავთ, რომ მათ ცოტა რამ აქვთ საერთო დასავლეთ ევროპის კოლპერატივებთან, და ძირითად გადაკეთებას საჭიროებენ.

ჩვენ ვსთქვით უკვე რომ გამოცდილებამ გამოიმუშავა ერთნაირი წესი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს კოლპერატივის და ურომლისოდაც უკანასკნელს არ შეუძლია არც გაძლიერება, როგორც საქაროა, და არც იმ სარგებლის მოტანა, რაც უნდა მოიტანოს. ჩვენ დავინახეთ, რომ დასავლეთ ევროპაში კოლპერატივები დემოკრატიულად არის მოწყობილი. იქ წევრებია კოლპერატორების პატრონი, ისინი ირჩევენ გამგეობას, მათ წინაშე უკანასკნელნი პასუხის მგებელია, ყველა წევრი თანასწორ უფლებიანია. არაფერია ამის მსგავსი არ არის ჩვენ კოლპერატივებში. კოლპერატივების ძალიან დიდ უმრავლესობას სათავეში უდგას ადმინისტრაცია. ამის გამო, მუშებს, გამგეობის წევრებს, არ შეუძლიან როგორც მათ სურთ ისე წიყვანონ საქმე. „ურჩობისათვის“ მათ მოელის საჩუქარი გამორიცხვის სახით... ამნაირად, უფლებრივი მდგომარეობა წევრებისა უღრის არაფერს, გამგეობა ანგაჩიშს არ უწევს წევრების შეკითხვებს და ხშირად გამოაქვს პირდაპირ წევრების მანარალებელი დადგენილებები. პუტილოვის მომხმარებელ ღუქანში, მაგალითად, გამოკიდული იყო შემდეგი განცხადება: „გათიცვის დროს მომხმ. ღუქანებ. მუშებს ნისიათ არაფერი მიეცეს. ცხადია, ასეთი განცხადების გამოკრუთ შესაძლებელია მაშინ, როცა წევრებს არ აქცევენ უურადლებას. თითონ მუშა—წევრები ხომ არ იტყოდენ

ვარს ნისიაზედ გაფიცვის დროს! ცხადია, რომ დუქ-
ნის ადმინისტრაცია იმას აკეთებდა, რაც მას ნებაე-
და. გამგეობა ბევრ საზოგადოებებში ირჩევა არა
პირდაპირი არჩევნებით, არამედ ორ ხარისხოვანით.
უწინ ირჩევენ რწმუნებულებს, და ესენი — გამგეო-
ბის წევრებს. თავმჯდომარეობს რწმუნებულთა კრე-
ბაზედ ჩვეულებრივად უფროსი. რწმუნებულთა კრე-
ბაზედ რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებებში
თავმჯდომარეს ნიშნავს გზათა უფროსი, — და ჩვეუ-
ლებრივად ვინმე უფროსთა წარმომადგენელს! რკი-
ნის გზის გამგეობას, ხშირად რკინის გზის მომხმა-
რებელ საზოგადოების გამგეობაში აქვს თავისი
წარმომადგენლობა და რასაკვირველია საქმეზედ
გავლენა აქვს უწინარეს ყოვლისა როგორც უფ-
როსს.

აი, რა ნაირი დემოკრიტიზმია ჩვენს მომხმა-
რებელ საზოგადოებებში!

იმას გარდა, რომ ჩვენი მომხმარებელი საზო-
გადოებები აშენებულია არა დემოკრატიულ საფუძ-
ველზედ, მათ აქვთ დიდი ნაკლი თვით ორგანიზა-
ციაში. როჩდელიელ საზოგადოებათა პრინცი-
პები, რომელზედაც ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი,
ჩვენს კოოპერატივებში სულ არ არის ან და შე-
ერთებულია ძველ პრინციპებთან.

პირველად ყოვლისა, პაის სიძვირე, პრემია იძლევა
არა იმაზე თუ ვან საქონელი მეტი წაიღო, არამედ
პაისა და საქონლის წაღებაზე მიხედვით, ამასთან
პროცენტები პაიზედ გვარჩიანა დიდია. არის საზო-
გადოებები, რომლებებიც დივიდენდს მხოლოდ პაიზე
იძლევიან. პაის რაოდენობა ბევრ საზოგადოებაში
განსაზღვრული არ არის. ამის გამო ყველგან გაჩნ-
და თავისი არისტოკრატია.

ჩვენი მომხმარებელი საზოგადოებები ხშირად ქარხნის საექსპლოატაციოთ ხდება და მოსამსახურეთა და პაიშიკების მოსაგებისთვის. რა ნაირსადაც არის მოწყობილი საქმე კოოპერატივებში, ეს სჩანს პუტილოვის მომხმარებელ საზოგადოების მაგალითიდან. იქ დივიდენდს ღებულობენ პაიშიკები 24⁰/₀-იდან 8⁰/₀-მდე და მუშტრებს კი 4⁰/₀.

1905 წელს იყო გაცემული:

პაიშ. დივ. პირვ. პაებ. თითოს	24 ⁰ / ₀ —	26274 მ.—	98 კ.
„ „ მეორ. „ „	12 ⁰ / ₀ —	8401 „—	80 „
„ „ 3—5 „ „	6 ⁰ / ₀ —	3158 „—	05 „
„ „ 6—15 „ „	8 ⁰ / ₀ —	1616 „—	47 „
დივიდენდი მუშტრებს		4800 „—	00 „

ეს ციფრები ნათლად აშტკიცებენ, რომ პუტილოვის საზოგადოება არსებობს მდიდარი პაიშიკების მოსაგებისა. პუტილოვის საზოგადოების აღებ-მიცემობა 1905 წელს უდრიდა 3.144.392 მან. 32 კაპ., მოსაგები კი 82.556 მან. 16 კაპ., ე. ი. 3⁰/₀-ზე ნაკლები. კარგად დაყენებული მომხმარებელი საზოგადოება იძლევა არა ნაკლებ 10⁰/₀ ცხადია, რომ საქმე აქ არ არის ნორმალურად.

პუტილოვის კოოპერატივი გამონაკლისი არ არის, ის ჩვეულებრივი ტაპია ჩვენი კოოპერატივებისა. სულ ყველა კოოპერატივებს ჩვენში ~~გაჭრული ხასიათი აქვთ. მიზანი—მუშათა კლასის დახმარება—~~ მხოლოდ წესდებაშია. ჩვენმა კოოპერატივებმა იმეტომ მიიღეს ასეთი ხასიათი, რომ მათში სრულიად არ არის წევრების თვითმოქმედება.

ჩვენ არ შევჩერდებით დიდხანს ამ შიგლის მიზეზებზე. ცხადია, რომ გარეშე პოლიტიკური პირობები დიდ როლს თამაშობენ ამაში. მთავრობა ყველგან მზათ იყო თვით მოქმედება არ გამოწინი-

ლიყო. და კოოპერატივებისთვის გამოწვევის ხომ არ იქნებოდა. ადმინისტრაცია ყოველი ღონით ცდილობდა საზოგადოების შეფერხებას. მთელი წელიწადი ცდა იყო საქირო, რომ წესდება დაეცა ტკიცებიათ. როსტოვის არტელი უცდიდა ნება-რთვას 1891—96 წლამდის. როცა საზოგადოებებმა დაიწყებდა ახსებობას მთავრობა ყოველთვის მტრულად უყურებდა მას. ქალაქ ვინნიცაში (პოდოლის გუბერნია) მომხმარებელმა საზოგადოებამ ვივესკა გამოკიდა. პოლიციამ უბრძანა ჩამოღება. „ვინნიცა ამერიკა არ არის“—ო ბრძანა სასტიკმა უფროსმა. ასეთ პირობებში მუშების თვითმოქმედება, ცხადია, ვერ განვითარდებოდა. პოლიტიკურ ჩაგვრას გარდა გავლენა ქონდა ქარხნის და ფაბრიკის ჩაგვრას. უფროსებს ყველგან ყავს წარმომადგენლები საზოგადოებების გამგეობებში და ამით ავიწროებს გამგეობის წევრ—მუშებს. მუშათა უუფლობობისა და უკავშირობის გამო მათ, მუშა—წევრებს, არ შეეძლოთ ჩარეოდნენ კოოპერატივების საქმეებში.

თ ა ვ ი IX.

კოოპერატივი „Трудовой Союз“.

რუსეთის ყველა კოოპერატივებიდგან გამოწვევის შეადგენს ახლად დაარსებული კოოპერატივი „Трудовой Союз“—ი. ის აშენებულია იმნაირ საფუძველზედ, როგორზედაც კერობის კოოპერატივები. ის დაარსებულია 1906 წელს. მისში წარდგენილ იქმნა წესდება და 21 ივლისს იყო დამტკიცებული. პირველი საზოგადო კრება იყო 12 აგვისტოს 1906 წ. მას დაესწრო სულ 29 კაცი.

ებლა კი მასში შედის 4000-ზე ბევრათ მეტი წევრი. კოოპერაცივს აქვს პურის საცხოობი (სემიანი-კოკის ქარხნის ახლოს) 2 უზარმაზარი ფეხით, რომელიც აშენებულია მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ცომის საზელი მანქანით, რომელთაც მექანიკურად იზილება ცომი და სხვ. პურის საცხოობი სამაგალითოდ არის მოწყობილი. კოოპერაცივთან ახსებობს რამოდენიმე მომხმარებელი დუქანი. კოოპერატივი „Трудовой Союз“-ი აშენებულია შემდეგ საფუძველზე:

„1. ერთობა ყველა იმ პირთა, რომელთაც სურთ პირველი მოთხოვნების საგნების წარმოების განთავისუფლება კერძო მწარმოებელის მოსაგებისაგან, ერთობა განურჩევლად სქესისა, პროფესიისა და პოლიტიკურ და რელიგიოზურ რწმენისა.

2. შექმნა უპროცენტო პაებისაგან, ე. ი. პაებისაგან, რომელთაც არ მოაქვთ არავითარი მოსაგები; არავითარი პროცენტი, კოოპერატიული საზოგადო კაპიტალის პირველი მოთხოვნების საგნების საწარმოებლად და გასაყიდათ.

3. ზრუნვა უპირველესად ყოვლისა ნაწარმოებ და გასაყიდ საქონლის საუკეთესო თვისებაზედ და მის სიაფეზედ და შემდეგ კი შემოსავალზედ ამ საქონლის გაყიდვისაგან; შემოსავალზედ, რომელიც მიდის პირველად წარმოების გასათართობლად, ახალი პურის საწყობის, სახელოსნოების-საუაჭრო ბანის და სხვ. მოსაწყობად, შემდეგ უმუშევართა დასახმარებლად და კავშირის ავთმყოფ წევრების შემწეობის აღმოსაჩენად უფასო პურის და სხვა პირველ მოთხოვნების საგნების მიცემით, და ბოლოს უფასო პრემია—მარკების დასაჩიგებლად წევრ-მომხმარებელზედ იმის და მიხედვით,

თუ ვის რამდენი უხარჯავს. ამ მარკებით თითოეულს შეუძლია წაიღოს ღუქნიდგან ის ნივთი, რომელიც მას ესაჭიროება.

ვინც მეტი საქონელი წაიღო ერთი წლის განმავლობაში ის იმის და მიხედვით მიიღებს მეტს პრემიას. ეს, რასაკვირველია, ერთნაირი გაიაფებაა პირველ მოთხოვნილებათა საგნებისა. ეს ძალიან ქარგი საშვილებია ნაკლებ შეგნებული კავშირის წევრების წასახალისებლად, რომელიც ჯერ კიდევ არ გამსჭვალულა კავშირის იდევით. უსამართლობა ამ პრემიებში არ არის, რადგანაც იგი რიგდება არა პაების მიხედვით, არამედ თუ ვინ რამდენი საქონელი წაიღო, და ძეტი მიიქვს, რასაკვირველია, იმას, ვისაც დიდი ოჯახი ყავს; და, აი, სწორედ ამათთვის განსაკუთრებით საჭიროა, რომ ერთხელ ან ორხელ წელიწადში მიიღოს უფასოდ განსაზღვრული ნაწილი პირველი მოთხოვნილების საგნებისა.

4. მუშაობაზედ მიზიდვა, როგორც წარმოებაში და გაყიდვაში, ისე კავშირის საზოგადო საქმეების საწარმოებლად რაც შეიძლება წევრების მეტა რიცხვის. კავშირმა უნდა ასწავლოს თვით მხმარებლებს თუ როგორ უნდა გაუძღვენ წარმოებას და პირველი მოთხოვნილების საგნების განაწილებას.

5. გაყიდვა ყველა საგნების მხოლოდ ნაღდზედ, ან მარკებზედ, რომელსაც მხმარებელი იძენს წინ-წინ. ნისია ხშირად დამღუპველია საქმისთვის და მისთვისაც, ვინც, სარგებლობს იმით. წინ-წინ მარკების შექნა, მაგ., ორ კვირეულ პალუქის დროს ქაჩნებში და ფაბრიკებში, უზრუნველ ყოფს ოჯახს პირველი მოთხოვნილების საგნებით ორი კვირით წინ. და ხელს უშლის ფულის გაფლანგვას მაგნებელ საგნებში, მაგ., აჩაყში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კავშირის ინიციატორები, ერთ უმთავრეს მიზნად სთვლიდნ და სთვლიან ლოთობასთან ბრძოლას.

ნ. შრომის პირობების გაუმჯობესება კავშირის სახელოსნოში და სავაჭრო დაწესებულებებში.

მუშებს და მოსამსახურეებს კავშირისას არ აქვთ არავითარი „პატრონის“ უფლება კავშირის სახელოსნოებზე და ღუქნებზე, რომელიც ეკუთვნის ყველა წევრებს—მხმარებელს და მათ შორის, რასაკვირველია, კავშირის მუშებსაც და მოსამსახურეებსაც, თუ კი ისინი შედიან წევრებად კავშირში, რაც ძალიან სასურველი და საჭიროა.

მაგრამ კავშირი ყოველ შემთხვევაში უზრუნველ ყოფს თავის მუშებისათვის შრომის საუკეთესო პირობებს, რომელიც კი არსებობს ამა თუ იმ პროფესიაში და ამა თუ იმ ადგილას. ის ანგარიშს უწყებს იმ პირობებს, რომელიც გამომუშავეებულია ამ თუ იმ დარგისთვის მუშების პროფესიონალურ კავშირის მიერ“.

კავშირის წევრად ითვლება ყველა ის, ვინც შეიტანს 50 კაპ. შესასვლელ გადასახადს. ამასთან საჭიროა შუამდგომლობა და თანხმობა საზოგადოების გამგეობისა. გადამწყვეტი ხმა კრებაზედ აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც შემოიტანა 10 მან. (პაი). მაგრამ 1907 წლის 8 აპრილს საზოგადო კრებამ ეს გააუქმა და ეხლა გადამწყვეტი ხმა აქვს ყველას, ვინც კი შემოიტანა 50 კაპ. პაის რაოდენობა არაა განსაზღვრული, მაგრამ პროცენტი პაიზედ უმნიშვნელოა (1%). თათუელს აქვს მხოლოდ თითო ხმა, რამდენი პაიც მას არ უნდა ქონდეს. დივიდენდი ნაწილდება ნავაჭრის მიხედვით. 8 აპრილს კრებაზედ გამოსთქვეს სურვილი, რომ სულ

არ იყოს დივიდენდი არც ნავაქრზედ და არც პაიხედ. გამოსვლა კავშირიდგან თავისუფალია. 50 კაპ. უკან აღარ იძლევა, პაი კი, აი, ძალიან მოკლედ აწერილობა კოლპერატივის „Трудовой Союз“-ისა.

თ ა ვ ი X.

კოლპერატიული მოძრაობა რუსეთში.

ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყო კოლპერატიული მოძრაობა მუშებში, როგორც ახალი თავისი კოლპერატივების დასაარსებლად, ისე ძველების განსახლებლად. ჩვენთვის საყურადღებოა გამოვსკვლიოთ თუ რა გზით უნდა მიდიოდეს დაწყებული კოლპერატიული მოძრაობა. რამდენიმეთ ეს ცხედათ გამოირკვა უკვე, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც შევჩერდებით ამ კითხვაზე.

თვითმოქმედება.

პირველი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს კოლპერატივის (ფურნე იქნება, სასადილო, ღუქანი თუ სხვ.) — ეს მუშების თვითმოქმედებაა. ყველა უნდა ღებულობდეს მონაწილეობას თვით საზოგადოებას დაარსებაში. ყველა უნდა მსჯელობდეს იმ პრინციპებზედ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს კოლპერატივს. ბევრი სამუშაო არ უნდა მოვახვიოთ თავზე გამგეობას ან კომისიას.

დემოკრატიზმი.

წევრების მიღებაში, არჩევნებში და სხვ. თავიდანვე უნდა ვხელშეწყობდეთ დემოკრატიული პრინციპებით. რაც შეიძლება ფართო ადგილი

წევრების შემოსასვლელად კოოპერატივში— ამ
ლოზუნგი კოოპერატივისა.

კოოპერატივების ნეიტრალობა.

კოოპერატივი უნდა იყოს ნეიტრალური, ე. ი. წევრად უნდა მიღებულ იქმნას ყველა დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის.

თუ ჩვენ კოოპერატივების ნეიტრალობაზე ვლაპარაკობთ, ეს იმას არ ნიშნავს თითქო ჩვენ მუშებს ურჩევდეთ გულ-გრილად მოეკიდონ პოლიტიკას, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ წევრების მიღების დროს არ უნდა კითხულობდნ ვინ რომელ პარტიას ეკუთვნის.

როჩდელივი პრინციპები.

კოოპერატივის მოწყობის დროს აუცილებელია უნდა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოთ ის როჩდელივი პრინციპები, რომელზედაც ჩვენ შემოდგვევით და ლაპარაკი. დასავლეთ ევროპის გამოცდილებიდან ვიცით, რომ იმიდგან აცდენა არის ნაბიჯი გაკოტრებისკენ ან და კოოპერატივის სავაჭრო დაწესებულებად გადაქცევისკენ. თუნდაც პირველი შეხედვით, ეს პრინციპები არა საჭიროდ და მაზარალებელიც ჩნდეს, მაგრამ თითქულომა კოოპერატივმა ის უნდა მიიღოს.

კოოპერატივი საპაიო დუქანი არ არის.

კოოპერატივის მოწყობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მან არ მიიღოს ვაჭრული ხასიათი. არა მოსაგებით, არა დივიდენდებით უნდა ხელმძღვანელობდნ წევრები, არამედ მათ უნდა აინტერესებდნ ხმარების გაუმჯობესება, • დივიდენდი

და ორგანიზაციული მხარე საქმისა. საქიროა დამახსოვნება, რომ კოოპერატივი სავაჭრო დაწესებულება კი არ არის, ანამედ ეს არის ერთნაირი მუშათა ორგანიზაცია, რომელმაც უნდა დაეხმაროს კაპიტალთან ბრძოლაში. ამ ბრძოლის სასარგებლოდ სასურველია, რომ 1% პაიებზედ სრულიად მოიხსროს და პროცენტი ნაფაქზე დალიან შემცირდეს, თუ მისი მოსპობა მთლად არ შეიძლება. მისი ისევე გაუქმება როგორც პროცენტის გაუქმება პაიზედ, აქნებოდა იმის მომსწავებელი, რომ კოოპერატივის წევრები კოოპერატივიდან კი არ მოკლიან თავისთვის, არამედ იძლევიან მას საერთო საქმისთვის (ვთქვათ, უმუშევართა ფონდისთვის ან სხვა რომელიმე კულტურულ დასაწყისისთვის). კოოპერატივის წევრები მაშინ დაკმაყოფილდებიან ახალი პირველი მოთხოვნების სანოვაგით და იმ კულტურული ან სხვა სიკეთით, რომელსაც მოიტანს კოოპერატივი მის განვითარებაში.

მკვლე კოოპერატივების გაქდაქმნა

ეს ცნება შეეხება არსებული კოოპერატივების გაქდაქმნას, აქაც უნდა ვიხელმძღვანელოთ დასავლეთ ევროპის კოოპერატივების გამოცდილებით. ჩვენი მომხმარებელი დუქნების გადაკეთება ძალიან ძნელი იქნება. უნდა ყველაფერი გადააკეთოთ თავიდან ბოლომდის. აღვნიშნოთ ძირითადი პუნქტები. პირველად ყოველისა უნდა გამოველიოთ კოოპერატივი აღმინისტრაციის ხელიდან. ამისათვის კი საქიროა შეკავშირება წმინდებულების ასარჩევად და სადაც კი იტორდაპირი არჩევნებია — გამგეობის ასარჩევად. გამგეობა, როგორც ყველა სხვა კომისიები, (სარე-

ვიზიო, მყიდველი და სხვ.) განთავისუფლებული უნდა იყოს ადმინისტრაციისაგან.

თავის გამგეობის არჩევის შემდეგ უფრო იოლია ბრძოლის გაგრძელება. საჭირო იქნება გაუქმდეს ორსართულიანი არჩევნები და ყველგან გაყვანილ იქმნას პირდაპირი ხმის მიცემა გამგეობის ასარჩევად. რწმუნებულებიდან შესაძლებელია მოეწყოს საბჭო, რომელიც კონტროლს გაუწევს პირდაპირი ხმის მიცემით არჩეულ გამგეობას.

თან და თან უნდა გადაკეთდეს ძველი კოოპერატივების საფუძველი. უნდა მოისპოს $\frac{1}{10}$ -იანი უპირატესობა პაიშიკებისა, უნდა განთავისუფლდეს ამ პაიშიკებისაგან, რომელიც ამდებთან კოოპერატივს, დადგენილ უნდა იქმნას პატარა პაი, უნდა გათანასწოროდეს უფლებით წევრები—პაიშიკები და წევრები—მუშტრები და სხვ. და სხვ.

არსებულ კოოპერატივების დასაპყრობათ მუშებს ბრძოლა სჭირიათ, მაგრამ ისინი არ უნდა შეუშინდნენ ამას, თუ კი დარწმუნებული არიან, რომ კოოპერატივი მათ სამსახურს გაუწევს კაპიტალთან ბრძოლაში.

ესლა უნდა მოგვიდეთ ხელი კოოპერატივებს თუ არა?

ჩვენ ვსთქვით რომ მუშებში დაიწყოს კოოპერატიული მოძრაობა. სრულიათ ბუნებრივი. იქნება ვკითხოთ თავს თავს: აქვს თუ არა რაიმე საფუძველი ესლა კოოპერატივების მოწყობას, როდესაც, ერთი რომ, არ არის შესაფერი პოლიტიკური პირობები, და მეორე, როდესაც პირველ ადგილას უნდა იყოს წამოყენებული ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის. „კოოპერატიული“ მოძრაობა ჩამოაშორებს მუშებს რევოლუციიდან თუ არა?

პოლიტიკური პირობების უქონლობაზე—სერიოზული შეკითხვაა. კოოპერატივები ჩვენში ნებადართულია. არსებობს, როგორც დავინახეთ, 1000 მეთი კოოპერატივები. სულ ადვილია, რომ კოოპერატიული მოძრაობის ზრდასთან მთავრობა შეეცდება მის შეფერხებას და ეს ცუდად იმოქმედებს კოოპერატივებზე. შესაძლებელია ისიც, რომ მთავრობამ ზომებიც მიიღოს მის განვითარების წინააღმდეგ და ზოგიერთი კიდევაც დახუროს. მაგრამ მთავრობა, რამდენიც არ უნდა ეცადოს, ვერ შეძლებს ცხოვრებას წინ გადაუბინოს. ჩვენ ვიცით რომ კერავითარმა აკრძალვამ ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობა. პროფეს. კავშირებიც აკრძალული იყო, მაგრამ მერმე მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეფანტებია. ასე იქნება კოოპერატივების საქმეც. იქნება, რასაკვირველია, ბრძოლა კოოპერატიულ ნიადაგზედაც, მაგრამ ბრძოლაში ჩვენ ვკავშირდებით და ვაწყობთ ჩვენს ცხოვრების ახალ დასაწყისზედ. მთავრობის მიერ კოოპერატივების წინააღმდეგ გამოლაშქრება კიდევ უფრო ცხად ყოფს პოლიტიკურ თავისუფლების საჭიროებას.

როდესაც პოლიტიკური თავისუფლება არ არის, კოოპერატივები იოლად გადაიქცევა სავაჭრო დაწესებულებათ, მაგრამ ეს იმის მაჩვენებელია რომ შეგნებულმა მუშებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კოოპერატივებში და შეაჩერონ თავიანთი ნაკლებათ შეგნებული ამხანაგების გატაცება კაპეისაკენ, მისწრაფება რაც შეიძლება მეტი დივიდენდის მიღებასაკენ და სხვ.

ჩამოაშორებს თუ არა კოოპერატიული მოძრაობა რევოლუციას?

არა! ვერავითარი ორგანიზაცია ვერ შეძლებს

მუშები რევოლიუციას ჩამოაშოროს, როცა სახელმწიფოში არ არის მოქალაქობრივა თავისუფლები. ჩვენ ვიცით უკვე, რომ თითქმის მთავრობის მიერ მრწალობალი კავშირებიც კი (ზუბატოვცები, გაწონოვცები) ცხადად აგნებიებს მუშებს პოლიტიკურ თავისუფლების საჭიროებას. რამდენადაც მეტიან მოთხოვნილება ორგანიზაციაში, რამდენადაც მეტს შეკავშირდება მუშათა კლასი, ამდენად მატულობს მისი წინააღმდეგობა მტერთან ბრძოლაში.

კოოპერატივი — ერთნაირი ორგანიზაციაა. მართო ერთი კოოპერატივებით ხომ ვერ დაკმაყოფილდება მუშა. იმით დაკმაყოფილდება მისი ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარე. კაპიტალისტები და მთავრობა ერთნაირად არ უყურებენ მუშებს, საგანგებოდ შეკავშირების დროს, რევოლიუციონურ ხანაში, რომ მუშებმა არ იგონონ შეკავშირების საჭიროება პროფ. და პოლიტიკურ წინადაგზედ, საჭიროება თავისუფლებისთვის ბრძოლის.

რამდენადაც არ უნდა ჩამოაშორდენ მუშებმა პოლიტიკურ ბრძოლას, ცხრვრება მაინც შიიზიდავს მათ მისკენ, რადგანაც რევოლიუცია არის არარევოლიუციონერების ავითაციის ნაყოფი, არამედ შედეგია დღევანდელი რეჟიმის შეუფერებლობის თანამედროვე წარმოების ძალთა განვითარებასთან. საზოგადოებას არ შეუძლია ისე განვითარება, თუ აბსოლუტიზმი არ მოიხპო. და სანამ აბსოლუტიზმი იბრძოლვებს თავის არსებობისათვის, მანამ კოოპერატივი ვერ ჩამოაშორებს მუშებს პოლიტიკურ ბრძოლას.

ჩვენ უნდა უყურებდეთ კოოპერატივს დადებითად კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ განვიცდით ასეთ პერიოდს, როდესაც ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორის დებულობს (როცა თავისუფლება იქ-

ნება, მაშინ უფრო მეტად მიიღებს) შეერთებულ ხასიათს. კაპიტალისტებმა, ასე ვთქვათ, იწყეს შემოთხრილვა. ისინი აწყობენ კავშირს, მართავენ სი-ეზღებს, აარსებენ ურთიერთ დამხმარე კასსებს გაფიცვის დროსთვის, ლოკაუტების და სხვ. მათ ეს მით, რომ მუშათა კლასი—ძალაა და კმზადებან ბრძოლისთვის. ეს ჩვენც უნდა ვიცოდეთ. ჩვენც უნდა შემოვითხრილოთ. მარტო პოლიტიკური ბრძოლით არ შეიძლება დაკმაყოფილება. მაშინ ყველა პოლიტიკური მოპოვებანი კადეტების და ოქტომბრისტების სასარგებლოდ წავა. ჩვენ ამ რევოლიუციონურ ეპოქაში უნდა აკაშენოთ როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური სიმაგრეები. ჩვენ უნდა შევკავშირდეთ კლასიურ პარტიაში, რომ დავიცოთ ჩვენი მოქალაქობრივი უფლებები, ჩვენ უნდა შევკავშირდეთ პროფესიონალურ კავშირებში და დავიცოთ თავიანთი უფლება, როგორც მწარმოებლებმა; და, ბოლოს, კოოპერატივებში მუშები აცავენ თავის ინტერესებს, როგორც მხმარებლები. ეს დაგვეხმარება ჩვენ უფრო წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა კაპიტალთან და მთავრობასთან. ასეთი სიმაგრეების აგების დრო სწორედ ეხლა არის, რადგანაც ხალხი ეხლა მიისწრაფვის მოაწყოს ახალი ცხოვრება. დეე ეს სიმაგრეება ერთბაშად არ იქმნებაან მძლავრი, მაგრამ ამისთვის ჩვენ გულზედ ხელი არ უნდა დავიკრიფოთ!

თ ა ვ ი XI.

კოოპერატივები და მუშათა მოძრაობა.

რობერტ ოკენის კოოპერატიული უტოპიები.

დიდა რობერტ ოკენი, დამაარსებელი პირველი მომხმარებელი ასოციაციისა, ფიქრობდა მუშათა

კითხვა კოლექტივებით გადაწყვიტა. მისი ადგილი იყო კაცობრიობის შეკავშირება კალონიებად, რომელნიც 2000—3000 კაციდგან შედგებოდა და რომელნიც თითონ აწარმოებდნენ ყველა საგნებს, რაც კი მათთვის საჭირო იყო. ადამიანები უნდა შეერთდნენ საზოგადოებებად და გახსნან მომხმარებელი დუქნები, სადაც წევრები აყიდიან ყველა საჭირო ნაგებებს. მოსაგები ცალკე გადაიღობა, როცა შეგროვდება მოზრდილი თანხა, საზოგადოება გახსნის ქარხნებს, შემდეგ კი იყიდის მიწებს, რომ ის თვით წევრებმა დაამუშაოს, ამ ნაირად, ყველა საჭირო ნივთებს დაამზადებს თითონ საზოგადოება. ასეთი გზით ოცნებობდა რობერტ ოკენი მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ატეხილ ბრძოლის ჩაქრობას. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ის ძალიან გატაცებული იყო.

სოციალისტ-რევოლუციონერების ანარქისტების და სხვა უტოპია.

მაგრამ კბლაც არის ადამიანები, რომელთაც გონივრთ, რომ კოლექტივებით შეიძლება გადასწყდეს მუშათა კითხვა. ასეა მაგ. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ფაქრობს, რომ კოლექტივების მოწყობით შეიძლება პირდაპირ გადახტომა სოციალიზმის სამეთვლიან წიგნში „Трудовое Товарищество“ ავტორი მართლმწიფი სწერს, რომ სოციალიზმისკენ მიდის ორი სხვა და სხვა გზა. პირველი გზა არის სოციალ-დემოკრატიის გზა. ის მიდის კაპიტალიზმის განვითარებით. მსხვილი კაპიტალი დაამარცხებს წვრილს, მუშები თან და თან შეკავშირდებიან და დაამარცხებენ ბუროკრატებს. „მეორე ნაწილი სოციალისტებისა, განაგრ

ქობს მაიოროვი, განსაკუთრებით რუსეთში, სოციალისტ რევოლუციონერები, პირიქით, ხელდავენ და გვიჩვენებენ მეორე გზაზე, სახელდობრ კოლპე რაციებზე“. ჩვენთვის, ასე ვსთქათ, საჭიროც არ არის გავიაროთ გრძელი და მძიმე გზა კაპიტალიზმის განვითარებისა, კონკურენციისა და წვრილი წარმოების მოსპობისა, წვრილი გლეხის ჩაყლაპვისა მსხვილას მიერ და სხვ.

არის არა სოციალისტ რევოლუციონერებიც, რომლებიც თქვამენ რომ კოლპერაციების ბადე მოედობა მთელ მცხოვრებლებს და გადასჭრის მუშათა კითხვას. ქლაქის კოლპერატივები აიღებენ თავის ხელში საქარხნო წარმოების ორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო კოლპერაციები კი აიღებენ თავის ხელში გაყიდვას, დამუშავებას და სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების ერთად დამზადებას და ამ ნაირად მოისპობა კაპიტალიზმი.

სოციალ-დემოკრატების შეხედულება.

სოც. დემოკრატები არ ოცნებობენ რომ კოლპერატივებით შეიძლება მოსპობა სიღარიბის და უმუშევრობისა, რომელიც კაპიტალისტური განვითარების შედეგი არის. ს.-დ.-ები არ ოცნებობენ კოლპერატივებით დაიფარონ წვრილი მწარმოებელი ფანჯღურებისაგან. მათხოვრობა, სიღარიბე, უმუშევრობა, წვრილი წარმოების განადგურება—აუცილებელი შედეგია კაპიტალიზმის განვითარებისა და შეჩერება ამ განვითარების ჩვენ კოლპერატივებით არ შეგვიძლია. რახან ეს ასეა, მაშასადამე, არც მუშათა კითხვის გადაჭრა კოლპერატივებით არ შეიძლება. მთელი ბოროტება მუშათა ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს დაქირავე

ბული შრომა. რა ნაირი კარგიც არ უნდა იყოს ამ შრომის პირობები, თითოეული მუშა მაინც იყვლიფება და ყოველთვის ელის უმუშაოდ დარჩენას, და სანამ იქნება დაქირავებული შრომა, ვერავითარი კოოპერატივები ვერ შესძლებენ უზრუნველყონ მუშები კერც უმუშევრობისაგან და კერც შრომის ექსპლოატაციისაგან. ინგლისში კოოპერატივები ძალიან გაკრცვლებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა ქუმუშევრობა ძალიან დიდია. იმაზედ ფიქრი რომ კოოპერატივები შესძლებენ თანამედროვე პირობებში მთელი მცხოვრებლების და მთელი წარმოების შემოვლელას—ნიშნავს ოცნებებას შეუძლებელზედ. ერთი რომ კაპიტალისტური სახელმწიფო თათონ ცდილობს მოაწყოს წარმოება თავის მიზნებისთვის. ამას გარდა ქალაქის თვითმარტველობებიც აწყობენ საჯაჭროებს და ბოლოს, კაპიტალისტები აარსებენ ვეებერთელა სინდიკატებს, ტრესტებს და სსჯ. ყველა ეს სახელმწიფო, ქალაქის, და მსხვილ კაპიტალისტების წარმოების ფორმები არიან კოოპერატივების მოცილე, და უკანასკნელნი შენდგენენ უმნიშვნელო ნაწილს მთელ მრეწველობაში. ასე, მაგალითად, ინგლისში მთელი კაპიტალი უდარის 100 ათას მილიონ მანეთს, კოოპერატივების კაპიტალი კი 120 მილიონს. და როცა პროდუქტის რიანიტი მოიჭრება უფლებას, მაშინცის აფარებლებს ყველა მსხვილი წარმოებებით. მარტო კოოპერატივები—ძლიან პატარა ნაწილია მრეწველობის ზიულ საზოგადოების საერთო კაპიტალში. ამგვარად შეიძლება კოოპერატივებმა მთელ მცხოვრებლებს გადაწვდეს? კაპიტალისტურ წარმოების დროს ეს შეუძლებელია. ინგლისში ჯერ მხოლოდ მცხოვრებთა $\frac{1}{5}$ ღებულობს მონაწილეობას კოოპერატივებში.

ვებში, $\frac{1}{3}$ კი სდგას მის გარეშე, ე. ი. ასი კაცად გან მხოლოდ ოცი სარგებლობს მომხმარებელი საზოგადოებებით, 80 კი გარეშე სდგას. ამის მიზეზი ის არის, რომ კოოპერატივი ყველასათვის სასურველი არ არის და ამას გარდა ყველას არ შეუძლია იმით სარგებლობა. მდიდრები და ასე თუ ისე შემოღებული პირები კოოპერატივში არ მიდიან. აქ მათთვის ყველაფერი უგემოა. აქ ისინი ვერ ნახევენ თავის გემოზე კერც საქონელს, ვერც ისეთ მაამებელ ნაქრების მოპყრობას, როგორსაც ნახავენ სხვა „მაღაზიებში“. მეორე მხრით, უკიდურესი ღარიბობაც ვერ ეთვისება კოოპერატივებს: ყოველად მოუხერხებელია კოოპერატივში მონაწილეობა მცხოვრებთა იმ ნაწილისა, რომელიც მუდმივ ერთ ადგილზედ არ ცხოვრობს.

მაგრამ საქმე მართო იმაში კი არა, რომ კოოპერატივში ყველას არ შეუძლია მონაწილეობის მიღება, არამედ იმაში კიდევ, რომ თანამედროვე პირობებში კოოპერატივებს არ შეუძლია გადაწვდეს მრეწველობის ყველა დარგებს. ავიღოთ, მაგალითად, რკინის გზები. როგორ წარმოვიდგინოთ, რომ მგზავრები (ე. ი. რკინის გზის „მხმარებლები“) დაებატრონებიან რკინის გზას კოოპერატიულ დასაწყისზედ. ეს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მგზავრების კოოპერატივს. ფოჩტა, ტელეგრაფი, გაზის და წყალის მიწოდება და სხვ. არ შეიძლება დაარსდეს ნება-ყოფილობითი კოოპერაციის დასაწყისზედ.

მაშასადამე, კოოპერატივები ვერ შესძლებენ მთელი მცხოვრებლების გადაწდომას და მით უმეტეს მთელი წარმოებისას.

არ შეიძლება დაკმაყოფილება მარტო კოოპერაციებით.

მუშათა კლასს არ შეუძლია გასაზღვროს მისი მოქმედება მარტო კოოპერაციებით. დაუშვათ ერთ წამში, რომ მუშებმა დაივიწყეს პროფესიონალური ბრძოლა. რა მოხდება მაშინ? ის, რომ კაპიტალი თავისუფლებას იგრძნობს და მაშინვე დაუწყებს ხელფასს. ეს დანაკლისი კი მეტი იქნება იმ დივიდენდზედ, რომელსაც მუშა მიიღებს როგორც კოოპერატივის წევრი. თუ პროფესიონალური ბრძოლა არ არის საქონლის გაიაფების მნიშვნელობა აღვიღად შესაძლებელია აწაფრამდე დავიდეს. ხელფასის ასაწევად კი კოოპერატივები ვერ იბრძოლებენ. მხოლოდ პროფესიონალურ ორგანიზაციას შეუძლია აწარმოოს ბრძოლა შრომის გასაუმჯობესებლად ამა თუ იმ წარმოებაში. ამ ნაირად, კოოპერატივში შეკავშირება ვერასოდეს ვერ გახდის წედ-მეტათ მუშების პროფესიონალურ ორგანიზაციებში შეკავშირებას. უკანასკნელის მიზანია—ბრძოლა შრომის გასაუმჯობესებლად, ბრძოლა გასაუმჯობესებლად მუშის მდგომარეობას, როგორც მწარმოებელისა. კოოპერატივების მიზანია—დაეხმაროს მუშათა კლასს, როგორც მხმარებელს. თუ კოოპერატივებს არ შეუძლიათ შეასრულონ ორი პროფ. კავ. მით უმეტეს მათ არ შეუძლიათ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის მაგიერობა პოლიტიკურ ბრძოლის საწარმოებლად. რუსეთის მომხმარებელი საზოგადოებების ისტორია ნათლად გვაჩვენებს, თუ რად გადაიქცევა კოოპერატივი, როცა მოქალაქეებს არა აქვთ თავისუფლება; ისინი ხშირად ყვლეფენ მუშებს. მოქალაქობრივი თავისუფლება—ჰაერია კოოპერატივებისთვისაც და, აი,

რატომ არის ცხადი პოლიტიკურ თავისუფლების
შაპოების საჭიროება და მაშასადამე პოლიტიკური
ბრძოლის საჭიროებაც. ჩვენ რომ კოოპერატივებმა
გავვიტაცოს და ვიფიქროთ რომ პოლიტიკური ბრძო-
ლა მეტიაო, კოოპერატივებშიც ჩვენ ვერაფერს ვე-
ლარ მივალწევთ.

ინგლისის მუშათა ისტორია ნათლად გვიმტკი-
ცებს ჩვენ იმ აზრის სიყალბეს, თითქოს მუშებს
არ სჭირდეთ დამოუკიდებელი მუშათა პარტია.
მრავალი წლების ბრძოლისა და გამოცდილების
შემდეგ ინგლისის მუშები დარწმუნდნენ, რომ არ
კმარა კარგი პროფესიონალური კავშირები და კო-
ოპერატივები, და რომ აუცილებლად საჭიროა შე-
კავშირება ერთს დამოუკიდებელ პოლიტიკურ
მუშათა პარტიაში. კანონმდებლობა, გადასახადების
განაწილების პოლიტიკა, მილიტარიზმი, სჯარეო
პოლიტიკა, სსსმართლო და სხვ.— ყველა ეს კო-
ოპერატივების საქმეები არ არის. ყველა ზემოა აღ-
ნიშნულ დარგებში მუშებს შეუძლიან დაიცონ თა-
ვიანთი ინტერესები მხოლოდ დამოუკიდებელი პო-
ლიტიკური პარტიის საშვალებით. ვინც მუშებს
ეუბნება — შენთვის არის საჭირო კოოპერატიული
კავშირები და არა პოლიტიკური პარტიები, რომ-
ლებიც ერთმანეთს-ებრძვიანო, — ის შეგნებულად თუ
შეუგნებლად ბურჟუაზიას ეხმარება.

ამ ნაირად, პროფესიონალური კავშირები და
პოლიტიკური პარტიები არასოდეს არ არის მეტი
კოოპერატიული მოძრაობის დროს, მუშათა კლასის
ბრძოლაში მათ თითქმის უმთავრესი ადგილი
უჭირავთ, ვინემ კოოპერატივებს, რადგანაც იგანი
აძლევენ განვითარების საშვალებას თვით კოოპერა-
ტივებს. თუ პოლიტიკური თავისუფლება არ არის

კოოპერატივი მალე გადაიქცევა უბრალო სავაჭრო დაწესებულებათ, თუ პროფესიონალური კავშირი არ არის. კოოპერატივი ვერ ვითარდება, რადგანაც, რამდენადაც მუშა ღარიბია, იმდენად მას უჭირს კოოპერატივში მონაწილეობის მიღება, პროფესიონალური კავშირები კი აუმაჯობესებენ მუშის მდგომარეობას. მეორეთ, შედეგი პოლიტიკურ და პროფესიონალურ ბრძოლისა, თუმცა პირველსაც და მეორესაც აწარმოებს უმცირესობა, ვრცელდება არა პროფკავშირის ან პარტიის წევრებზედ, კოოპერატიული ბრძოლა კი ეხება მხოლოდ მისი წევრების მდგომარეობას. მაგალითად, გაყვანა კანონმდებლობითი გზით კავშირის თავისუფლებისა ან 8 საათის სავაჭრო დღისა—ვრცელდება ყველა მუშებზედ. ან და კოლექტიური (საერთო) პირების დაწესება პროფკავშირს და პატრონს შორის ვრცელდება არა მარტო კავშირის წევრებზედ, არა მედ ყველა მუშებზედ რომელიმე პროფესიისა. კოოპერატივის განვითარებას კი მოაქვს სარგებელი მხოლოდ მომხმარებელი საზოგადოების წევრებისათვის.

კლასიური თვითშეგნების განვითარებაში კოოპერატივები ნაკლებ როლს თამაშობენ, ვინკმ პროფესიონალური კავშირები და მათ უმეტეს ვინკმ პარტია. მართალია, კოოპერატივებს ხშირად უხვდებათ შეტაკება ქალაქის საბჭოებთან და წვრილ ვაჭრებთან, რომლებიც ბრძოლას ეწევიან მომხმარებელი დუქნების წინააღმდეგ, და ამ ბრძოლაში ირკვევა ჩვენი მუნაციპალიტეტების კლასიური ხასიათი, მართალია, რომ კოოპერატივებს სახელმწიფოც ბურჟუაზიული ინტერესებს თვალთახედვის ისრით უსტყერის, მაგრამ მიუხედავად ამისა კლასიური

თვითშეგნება აქ ნაკლებად ვითარდება, რადგანაც კოოპერატივის სამოქმედო სფერა განსაზღვრულია.

არ შეიძლება გაჩვენოთ კოოპერატივები.

შეიძლება ამ თავის წაერთხვის შემდეგ ვინმემ იკითხოს, მაშ რაღა საქირთა კოოპერატივები?

კოოპერატივებს რომ მარტო ერთი მიზანი ქონდეთ—მუშათა საზრდოს გაუმჯობესება და დამპალი სანოვაგის ნაცვლად ახალის, კარგი თვისების სანოვაგის მოტანა—მაშინაც კი ისინი დიდ სარგებელს მოუტანდენ მუშებს. საქმელის მიკლება და ცუდი სანოვაგით საზრდოობა ცუდ გავლენას ახდენს მუშების ჯანმრთელობაზე და ცხოვრებაზე. ამას აქვს მნიშვნელობა მუშების საზოგადო ბრძოლაში კაპიტალთან. ყოველგვარი გაუმჯობესება ცხოვრებისა აძლიერებს მუშათა კლასის წინააღმდეგობას სოციალისტურ წესწყობილებისათვის ბრძოლაში. რამდენადაც მუშების მდგომარეობა ცუდია, ამდენად იგინი ჩამორჩენილნი და შეუგნებელნი არიან, იმდენად უფრო ნაკლებად შესძლებენ ბრძოლისათვის შეკავშირებას. მაშასადამე, ჯერ ერთი საზრდოს გაუმჯობესებაც მნიშვნელოვანია. მაგრამ კოოპერატივის მოღვაწეობა მარტო კუჭით არ თავდება... სვენ დავინახეთ რომ ის ზრუნავს მუშების გონებრივ განვითარებაზედაც. სწავლა-განათლებაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშები იძულებულია თითონ იზრუნონ და კოოპერატივები პრაქსიონალურ კავშირებთან ერთად ამ მხრივ ბევრ რამეს აკეთებენ მუშათა შორის სწავლა განათლების გასაფრცელებლად (როგორც სპეციალურის, ისე ტექნიკურისას). მატერიალურადაც გონებრივი დახმარებით არ თავდება კოოპერატივე-

ბის როლი. მათი როლი მუშათა კლასის განთავისუფლებაში ამით არ განისაზღვრება. შრომის ექსპლოატაციის მოსპობა ძალიან რთული საქმეა და ის რომელიმე საყოველთაო გაფიცვის შედეგი არ იქნება. ას იქნება ნაყოფი ყველა იმ ბრძოლისა, რომელსაც ეხლა აწარმოებს ყველა ქვეყნებში მუშათა კლასი. ამ ბრძოლაში მუშები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სახელმწიფო უფლება, რომ შემოიღონ სოციალისტური წარმოება. მაგრამ ასეთი დიდი პლანის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა პროლეტარიატის ფართო მასიური ორგანიზაცია, მისი შეგნებული ნაწილის სოციალისტური საფუძვლებით გამსჭვალვა და მასის ერთნაირი კომზადება მომავალი წესწყობილებისათვის, ყველა ეს მისაწვდენია მუშების მონაწილეობით საზოგადო ცხოვრების ყოველგვარ საკითხში და ბრძოლის ყოველგვარ ფორმებში: პოლიტიკურში, პროფესიონალურში და კოოპერატიულში.

მუშათა კლასმა რომ მარტო თავისი ძალების შეკავშირება აკმაროს, პოლიტიკური ბრძოლისათვის ის ვერასოდეს ვერ შესძლებს შეკავშირებს უფრო ფართო მასსა. პოლიტიკურ პარტიებში მონაწილეობას დებულობენ მხოლოდ უფრო შეგნებული მუშები. მაგალითად, გერმანიაში სოციალ-დემოკრატებს ხმა აძლევენ 3 მილიონი, პარტიაში კი წარის 350,000. დანარჩენი ნაწილი პროლეტარიატისა შეკავშირებულია პროფესიონალურ და კოოპერატიულ კავშირებში.

მუშათა კლასი რომ მარტო პოლიტიკურ ბრძოლით კმაყოფილდებოდეს, მაშინ აღარ იქნებოდა აღმზრდელი მნიშვნელობა პროფესიონალური კავშირების და კოოპერატივებისა და ამას

კი დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარაატის მომზადებაში მომავალი სოციალისტური წეს-წყობილებისათვის. თეორეტიული იდეები აქ ხორციელდება ნამდვილ ფორმებში. პროფესიონალური და კოოპერატიული კავშირების საშუალებით პროლეტარიატისთვის ადვილად გასაგებია მომავალი სახელმწიფოს სისტემა. კოოპერატივები ნათლად გვიჩვენებს, რომ შეიძლება ცხოვრება უპატრონოდაც — უკაპიტალისტოთაც, ის გვიჩვენებს, რომ მუშებს შეუძლიან, პატრონების მოუხმარებლად, თუ კისინი კარგად შეკავშირებულნი არიან, მსხვილი საქმეებს — სამკუწველო დაწესებულებების მართვა. მუშები ნათლად რწმუნდებიან, რომ კაპიტალისტებზე საქონლი აქ არიან, და ადარებენ რა თავის კოოპერატივებს და კაპიტალისტურ დაწესებულებებს, ისინი ნათლად ხედავენ, რომ პირველი ფაცილებით სჯობია მეორეს და აქედგან კიდევ უფრო აშკარადდება შესაძლებლობა და უპირატესობა სოციალისტური წესწყობილებისა...

დასკვნა.

ამ ნაირად ჩვენ დავანახეთ რა არის კოოპერატივები, რა ნაირად ვითარდებოდენ ისინი, რა ნაირად სკოცხოვდებენ და ვრცელდებიან. ჩვენ დავინახეთ კარგი და ცუდი მხარე კოოპერატიული მოძრაობისა. ჩვენ დავინახეთ მისი როლი პროლეტარიატის საზოგადო მოძრაობაში. ჩვენ არ ვეუბნებით მუშებს, რომ კოოპერატივით დავამარცხებთ კაპიტალიზმს, რომ კოოპერატივი — ეს განხორციელებს სოციალისტური წესწყობილებისა; ჩვენ ვაფრთხილებთ მუშებს ნუ გაიტაცებენ მათ კოოპერატივების პოლიტიკურ და პროფესიონალურ ბრძო-

ლის საზარალოდ, მაგრამ ჩვენ არ უარვყოფით კო-
 კორპორატივების მნიშვნელობას მუშათა კლასის ბრძო-
 ლაში. და თუ ეხლა გაჩნდა მისწრაფება რუ-
 სეთის მუშებში კორპორატივების მოსაწყობად,
 ჩვენ მივესალმებით მას. ოღონდ მუშებმა უნდა
 კორპორატივების ასტორიას და მის ეხლანდელ
 მდგომარეობას და აიცილონ ის შეცდომები, რომ
 ლებიც ხშირია კორპორატიულ საქმეში. ჩვენმა მუ-
 შებმა აიცილონ ინგლისის კორპორატივების შეცდ-
 მეტი პრაქტიკული სულასკვეთება, მუ დაივიწყე-
 ბენ ხელგიერ მუშებსავეთ კორპორატივების სა-
 კეთილდღეოთ პროფესიონალურ გაუმჯობესებ-
 გაიტაცებს მათ კორპორატიული უტარა სოციალ-
 ლისტ-რევოლუციონერებისა და მათ უმეტეს ანარ-
 ხისტებისა, მაგრამ მიიღონ კორპორატივების გან-
 რის მიღებაც კი შეიძლება მისგან. და ჩვენც დარ-
 წმუნებულ ვართ, რომ ჩვენშიაც მარტე გეგმებს
 თავისი სახალხო სახლები, ზაკის კორპორატიული
 სასახლები, და ისინი წამსახურს გაუწყვენ მუშებს
 ბრძოლაში კაპიტალისტურ წესწყობილებასთან,
 ბრძოლაში სოციალიზმისათვის!

დასაბუთება

კორპორატიული მოწყობის კორპორატივების
 აღსებულ კანონებს ძალიან კორპორატივის
 დასახება შეიძლება გუბერნატორის წებარათით,
 თუ წარდგენილ იქნება დასამტკიცებლად ეგრედ
 წოდებული ნორმალური წესდება. ეს წესდება, შედ-
 გენილი მთავრობის მოხელეებისაგან, შეიცავს რა-
 მოცენიძე წეს, რამელსაც შეუძლია შეაფერხოს კო-
 რპორატიული საქმე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში
 წესდება ასე თუ ისე ივარგებს, და რომ იმ წესდ-

ბის ძალით მაინც გვაძლევდნენ მოქმედების საშუალებას, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა მუშაობა.

მაშასადამე, რომ დამტკიცება დავაჩქაროთ, სჯობსა შევიძინოთ ნორმალური წესდება (შეიძლება გამოწერა 4 შვად კაპიციანი მარკით პეტერბურგიდან: Фурштадская 44, отделение комитета о ссудо-сберегательныхъ и промышленныхъ товариществахъ ან და მოსკოვიდან: Фуркасовскій пер. 10. „Моск. союзъ потребителейныхъ обществъ“. დამზადებულ ბლანკებში უნდა ჩააწეროთ მხოლოდ სახელი საზოგადოებისა და კიდევ რამდენიმე ცნობები, თანახმად იმისა, როგორც არის ნაჩვენები ბლანკში, შემდეგ ხელი უნდა მოაწერონ დამფუძნებლებმა და თხოვნასთან ერთად უნდა წარედგინოს გუბერნატორს. ყურთა ხელმონაწერი უნდა იყოს შემოწმებული ნოტარიუსიდან, ჩვენ აქვე უმატებთ რამოდენიმე დარიგებას, რომელიც გამომუშავებულია მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირისაგან.

დარიგებას მომხმარებელ საზოგადოებათა დამფუძნებელთ.

1. მომხმარებელი საზოგადოების გახსნას ნებას რთავს ნორმალური წესდებით გუბერნატორი, რომელსაც უნდა წარედგინოს თხოვნა წესდებისთან ერთად, დამფუძნებელთა ხელის მოწერით. რიცხვი განსაზღვრული არ არის თხოვნაზედ უნდა იყოს ღერბიანი 75 კ. მარკა.

2. საზოგადოებას შეუძლია დაიწყოს მოქმედება, როცა მისი წევრების რიცხვი აღის 30 კაცზე; საზოგადოების გახსნა ეცნობება გუბერნატორს, რომელსაც მაშინვე ეგზავნება 10 კგზემპლიარო წესდებისა, საზოგადოების გახსნა არ ნაშ-

ნავს კიდევ ვაჭრობის გახსნას. ვაჭრობის დაწყება დამოკიდებულია საჭირო თანხის შეგროვებაზე და გასაღების უზრუნველყოფაზე. წევრებ მყიდველებზე, რომ მომხმარებელი კოოპერაციის შინაარსი ფარკ, თოთ გავრცელდეს შეიძლება ურჩიოთ საზოგადოებრივების მოწყობა რეფერატებით, ფურცლების დე ლიტერატურის დარაგება. და სხვ, საჭიროა კავშირი მომხმარებელ საზოგადოების და მშრომელთა არსებულ ორგანიზაციებს შორის, როგორც, მაგ., პროფ. კავშირები, ურთი-ერთ დამხმარე, განმანათლებელი და სხვ. საზოგადოებები. ეს თვით საზოგადოების ძირითად არსებობის შესახებ.

3. საჭიროა სწორი ფინანსური ანგარიში, და აღრიცხვა საჭირო თანხის, შემოსავლის და გასაჯლის.

ეს სწავლებებს შემდეგ სახით: უნდა გამოვარკვიოთ დაახლოებით რამდენი არის საჭირო საშვალო ოჯახზედ წელიწადში ის საქონელი, რომლითაც აპირებენ ვაჭრობის დაწყებას. სიერთხაჯისათვის იღება ანგარიშით $\frac{3}{4}$ იმისუ რაც მოსალოდნელია გააყიდოს. როცა საქონელის იმ საშვალო რიცხვს, რომელიც თვითეულ ოჯახს დასჭირდება, გავამრავლებთ წევრების რიცხვზედ, მივიღებთ დაახლოებულ წლიურ აღებ-მიცემას რომლის იმედი უნდა ქონდეს საზოგადოებას.

საშვალო თავმოყრილი მოსაგები, ე. ი. ნარ. დათ ყიდვის და ცალ ცალკე გაყიდვის ფასების განსხვავება, ქვილზედ, ხმელ-ხილზედ და კოლონიური საქონელზედ უდრის 12%. ავიღეთ რა 12% მოსალოდნელ აღებ — მიცემიდან, ზვენ მივიღებთ შესაძლებელ საერთო მოსაგებს, რომელსაც უნდა ელოდეს საზოგადოება. ადგილობრივ პირთ.

ბების მიხედვით, მერმე შედგენილ უნდა იქმნას
გასაყლის ხარჯთა აღრიცხვა ბინის და მოსამსახურე-
ბის დასაქირავებლად, განათება, გათბობა, ანგა-
რიშის დაქერა, საქონლის დაწლვევა და სხვ.
წარჯგამოურთხავ მოსაგებს რომ შეეღარებთ
მრასალოდნელ გასაყალს, მაშინვე შევიტყობთ შეი-
ძლებს თუ არა საქმის დაწყება, თუ კიდევ საჭიროა
წევრების მოგროვება, რომ მეტი ალებ-მიცემა გვექონ-
დეს. კაპიტალი ბრუნდება მომხმარებელ საზო-
განოებაში 7—15 ჯერ წელიწადში ვაჭრობის პი-
რობებშის მიხედვით. იმისთვის რომ გავიგოთ, სა-
კმარისია თუ არა წევრებში მიერ შეგროვილი თან-
ხა საქმის დასაწყებად, აუცილებლად საქაროა და-
ახლოებით ანგარიში. რამოდენიმე ნაწილი კაპიტა-
ლისა წავა დუქნის მოსაწყობად (მისადგომი, სასწო-
რო, გირები, საზომი, წიგნები). თანხა, რომელიც
მოწყობას დასჭირდება უნდა გამოვავლოთ მთელ
კაპიტალს, რომელიც ჩვენს კანკარგულებაშია და
შემდეგ რაც ალებ მიცემობისაგინ დაჩება უნდა
შეგადაროთ უწინ გამოანგარიშებულ ალებ მიცემას.
ბ.ე. საქონელი წევრებზედ ნაღდათ იყიდება (რაც
აუცილებლად სჭირია, რადგანაც ნისიობიზა ზრუნ-
ვა არის საჭირო მოეწყოს კერძო საალებმიცემო
ამხანგობა, რომელიც სათავნო კაპიტალიზა სესხს
აილებს სახელმწიფო ბანკიდან), მაშინ კაპიტალი გა-
დაბრუნდება 10-ჯერ, თუ ერთიანად ეწყობა საზოგა-
დოებათა ჯგუფში, მაშინ კი არა ნაკლებ 15-ისა, როცა
საქონელს 5 ან 6 საზოგადოება ერთად ყიდუ-
ლობს, მაშინ უფრო იოლად შეიძლება საქონლის
ნისიათ გამოტანა, ხშირად შეიძლება საქონლის
გამოწერა და მისი ნაკლები დაქერა საწყობებში
კერძო საზოგადოების მიერ. თუ წევრებს საქონელს

ლი ნებისად მიაქვთ ერთი თვის ვადით, მაშინ არ შეიძლება იმედა გეჭონდეს კაპიტალის 7-ჯერ გადაბრუნების მეტზე და უკეთეს პირობებში, როცა ჯგუფობითაა, ათჯერის. ახსნათ ზემოდ მოყვანილი მაგალითით. ვთქვათ, ჩვენს საზოგადოებაში ჩაეწერა 100 წევრი, რომლებმაც შემოიტანეს 1000 მანეთი. თუ წელიწადში თითოეულმა წევრმა 60 მანეთის ივაქრა მთელი ალებ-მიცემა ეღრება 6000 მანეთს. მთელი მოსაგები, ხარჯების გამოურიცხველად, 720 მანეთი. საქმის დაწყება შეიძლება თუ ხარჯება არ აღემატება ამ რიცხვს. ახლად შემოსულ წევრების და ზოგი წევრების მეტი საქონლის წაღებით ალებ-მიცემა გადიდება და მოსაგებიც ამისგან შეადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავალს. თუ 1000 მანეთიდგან მოსაწყობად დაიხარჯება 200 მანეთი დანარჩენი 800 მანეთი გააკეთებს 8000 მანეთის ალებ-მიცემას და მაშასადამე, თავისუფლად შეიძლება საქმის დაწყება.

ყოველ შემთხვევაში, თუმცა მომხმარებელი საზოგადოებებს წესდების და კანონის ძალით აკეთ უფლება მიყიდონ საქონელი კერძო მუშტრებსაც არა წევრებს, მაგრამ ამითი არ შეიძლება გატაცები ძნრითადი ანგარიშება უნდაიყოს აშენებული თავის წევრებისათვის ყოველდღიურ მოთხოვნილების საგნების მოწოდებაზე.

საქმის გაფართოებისთვის აჩქარება არ არის საჭირო. საქმე უნდა დაიწყოს პატარა რამდღგან და უნდა ვეცადოს რაც შეიძლება მეტა მონაწილე წევრები მივიზიდოს.

საწევრო გადასახადა—პაი, რჩება თითოეული წევრის საკუთრებად და უბრუნდება მას საზოგადოებიდგან გამოსულის დროს.

4. საქმის დაწყებისათნავე საქიროა შემოიღებულ იქნას ორმაგისისტემით ანგარიშის წარმოება. ყოველ გვარი კონომია აქ დაზღუპველია. საქიროა თავიდანვე ვაყოლიოთ განსაკუთრებული კონტრაშჩიკი, რომელიც გამგეობის ერთი წევრის თვალყურის გდების ქვეშ, აწარმოებდეს ანგარიშს.

წიგნის ფორმებს, რომელსაც ურჩევს კაეშირი და მას მომზადებული აქვს, აგზავნის მოთხოვნისათნავე, 35 კაპ. მარკის მიღების შემდეგ.

5. გამგეობა ძრავალ რიცხოვანი არ უნდა იყოს. ყველას სჯობია 3 კაცი შრომის მყოფარე, რომელთაც სურთ და შეუძლიათ შესრულება მიღებული მოვალეობისა. (გამგე ღუქნისა და ვაჭრობისა, ფინანსების გამგე ხაზინადარი, გამგე ანგარიშებისა და მიწერ-მოწერისა).

6. საქონელი უნდა ებაროს ერთ ჰასუხის მგებელ ჰირს, რომელიც უნდა ღებულობდეს მას შეფასებულ გასაყიდ ფასებში და ჰასუხის მგებელი უნდა იყოს გამგეობის წინაშე. (საკაჭრო წიგნების წარმოება ახ. № 19—20 1906 წ. „Союз портр.“, ანგარიშის წარმოება № 5 „Союз портр.“ 1907 წ., შეფასების წარმოება № 5 1903 წ., ფასი ამ სამი ნომრის 30 კაპ.)

7. უწინ უნდა მაუფროხილდეთ ბევრი საქონლის ყიდვას, რომ იათ ფასებზე გამოკიდებით ნამეტარი ბეკრი საქონელი შევისყიდოთ.

8. საქიროა გამგეობის რეგულიარული სხდომების დანიშვნა კვირაში ერთხელ მაინც, რომელზედაც აუცილებლად თითოეული გამგეობის წევრი აკეთებს მოხსენებას საზოგადოების მოქმედებაზედ ერთი კვირის განმავლობაში, მიიღება გამგეობის დადგენილებანი და ოქმები სდგება (ამ კანონის და-

ცვას შეაქვს წეს-რიგი და სისტემა საქმეში).

9. საჭიროა ინსტრუქცია გამგეობის წევრებისათვის. და თავის პირობებთან შეთანხმებით, როგორც სხემით ვუჩნევთ ისარგებლონ აკსტრიის კავშირ. ინსტრუქციით (იხ. წიგ. ნ. 3. გიბნერი—გგერ. 77 და შემდეგ). ინსტრუქციის შედგენის დროს უნდა გაკითვალისწინოთ ძალები და თითოეულ გამგეობის წევრს დავაკისროთ მოვალეობები იმ განზრახვით, რომ მან შესძლოს მისი სავსებით შესრულება იმ დროში, რომელსაც ის ანდომებს საზოგადოების საქმეებს, მაგრამ გამგეობა მთელი წევრებით, სარევიზიო კომისია და საზოგადო კრება ნამდვილად უნდა მოითხოვდნენ ინსტრუქციის შესრულებას.

10. მომხმარებელი საზოგადოებები, რომელთაც აქვთ თანხა 10000 მანეთზედ ნაკლები თანისუფალნი არიან სახელმწიფო სამრეწველო გადასახადისაგან, ე. ი. ვალდებული არ არიან აიღონ გადასახადიანი სამრეწველო და სანაქრო მოწმობები. გამგეობა ვალდებულია აიღოს ადგლობრივ ხაზინაში „უფასო“ სამრეწველო ბილეთი და ფისიანი თუთუნის პატენტი, თუ თუთუნით ვაჭრობას აპირებს.

11. საერობთ გადასახადს საზოგადოება მხოლოდ უძრავ ქონებაზედ გადაიხდის, თუ კა ასეთი იქნება.

12. მომხმარებელ საზოგადოებებს მოსკოვის კავშირში შესვლის დროს შეაკვთ შესასვლელი გადასახადი 50 მანეთი (ერთდროულად და დაუბრუნებლად) და იღებენ პაის, თითო 50 მან.; რომელიც სულ უნდა შეედრებოდეს თავის საკუთარ საპაიო კაპიტალის სამ პროცენტს.

ს ა რ ჩ ე ვ ი .

თავი I.	რა არის კოოპერატივი	83-5
„ II.	კოოპერაცია ინგლისში	11
„ III.	კოოპერაცია ბელგიაში	28
„ IV.	კოოპერატ. მოძრაობის ორი ტიპი	52
„ V.	არტელეები თუ მომხმარ. ამხანაგობ.	58
„ VI.	რა სარგებლობა მოაქვთ კოოპერატ.	64
„ VII.	რა ნაირ საფუძველზედ უნდა მოეწყოს მომხმარებელი ამხანაგობ.	71
„ VIII.	მომხმარებელი საზოგ. რუსეთში	78
„ IX.	კოოპერატივი „Трудов. Союзъ“	84
„ X.	კოოპერატ. მოძრაობა რუსეთში	88
„ XI.	კოოპერატივები და მუშათა მოძრაობა	94
დასკვნა		104
დამატება:		
როგორ მოვაწყოთ კოოპერატივები		105

33

8 90